

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე
სისხლის სამართლის და ადვინისტრაციულ
სამართალდარღვევათა საქმეები

სამართლებრივი ანალიზი

**საპარაუდოდ პოლიტიკური
მოტივაციის მქონე სისხლის
სამართლის და ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა საქმეები**

სამართლებრივი ანალიზი

თბილისი
2011

კვლევა დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც დონორის ოფიციალური პოზიცია.



Kingdom of the Netherlands

ავტორები: ეკატერინა ფოფხაძე
ეკატერინა სუციშვილი
გიორგი ბურჯანაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ეკატერინა ფოფხაძე
თამარ სილაშვილი
თამარ ჩუბოშვილი

მონიტორინგის და კვლევის მომზადების პროცესში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატებმა: ბაგი მოსიაშვილმა
მაია სუციშვილმა
მინაილ ლოლაძემ
რევაზ რევაზიშვილმა
გიორგი ჭიქაბერიძემ
რევაზ თოფურიამ
ჯაბა ზარეაძემ



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 95 23 53, 93 61 01
ტირაჟი: 500 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2011, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	5
თავი 1. ცეცხლსასროლი იარაღის და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობის საქმეები	7
1.1. სამართლებრივი საკითხების მოკლე აღწერა	7
1.2. ცალკეული საქმეები	16
1.2.1. მერაბ ქათამაძის საქმე	16
1.2.2. მამუკა ცინცაძის საქმე	19
1.2.3. ვლადიმერ ვახანიას საქმე	22
1.2.4. გოჩა ჯიქიას საქმე	37
1.2.5. თამაზ ტლაშაძის საქმე	41
1.2.6. დავით გუდაძის საქმე	44
1.2.7. რომან კაკაშვილის საქმე	46
1.2.8. მამუკა შენგელიას საქმე	49
1.2.9. ედიშერ ჯობავა	53
1.2.10. ზურიკო (მამუკა) ჩხვიმიანის საქმე	57
1.2.11. მერაბ რატიშვილის საქმე	58
თავი 2. სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც არ უკავშირდება ნარკოტიკული ნივთიერებების ან ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვას	67
2.1. 2010 წლის 3 მაისის წინასაარჩევნო ინციდენტი და მასთან სავარაუდოდ დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები	67
1. ნელი ნავერიანის სისხლის სამართლის საქმე	68
2. დავით ჟორჟოლიანის საქმე	71
2.2. სხვა სისხლის სამართლის საქმეები	73

2.2.1. სერგო ბესელიასა და რატი მილორაგას საქმე	73
2.2.2. შალა გოგინაშვილის საქმე	82
2.2.3. კოტე კაპანაძის საქმე	89
2.2.4. მელორ ვაჩნაძის საქმე	95
2.2.5. ლევან გოგიჩაიშვილის საქმე	101
თავი 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები	106
3.1. ირაკლი კაკაბაძის საქმე	106
3.2. 2009 წლის 15 ივნისს ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საქმეები	110
დასკვნა	118

შესავალი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართლებრივ ანალიზს. კვლევის მიზანია კონკრეტული საქმის შესწავლა და იმის დადგენა, თუ რა მოცულობით შეეძლო გავლენის მოხდენა პოლიტიკურ მოტივს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვაზე. აღნიშნული განხორციელდა იმის შეფასებით, იყო თუ არა დაცული შესაბამისი საპროცესო და მატერიალური სამართლებრივი ნორმები.

წინამდებარე კვლევაში განხილულია ძირითადად 2009 წლის გაზაფხულზე საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში დაკავებულ/დაპატიმრებულ პირთა საქმეების სამართლებრივი ანალიზი. აღნიშნული კვლევის განხორციელების აუცილებლობა, ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, სწორედ მას შემდეგ დავინახეთ, რაც საზოგადოებასა და საერთაშორისო წრეებში¹ აქტიურად დაიწყო საუბარი საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობის შესახებ. საქმეების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი კონკრეტული საქმის მიმართ, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლო პოლიტიკური მოტივი.

კვლევისათვის შეირჩა 24 საქმე, აქედან – 6 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და 18 სისხლის სამართლის საქმე.² საქმეების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა რეგიონული პრინციპიც.³ თერთმეტ სისხლის სამართლის საქმეში ძირითად ბრალდებას ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობა წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ პერიოდში იმატა მოცემული ბრალდებით საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა და ოპოზიციის აქტივისტების დაკავების ფაქტებმა. დანარჩენი საქმეები კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა თავად დაკავებულის ცნობადობის ან მისი პარტიულობის, ასევე დაკავებულის უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური აქტივობის გამო. ყველა ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განხილულია 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, რომელიც მოქმედებდა 2010 წლამდე.

განხილული საქმეებიდან რამდენიმეზე საადვოკატო მომსახურებას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატები აწარმოებდნენ. იმ საქმეებზე, სადაც დაკავებულს/დაპატიმრებულს სამართლებრივ დახმარებას სხვა ადვოკატები უწევდნენ, ანალიზის მეთოდად გამოყენებულ იქნა საქმეზე მო-

¹ After the Rose, the Throns: Political Prisoners in Post-Revolutionary Georgia, fidh Publication, 7th August, 2009, http://www.fidh.org/IMG/article_PDF/article_a6870.pdf last accessed on 25 September, 2010. ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2007 წლის II ნახევარი, 2008 წლის I და II ნახევარი – საქართველოს სახალხო დამცველი. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური პატიმრების სია.

² საქმეების უმრავლესობა წარმოადგენს დასრულებულ საქმეებს, რომლებზეც უკვე დამდგარია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

³ შესწავლილ იქნა საქმეები შემდეგი რეგიონებიდან: თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამეგრელო, სვანეთი, კახეთი, გურია.

მუშავე ადვოკატებთან გასაუბრება და საქმის მასალების დეტალური შესწავლა. ხოლო მიმდინარე საქმეების შემთხვევაში, ასევე სასამართლო პროცესების მონიტორინგი სპეციალურად მომზადებული იურისტების მიერ.

კვლევა მიზნად არ ისახავს კონკრეტულ პირთა ბრალეულობის ან უდანაშაულობის დადგენას. ჩვენი ამოცანაა, განვსაზღვროთ, რამდენად იქნა დაცული სამართლის ნორმები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და რამდენად იქნა გათვალისწინებული გამოძიების/სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები.

წინამდებარე კვლევაში, რიგითობის მიხედვით, წარმოდგენილია ჯერ მიმდინარე, ხოლო შემდეგ დასრულებული საქმეები.

თავი 1

ცეცხლსასროლი იარაღის და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობის საქმეები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ შესწავლილ იქნა რამდენიმე საქმე, რომლებშიც პირთა მსჯავრდება მოხდა (ან სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს) ცეცხლსასროლი იარაღის ან ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექმნა/შენახვისა ან მისი გადაზიდვა/გადაგზავნა/ტარებისთვის. ინდივიდუალობის მიუხედავად, გამოიკვეთა საერთო ტენდენციები, რომლებიც ნითელ ზოლად გასდევს თითოეულ საქმეს და პოლიტიკის დონეზე საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას. ქვემოთ მოცემულია იმ ზოგადი სამართლებრივი საკითხების მოკლე აღწერა, რომლებიც მონიტორინგის პროცესში პრობლემატურ სფეროებად გამოიკვეთა. თითოეული საქმე სწორედ ამ კუთხით იქნება განხილული.

1.1. სამართლებრივი საკითხების მოკლე აღწერა

- ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა /შენახვა/ ტარების მტკიცების სტანდარტი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით მსჯავრდებისთვის აუცილებელია რამდენიმე პირობის ერთად არსებობა:

1. 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არის ერთიანი დანაშაული (დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება ალტერნატიული მოქმედებებით⁴);
2. ცეცხლსასროლი იარაღი უნდა იყოს გამოსაყენებლად ვარგისი (ექსპერტის კატეგორიული დასკვნით დადასტურებული⁵);
3. შექმნა არის ერთჯერადი აქტი, რომელიც წარმოადგენს ფორმალურ დანაშაულს და დამთავრებულია შექმნის მომენტიდან;
4. შენახვა არის დენადი⁶ დანაშაული და დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების შეწყვეტის მომენტიდან;⁷
5. შენახვა აუცილებლად გულისხმობს შემოსაზღვრულ, დაცულ, სხვისგან ხელმიუწვდომელ ტერიტორიაზე აკრძალული ნივთის შენახვას;⁸
6. შენახვა აუცილებლად მოითხოვს იმის დადგენას, ხომ არ ჰქონდათ სხვა პირებს ამ ადგილის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. ანუ კონკრეტ-

⁴ დანაშაულის ჩადენის რამდენიმე შემადგენლობიდან საკმარისია ერთის ჩადენა.

⁵ *inter alia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინება, №769-აპ-09.

⁶ დანაშაული არის დენადი, რომელიც დაიწყო მოქმედებით ან უმოქმედობით და შემდეგ მის შეწყვეტამდე უწყვეტად მიმდინარეობდა.

⁷ *inter alia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 თებერვლის განჩინება, №797-აპ-09.

⁸ *mutatis mutandis*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის განჩინება, №669-აპ-09.

ტულ ბინასა ან სხვა ადგილას ნივთის ამოღება არ ნიშნავს მისი მფლობელის ან მესაკუთრის ავტომატურად დადანაშაულებას, რადგან უნდა დადგინდეს კონკრეტული პირის მიერ აკრძალული ნივთის უშუალოდ შენახვის ფაქტი.⁹

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის აუცილებელია, დადგინდეს შეძენის ზუსტი დრო და თარიღი. თუკი კონკრეტულად არ არის განსაზღვრული აღნიშნული ელემენტი, მაშინ ირღვევა ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი, რომლის მიხედვით, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებებით არ დასტურდება, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ¹⁰ (*in dubio pro reo*). ეჭვზე განაჩენის დაყრდნობა წინააღმდეგობაშია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლთან, ისე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან¹¹ და მატერიალურ სისხლისსამართლებრივ პრინციპებთან.¹² ტერმინი „დაუდგენელ დროს“ შესაძლებელია გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მსჯავრდება ხდება შენახვისთვის, გასაღებისთვის ან სხვა შემთხვევებში,¹³ ხოლო იარაღის (ნარკოტიკების) შეძენისთვის აუცილებელია ქმედების განხორციელების დროის¹⁴ განსაზღვრა, რადგან ეს არის დანაშაულის დამთავრების საფუძველი.¹⁵ როდესაც გამოძიებისთვის შეუძლებელი ხდება ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის ფაქტის ზუსტად განსაზღვრა, ამ შემთხვევაში, მინიმუმ ვერ აღმოიფხვრება ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ

1. გასულია სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადა;¹⁶ ან
2. სახეზეა მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები.

ფაქტის პრეზუმფციის (ანუ აკრძალული ნივთის ამოღება ავტომატურად ადასტურებს მის შეძენას) გამოყენება იარაღის (ან ნარკოტიკის და სხვა) შეძენის შემთხვევებში დაუშვებელია. ამ დროს ვერ გამოირიცხება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გონივრული ვარაუდი. იქიდან გამომდინარე, რომ სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირის გასამართლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის

⁹ *inter alia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინება, №1256აპ.

¹⁰ *inter alia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინება, №1155აპ-08.

¹¹ სსსკ-ის 503-ე მუხლი.

¹² *Nullum Crimen Sine Lex Certa*.

¹³ ერთიანი დანაშაულის დროს.

¹⁴ საწინააღმდეგო მოსაზრება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 14 ივნისის განჩინება.

¹⁵ დანაშაულის ფორმალური ხასიათიდან გამომდინარე.

¹⁶ თუ ბრალდება ვერ ამტკიცებს იარაღის შეძენის დროს, იგი ვერ აღასტურებს იმ ფაქტს, რომ გასული არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა, რადგან შექმნა ერთჯერადი აქტია და იგი დასრულებულია შეძენის მომენტში. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა იწყება დანაშაულის ჩადენიდან. ქმედების განხორციელების დროის განსაზღვრამ შესაძლოა გამორიცხოს პასუხისმგებლობა.

დარღვევას,¹⁷ ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია ხანდაზმულობის ვადის გაუსვლელი დასაბუთება. ფაქტის პრეზუმფციამ შეიძლება ხელყოს არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მატერიალური გარანტია, არამედ პროცესის შეჯიბრებითობა და სამართლიანობაც (*fair trial*).¹⁸

ასევე, საინტერესოა ცეცხლსასროლი იარაღის ან ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო **შენახვა**. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი პირის მსჯავრებისთვის აუცილებელია¹⁹ იმის დადგენა:

1. არის თუ არა სათავსო²⁰ საკმარისად შემოსაზღვრული იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ სხვა პირებს და რამდენად წარმოადგენს შესაძლებელი ადგილი იზოლირებულ ტერიტორიას. აღნიშნული სტანდარტის მიზანია, გამორიცხოს მესაკუთრის გარდა სხვა გარეშე პირთა მიერ ნივთის შენახვა სათავსოში.
2. ბრალდებულის მიერ ნივთის შენახვა უშუალოდ უნდა ხორციელდებოდეს. უნდა გამორიცხოს ეჭვი, რომ ნივთი ეკუთვნის არა ბრალდებულს, არამედ მის რომელიმე ახლო ნათესავს ან მასთან მცხოვრებ პირს.

თუმცა, აღნიშნულ გარემოებებს შეიძლება არ ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება ამოღებული ნივთის პირისადმი კუთვნილების ფაქტი.

- **ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკა და სისხლის სამართლებრივი დევნა**

- ჩხრეკა

ჩვენ მიერ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც ძირითადად ეხება ცეცხლსასროლი იარაღის და ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვას, ახასიათებს მოქმედებათა იდენტური თანმიმდევრობა:

როგორ წესი, წინასწარი გამოძიება იწყება პოლიციის თანამშრომლის პატაკის²¹ საფუძველზე, ამას მოჰყვება ობიექტის ან პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ხდება პირის დაკავება – სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება.²²

მოქმედებათა ეს თანმიმდევრობა არ შეიძლება ჩაითვალოს კანონის ჩარჩოებში მოქცეულ და მართლზომიერ რიგითობად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს საგამოძიებო მოქმედებათა ხარისხს, კერძოდ, აწესებს გრადაციას მათი შემზღვევლი ხასიათიდან გამომდინარე. შესაბამისად, ზო-

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, §26.

¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 7 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *Salabiaku v. France*, §28.

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის №669აპ-09 გადაწყვეტილება.

²⁰ ადგილი, სადაც კანონით აკრძალული ნივთია შენახული.

²¹ პოლიციის თანამშრომლის წერილობითი განცხადება მის მიერ ოპერატიული ინფორმაციის ფლობის შესახებ.

²² იხ. №1 ცხრილი, გვ.13.

გიერთი საგამოძიებო მოქმედების განსახორციელებლად, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, აწესებს სასამართლო კონტროლს, ხოლო ზოგიერთისთვის – არა. ეს დამოკიდებულია შეზღუდვის ინტენსივობაზე. გარდა ამისა, არსებობს ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა განსახორციელებლად, სასამართლო კონტროლის გარდა, აუცილებელია სხვა წინაპირობების არსებობაც.

- ჩხრეკის საფუძველი

ჩხრეკა, როგორც საგამოძიებო მოქმედება საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (შემდგომში „სსსსკ“ ან „საპროცესო კოდექსი“) მიჩნეულია იმ ინტენსივობის შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებად, რომლის განსახორციელებლად კანონმდებლობა აწესებს არა მხოლოდ სასამართლო კონტროლს, არამედ გარკვეულ წინაპირობასაც. კერძოდ, სსსკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, „გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ, ჩაატარონ ჩხრეკა, თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ გარკვეულ საცხოვრებელ, სამსახურებრივ, სანარმოო სათავსოში, ამა თუ იმ ადგილას ან ამა თუ იმ პირთან ინახება ამ კოდექსის 315-ე მუხლში აღნიშნული საგანი, დოკუმენტი და არსებობს მონაცემები, რომ მათ ნებაყოფლობით არ გასცემენ“. ამ მუხლში ცალსახად და გარკვევით არის მითითებული, რომ ჩხრეკისთვის აუცილებელია სამი კუმულაციური წინაპირობის არსებობა:

1. მტკიცებულებები,²³ რომლებიც უკვე არსებობს საქმეში;
2. ეს მტკიცებულებები უნდა იძლეოდეს ვარაუდის საფუძველს, რომ ესა თუ ის ნივთი ინახება ამა თუ იმ ადგილას;
3. მონაცემების არსებობა, რომ ნივთს ნებაყოფლობით არ გასცემენ.

საპროცესო კოდექსის თანახმად, მხოლოდ ამ წინაპირობების დაცვით განხორციელებული ჩხრეკა შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ საგამოძიებო მოქმედებად,²⁴ რომელსაც, თავის მხრივ (თუ შეიქმნება საკმარისი საფუძველი), შესაძლოა, მოჰყვეს პირის დაკავება, ანუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.²⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩხრეკას არ აქვს კანონიერი საფუძველი, ის ვერ ჩაითვლება კანონიერ საგამოძიებო მოქმედებად და ამის საფუძველზე განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნაც უკანონო იქნება.

რეალურად, კანონმდებლის მოთხოვნასა და პრაქტიკაში განხორციელებულ მოქმედებებს შორის უზარმაზარი სხვაობაა. მაშინ, როდესაც, კოდექსის თანახმად, აუცილებელია მთელ რიგ წინაპირობათა ერთობლიობა ჩხრეკის ჩასატარებლად,

²³ მხოლოდ ერთი მტკიცებულება არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია ერთზე მეტის არსებობა.

²⁴ იხ. №2 ცხრილი, გვ.13.

²⁵ პირის დაკავება, საპროცესო კოდექსის თანახმად, ნიშნავს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, ვინაიდან საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, „პირის ეჭვმიტანილად დაკავების შემთხვევაში, პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილება არ გამოიტანება.“ ეს ნიშნავს, რომ პირი ისედაც ითვლება ეჭვმიტანილად. ეჭვმიტანილობა კი, თავისთავად, გულისხმობს მის მიმართ დევნის დაწყებას ამავე კოდექსის 44-ე მუხლის 43-ე ნაწილის საფუძველზე.

სამართალდამცავები ჩხრეკას მხოლოდ პატაკის საფუძველზე იწყებენ და ამით მნიშვნელოვნად აკნინებენ პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის სტანდარტს.²⁶

- პატაკი

მაშინ, როდესაც პატაკის საფუძველზე იწყება ჩხრეკა, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, მიიჩნევა თუ არა ეს დოკუმენტი მტკიცებულებად, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ჩხრეკის წინაპირობას მხოლოდ მტკიცებულებების არსებობა წარმოადგენს.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს დასაშვებ მტკიცებულებათა ჩამონათვალს – მათ რიცხვში პატაკი არ შედის.

პატაკი, თვისობრივად, არის პოლიციის თანამშრომლის წერილობითი განცხადება, სადაც ის უთითებს, რომ აქვს ოპერატიული ინფორმაცია სავარაუდოდ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ. ამ წერილობითი განცხადების საფუძველზე, ივსება ფორმა №1, რაც ოფიციალურად ადასტურებს წინასწარი გამოძიების დაწყებას. აქედან გამომდინარე, რეალურად, პატაკი არის ოპერატიული ინფორმაციის²⁷ დადასტურება პოლიციის თანამშრომლის მიერ. შესაბამისად, ის არ წარმოადგენს მტკიცებულებას – სისხლის სამართლის საქმეში არ არის დამაგრებული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით და მას არ მოჰყვება ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც მტკიცებულებას ახასიათებს.

110-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს: „კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით მიღებული მონაცემები შეიძლება გახდეს ამა თუ იმ საპროცესო წყაროს ცნობისა და ფაქტის (დოკუმენტის გარდა) შინაარსი და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება, როგორც მტკიცებულება“. ამ მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ პატაკმა მტკიცებულების ძალა შეიძინოს, მისი ავტორი უნდა დაიკითხოს მოწმის სახით.²⁸ პატაკის ავტორის მოწმის სახით დაკითხვის არსი მხოლოდ ფორმალურ მხარეში არ მოიაზრება, ანუ იმაში, რომ მან მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულების სახე მიიღოს. მას შინაარსობრივი დატვირთვაც გააჩნია: როდესაც პირი იკითხება მოწმის სახით, მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ახასიათებს იურიდიული სანდოობა, რაც ნიშნავს იმას, რომ პირი გაფრთხილებულია მოწმის მოვალეობების და ამ მოვალეობათა დარღვევის შედეგად მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ანუ, ცრუ ინფორმაციისათვის იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიეცემა. პატაკის ავტორს ამგვარი მოვალეობები არ გააჩნია. შესაბამისად, მისი ინფორმაცია სანდოდ ვერ აღიქმება იმ ხარისხით, რომ აღნიშნულის საფუძველზე პირს შეეზღუდოს პირადი ცხოვრების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება.

²⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად აღიქმება ჩხრეკაც, თუ არ არის დაცული კანონით გათვალისწინებული პირობები.

²⁷ ოპერატიული ინფორმაციისა და საქმიანობის შესახებ დაწერილებით იხილეთ „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების“ შესახებ საქართველოს კანონში.


²⁸ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები; რედ. ომარ ჯორბენაძე, ზაზა მუიშვილი. თბილისი, 2007 წელი, გვ. 276.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ჩხრეკის ჩატარების წინაპირობად აწესებს მტკიცებულებების არსებობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მტკიცებულება საკმარისი არ არის ჩხრეკის საწარმოებლად. შესაბამისად, მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის მქონე თანამშრომლის მიერ მოწმის სახით მიცემული ჩვენება არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად – მას კიდევ ესაჭიროება სხვა მტკიცებულებით გამყარება.

ჩხრეკას, ხშირ შემთხვევაში, მოჰყვება პირის დაკავება, ანუ მის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით“. თუ ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულების შედეგად ხდება პირის დაკავება, ხოლო თავად ჩხრეკა განხორციელებულია მხოლოდ პატაკის საფუძველზე, გამოდის, რომ ეს მტკიცებულება უკანონო საგამოძიებო მოქმედების შედეგად იქნა მიღებული და იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დევნა უნდა შეწყდეს ქმედების არარსებობის გამო პირის მიმართ ბრალდების იმ ნაწილში, რომელიც ამ მტკიცებულებას ეფუძნება.²⁹


აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩხრეკისთვის პოლიციელის პატაკი არ არის საკმარისი საფუძველი. მას ესაჭიროება საქმეში უკვე მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ გამოძიებისთვის საინტერესო ნივთი ინახება კონკრეტულ ადგილზე და არსებობს მონაცემები, რომ მას ნებაყოფლობით არ გასცემენ. შესაბამისად, იმ სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც პატაკს მყისიერად მოჰყვება ჩხრეკა, რომელიც შემდეგში ხდება დევნის დაწყების საფუძველი, სახეზეა პირის მიმართ უკანონო სისხლის-სამართლებრივი დევნა, რაც უნდა შეწყდეს ქმედების არარსებობის გამო ბრალდების იმ ნაწილში, რომელიც ჩხრეკის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას ემყარება.

ცხრილი №1 – დღეს არსებული პრაქტიკა



²⁹ მაგალითად, თუ პატაკის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ნარკოტიკული ნივთიერება ან ცეცხლსასროლი იარაღი, მიიჩნევა რა ეს მტკიცებულება (ნარკოტიკი ან ცეცხლსასროლი იარაღი) დაუშვებელ მტკიცებულებად, დევნა უნდა შეწყდეს 260-ე მუხლის შესაბამისად, ან 236-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში ქმედების არარსებობის გამო.

№2 ცხრილი – კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები



- დაკავება

დაკავება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საპროცესო იძულების ღონისძიებაა, რომლისთვისაც დადგენილია კონკრეტული საფუძვლები ამავე კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით. კოდექსში მითითებული ჩამონათვალი ამომწურავია, რაც ნიშნავს იმას, რომ სხვა საფუძვლით პირის დაკავება დაუშვებელია.

შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობაში პირის დაკავება განხორციელებულია პირადი ჩხრეკის შედეგად. ზოგიერთ შემთხვევაში, ეჭვმიტანილად დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის მონაცემებით, პირის დაკავება წინ უსწრებს ჩხრეკის დაწყებას.³⁰ ამ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით, დაკავებამდე შედგენილია მხოლოდ პატაკი, ანუ დაკავება ხდება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე.

- დაკავების საფუძველი

როდესაც პირის მიმართ ხორციელდება პირადი ჩხრეკა და მას ამის შედეგად აკავებენ, სახეზეა საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვე-

³⁰ იხ. რომან კაკაშვილისა და მერაბ ქათამაძის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმეები.

პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა: „პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი“. შესაბამისად, ოქმში ჩხრეკის დაწყება დროში წინ უსწრებს პირის დაკავებას. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩხრეკა ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს დაკავებას. ჩხრეკა დროში წინ უსწრებს დაკავებას მაშინ, როდესაც ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი საგანი აშკარად მიუთითებს დანაშაულის კვალზე და პირს აკავებენ ეჭვმიტანილის სახით.

თუმცა, როდესაც არსებობს 142-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძველი, მაგალითად, პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას და ამის შემდეგ უტარდება მას ჩხრეკა, ამ შემთხვევაში, დაკავება ჩხრეკას დროში წინ უსწრებს.

როგორც ზემოთაღნიშნა, ჩვენ მიერ შესწავლილ ზოგიერთ საქმეში ჩხრეკას წინ უსწრებს დაკავება. ასეთ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაკავების რომელიმე საფუძველი, ვინაიდან, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მხოლოდ ოპერატიული ინფორმაცია დაკავებისთვის საკმარისი არ არის. აუცილებელია საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული რომელიმე გარემოების არსებობა. თუმცა, ჩვენ მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ ასეთი კანონისმიერი საფუძველი დაკავების დროს არ არსებობდა და მხოლოდ დაკავების შემდეგ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ნივთი გახდა დაკავების საფუძველი. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რა წარმოადგენდა დაკავების საფუძველს აღნიშნულ საქმეებში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პირის დაკავება დასაშვებია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მითითებული კონკრეტული საფუძველის არსებობისას და არა ოპერატიული ინფორმაციის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაკავება უკანონოა, რაც პირის უპირობო გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს.

• დამსწრეთა მონაწილეობა ჩხრეკა/ამოღებისას³¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დამსწრე არის პირი, რომელიც მონაწილეობს იმ პირის მიერ, რომელსაც ეხება ჩხრეკა. დამსწრის მონაწილეობის მიზანია ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების ფაქტის, მიმდინარეობის და შედეგების დაფიქსირება. დამსწრე წარმოადგენს დამცავ მექანიზმს შესაძლო თვითნებობის თავიდან ასაცილებლად. დამსწრის მონაწილეობის შემდეგ მისი მონაწილეობა სავალდებულოა საგამოძიებო მოქმედებებში. ამის საწინააღმდეგო წესით ამოღებული მტკიცებულება მიიჩნევა დაუშვებლად, რადგან იგი საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით არის მოპოვებული.³² დამსწრის მონაწილეობაში იგულისხმება ჩხრეკის მიმდინარეობის სრული პროცესის დაკვირვება ისე, რომ ვიზუალურად აღქმადი იყოს ჩხრეკის ჩამტარებული პირის საქმიანობა.

³¹ ჩხრეკა და ამოღება, ფაქტობრივად, ერთი და იგივე საგამოძიებო მოქმედებებია. ჩხრეკა და ამოღება ფორმალურად განსხვავდება ერთმანეთისგან იმით, რომ, პირველ შემთხვევაში, არ არის ცნობილი ჩხრეკის საგნის მდებარეობა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ძებნა არ არის საჭირო.

³² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის III-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

დამსწრის მოწვევა გასაჩხრეკი პირის უფლებაა. ასევე, დამსწრე ნებაყოფლობით მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებებში. იგი ახდენს საგამოძიებო მოქმედებების ფიქსირებას. დამსწრე ვალდებულია, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტი, მისი მიმდინარეობა და შედეგები ხელმოწერით დაადასტუროს.³³ ხელმოწერლობა არ გულისხმობს დამსწრის სტატუსის დაკარგვას. პროცესის მონაწილე – დამსწრე, ხელმოწერის მიუხედავად, ინარჩუნებს სტატუსს და შემდგომი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა მოვალეობასთან, მასთან დაკავშირებით კვლავ ძალაშია. ხელმოწერლობა არის, უბრალოდ, საგამოძიებო მოქმედების შეფასება. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ სსსკ-ის 121-ე მუხლის 4¹ მუხლის მიხედვით, დალუქული ნივთმტკიცების გახსნა ხდება იმ დამსწრის მონაწილეობით, რომელიც **ესწრებოდა** (და არა ხელი მოაწერა) ნივთების ამოღებას და დალუქვას.

- **სასამართლო პროცესზე მტკიცებულების გამოკვლევის სავალდებულობა**

სსსკ-ის 475-ე მუხლის მიხედვით, ყველა მტკიცებულება უნდა იყოს სასამართლოზე³⁴ წარდგენილი და გამოკვლეული.³⁵ მტკიცებულების ერთ-ერთი სახე არის ნივთმტკიცება. საპროცესო კოდექსის 485-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ახდენს ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერებას სასამართლო გამოძიებისას. თუკი ნივთიერი მტკიცებულების გამოკვლევა არ ხდება სასამართლოზე, მაშინ დაუშვებელია მისი სასამართლო კამათში მოშველიება³⁶ ან განაჩენში მოხსენიება. სსსკ-ის 496-ე მუხლის მიხედვით, განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული, რაც გულისხმობს მის დაყრდნობას მხოლოდ გამოკვლეულ მტკიცებულებებზე. აღნიშნული წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესში ზეპირობის პრინციპს.³⁷ იგი არის სამართალწარმოების შეჯიბრებითობის გარანტი.³⁸ ზეპირობის პრინციპის ხელყოფა შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის საფუძველი.³⁹

³³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

³⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი განაჩენს ვერ დაედება საფუძვლად.

³⁵ გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მტკიცებულების თვისებებიდან გამომდინარე, ხდება საექსპერტო კვლევისას გახარჯვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, საექსპერტო დასკვნა ანაცვლებს ძირითად მტკიცებულებას.

³⁶ სსსკ-ის 490-ე მუხლის IV ნაწილი.

³⁷ სსსკ-ის მე-20 მუხლის III ნაწილი.

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის №255-აპ განჩინება.

³⁹ ევროკონვენციის მე-6 მუხლის 3 d, *inter alia*, *SN v. Sweden*, §44. ასევე, **ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, სტეფან ტრექსელი**, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თბილისი, 2009, გვ. 338.

1.2. ცალკეული საქმეები

1.2.1. მერაბ ქათამაძის საქმე

1. მერაბ ქათამაძის პოლიტიკური საქმიანობა

მერაბ ქათამაძე არის რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი, ბიულეტენ „რესპუბლიკელების“ რედაქტორი.

2. მერაბ ქათამაძის სისხლის სამართლის საქმე

2009 წლის 27 ივნისს შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დაიწყო წინასწარი გამოძიება. ამ საქმის ფარგლებში, იმავე დღის 18 საათსა და 12 წუთზე ჩატარდა მერაბ ქათამაძის პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებული იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. აღნიშნულის გამო, მოხდა მისი დაკავება და პასუხისგებაში მიცემა 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის შექენა და შენახვა. მეორე დღეს⁴⁰ მერაბ ქათამაძეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეეფარდა გირაო 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით. საქმეზე დასრულდა წინასწარი გამოძიება. დღესდღეობით მისი ბრალდების საქმე განსჯადობის მიხედვით გადაცემული აქვს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან ერთ წელზე მეტი გავიდა, საქმის არსებითი განხილვა ჯერაც არ დაწყებულა.⁴¹

3. დარღვევები მერაბ ქათამაძის სისხლის სამართლის საქმეში

• იარაღის უკანონო შექენის ბრალდება

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მერაბ ქათამაძეს ბრალი ედება მასზედ, რომ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.

ბრალდების ასეთი სახით ფორმულირება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, დადგინდეს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექენის ზუსტი დრო. დანაშაულის ჩადენის ზუსტი დროის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი საკითხია კონკრეტული საქმის ობიექტურად გადაწყვეტისთვის. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მიხედვით, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. დადგენილება ბრალდებულად სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

⁴⁰ 2009 წლის 28 ივნისს.

⁴¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, მერაბ ქათამაძე არის განსასჯელი. მისი სტატუსის საპროცესო ხანგრძლივობა არ არის შემოსაზღვრული არანაირი ვადით. ამ საკითხზე დაწერილებით იხილეთ ქვეთავი „სისხლის სამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების არაგონივრულად გაჭიანურება“.

- **ოპერატიული ინფორმაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი**

მერაბ ქათამაძის ბრალდების საქმეს საფუძველად დაედო შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლის ირაკლი ჯიქურაშვილის პატაკი, რომელიც 2009 წლის 27 ივნისით თარიღდება.⁴²

ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, მერაბ ქათამაძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უცნობი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა. პატაკში აღნიშნულია, რომ 2009 წლის 27 ივნისს, დაახლოებით 18 საათზე, ქათამაძე თავისი კუთვნილი ავტომანქანით უნდა გადაადგილებულიყო ქ. თბილისში გრიბოედოვის ქუჩაზე, რა დროსაც მას თან უნდა ჰქონოდა მის მიერ უკანონოდ შეძენილი ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი.

მერაბ ქათამაძე ეჭვმიტანილის სახით დაკავებულ იქნა 2009 წლის 27 ივნისს 18 საათსა და 03 წუთზე. ფაქტობრივი დაკავების ზუსტ დროდ ეჭვმიტანილის დაკავების ოქმში მითითებულია 17 საათი და 59 წუთი. ამავე ოქმის მიხედვით, მ. ქათამაძე ეჭვმიტანილია ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში. დაკავების საფუძველად მითითებულია შემდეგი გარემოება – „პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენაში“. ქათამაძის პირადი ჩხრეკა ჩატარებულია 27 ივნისს 18 საათსა და 12 წუთზე,⁴³ ე.ი. მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ეჭვმიტანილის სახით დააკავეს. გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მხრიდან იმ ფაქტზე მითითება, რომ ქათამაძეს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას (ეჭვმიტანილის დაკავების ოქმში), უკანონოა, ვინაიდან ოქმის შედგენის მომენტში აღნიშნული საფუძველი არ არსებობდა.

კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებების მიხედვით, მათ ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია, რომ შესაძლოა მ. ქათამაძე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს. მათ მ. ქათამაძე ნახეს ავტომანქანაში მჯდომი, მივიდნენ მასთან და დააკავეს. მ. ქათამაძეს მხოლოდ დაკავების შემდგომ აღმოუჩინეს შარვლის მარჯვენა ჯიბეში იარაღი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, დაკავება მოხდა საფუძვლის გარეშე. კერძოდ, პოლიციის თანამშრომლებს დაკავებამდე არ შეუმჩნევიათ მ. ქათამაძისთვის იარაღი და ვერც შეამჩნევდნენ, ვინაიდან მ. ქათამაძე ავტომანქანაში იჯდა, ანუ დანაშაულზე წასწრება ამ საქმეში მატერიალურად არ ირკვევა.

შესაბამისად, საქმის მასალებით დგინდება, რომ ქათამაძე დაკავებულია არა დანაშაულზე წასწრების ფაქტზე, არამედ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რაც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს.

- **გადაუდებელი აუცილებლობა**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ჩხრეკის ჩატარებისთვის აუცილებელია სასამართლოს წინასწარი თანხმობა. გამონაკლისია გადაუდებე-

⁴² დაუდგენელია ინფორმაციის მიღების ზუსტი დრო. პატაკში მითითებულია მხოლოდ და მხოლოდ მისი შედგენის თარიღი.

⁴³ დაკავებიდან 13 წუთში.

ლი აუცილებლობა, რომელიც უნდა დასაბუთდეს. მ. ქათამაძის საქმეში ჩხრეკა ჩატარდა სასამართლო კონტროლის გარეშე, ისე, რომ საფუძვლიანად არ დასაბუთებულა გადაუდებელი აუცილებლობა, რაც არღვევს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

- **ექსპერტიზის ჩატარებლობა**

პირადი ჩხრეკის შედეგად მერაბ ქათამაძის ჯინსის შარვლიდან ამოღებულ იქნა შავი ფერის პისტოლეტი ერთი მჭიდითა და ორი ვაზნით. სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისთვის აუცილებელი იყო, პროცესის მწარმოებელ ორგანოს დაენიშნა ექსპერტიზა, რათა დადგენილიყო, რაიმე სახის შემხებლობას ჰქონდა თუ არა ადგილი ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალასა და ქათამაძეს შორის. ამ ფაქტის დადგენა გამოძიებას სრულყოფილ სახეს მისცემდა. სამეცნიერო ექსპერტიზის დასკვნის გარეშე, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის შემხებლობას ქათამაძესთან ადასტურებს მხოლოდ ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკის ჩამტარებელ პირთა ჩვენებები. ამ საქმეზე შესაძლებელი იყო დაქტილოსკოპიური და სხვა ტიპის ექსპერტიზების ჩატარება. მათი საშუალებით, დადგინდებოდა რეალური კავშირი დანაშაულის საგანსა და ბრალდებულს შორის. არც ერთი ასეთი ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

- **დამსწრეთა მონვევა**

მერაბ ქათამაძის საქმეში არ იყო წარმოდგენილი დამსწრე ჩხრეკის ჩატარებისას. ოქმში მითითებულია, რომ გასაჩხრეკმა პირმა უარი განაცხადა დამსწრეთა მონვევაზე. აღნიშნულს არ დაეთანხმა ქათამაძე და ოქმს ხელი არ მოაწერა. ბრალდების მხარის პოზიციის გასამყარებლად წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ჩხრეკის ჩამტარებელი პოლიციელების ჩვენებები. აღნიშნული კანონის დაცვით არის განხორციელებული, მაგრამ, რეალურად, არსებობს ეჭვი, ნამდვილად თქვა თუ არა უარი ბრალდებულმა დამსწრის მონვევაზე.

- **სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების არაგონივრულად გაჭიანურება**

გაჭიანურდა როგორც წინასწარი გამოძიება, ისე სისხლისსამართლებრივი დევნა მერაბ ქათამაძის სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ზუსტად ბრალდებულად ყოფნის 12 თვიანი ვადის გასვლამდე ხუთი დღით ადრე დასრულდა წინასწარი გამოძიება და შედგა საბრალდებო დასკვნა, მაშინ, როცა ბოლო საგამოძიებო მოქმედება 2009 წლის 14 დეკემბერს ჩატარდა. ფაქტობრივად, საქმე უმოძრაოდ იყო 6 თვის განმავლობაში და მხოლოდ 2010 წლის ივნისში გაიგზავნა სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ გადაგზავნიდან გასულია 10 თვეზე მეტი, სასამართლო პროცესი ჯერ არ ჩანიშნულა.

4. დასკვნა

მერაბ ქათამაძის დაკავება და ბრალდება მოხდა არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. გამოძიება წარმართა ცალმხრივად, მტკიცებულებები

სრულად და ყოველმხრივ არ იქნა გამოკვლეული. ასევე, არ იქნა დაცული სა-
თანადო საგამოძიებო მოქმედებებისათვის გათვალისწინებული პროცედურები,
რომლებიც კანონით არის განსაზღვრული.

1.2. 2. მამუკა ცინცაძის საქმე

1. მამუკა ცინცაძის პოლიტიკური საქმიანობა

მამუკა ცინცაძე რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის
წევრია. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე იგი აქტიურად მონაწილეობდა
წინასაარჩევნო კამპანიაში. მისი აქტიურობის შედეგად, ოპოზიციის საპრეზი-
დენტო კანდიდატმა მის სოფელში 70 პროცენტის უპირატესობით გაიმარჯვა.
2009 წლის აპრილის აქციების დროს ორგანიზებას უწევდა თბილისში ხალხის
გამგზავრებას და თვითონაც იყო „კარვების ქალაქის“ ერთ-ერთი ბინადარი.
ამავე დროს, მამუკა ცინცაძე იყო ჩხრეკის დამსწრე „რესპუბლიკურ პარტიას-
თან“ დაკავშირებული პირის, გოჩა ჯიქიას სისხლის სამართლის საქმეში, სადაც
მან დაცვის მხარის სასარგებლო ჩვენება მისცა.⁴⁴

2. მამუკა ცინცაძის სისხლის სამართლის საქმე

მამუკა ცინცაძის საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა ჩატარდა 2009 წლის 10 ივნისს.
მისი სახლიდან ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი და იმავე დღეს ეჭვმიტანილის
სახით დააკავეს. მას ბრალად წაყენებული აქვს სისხლის სამართლის კოდექსის
236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ცეცხლსასროლი იარაღის
მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა. მ. ცინცაძეს აღკვეთის ღონისძიების
სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, რომელიც შემდეგ გირაოთი შეიცვა-
ლა. მ. ცინცაძის საქმეს განიხილავს ჩოხატაურის რაიონული სასამართლო.⁴⁵ ამ
ეტაპზე სასამართლო გამოძიება არ არის დასრულებული.

3. დარღვევები მამუკა ცინცაძის სისხლის სამართლის საქმეში

• წარდგენილი ბრალდება

ცინცაძეს ბრალად აქვს წაყენებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხ-
ლით გათვალისწინებული დანაშაული – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწი-
ნააღმდეგო შექმნა და შენახვა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მამუკა ცინცაძემ იარაღი შეიძინა გამოძიებით
დაუდგენელ დროსა და ვითარებაში. შესაბამისად, მამუკა ცინცაძეს იარაღი
რომც ჰქონოდა, გამოძიებისა და სასამართლოს მხრიდან არ მომხდარა იმის
დადგენა, გასული იყო თუ არა ხანდაზმულობის ვადა იარაღის შექმნიდან, ან
არსებობდა თუ არა სხვა ისეთი გარემოება, რაც გამორიცხავდა დანაშაულის
შემადგენლობას.

⁴⁴ მისი ჩვენება წინააღმდეგობაში მოდიოდა ბრალდების მხარის პოზიციასა და გამოძიებლების
ჩვენებებთან. გოჩა ჯიქიას სასამართლო პროცესზე მან განაცხადა, რომ უშუალოდ ვერ ხედავდა
იარაღის ამოღების ფაქტს.

⁴⁵ 2011 წლის აპრილის მდგომარეობით.

მამუკა ცინცაძის საქმეში სათავსო, საიდანაც ამოიღეს ჩხრეკის საგანი, არ იყო შემოსაზღვრული. გამოძიებამ ვერ დაადასტურა, რომ ნივთი შეინახა მამუკა ცინცაძემ და არა, ვთქვათ, მისი ოჯახის რომელიმე წევრმა.

შესაბამისად, საბრალდებო დასკვნა აგებულია ეჭვზე, რომელიც ვერ აქარწყლებს ვერც ხანდაზმულობის ვადების გასვლას და ვერც ნივთის სხვისდამი კუთვნილების ეჭვს.

- **ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკა**

მამუკა ცინცაძის საქმეში ჩხრეკას საფუძველად დაედო მხოლოდ ოპერატიული ინფორმაცია.⁴⁶ დადგენილების კანონიერებისთვის აუცილებელი იყო საფუძველად კონკრეტული მტკიცებულების არსებობა.

- **გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში ჩხრეკის ჩატარება**

ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის დადგენილებით, მოხდა გადაუდებელი აუცილებლობით ამოღებული საგნების კანონიერად ცნობა. საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობისას პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობა. თუმცა, მ. ცინცაძის საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოს განჩინებაში არ გვხვდება არანაირი მითითება ამ კუთხით. აღნიშნული ადასტურებს, რომ სახეზეა საპროცესო კანონის დარღვევა, ხოლო ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთი წარმოადგენს უკანონო მტკიცებულებას.

- **დამსწრის მონაწილეობა**

მამუკა ცინცაძის საქმეში მონაწილე იქნა დამსწრე, თუმცა, ვინაიდან ჩხრეკა რამდენიმე ადგილას პარალელურად მიმდინარეობდა, იგი ვერ შეესწრო უშუალოდ ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების ფაქტს.⁴⁷ აღნიშნული კი, ავტომატურად არის ამოღებული საგნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის საფუძველი. ჩხრეკის უშუალო ფაქტს, ამოღების მომენტს ვიზუალურად ვერ ხედავდა დამსწრე, რაც დაუშვებელია და შემდგომში სასამართლოს მიერ მისი გაზიარება დაარღვევს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ აქვს იურიდიული ძალა.“⁴⁸

2009 წლის 10 ივნისის მოხდა დალუქულ მტკიცებულებათა გახსნა. აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებას არ დასწრებია დამსწრე, რომელიც მონაწილე იყო ბრალდებულის მიერ. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ დამსწრის ინსტიტუტი სრულიად დაკნინებულია ამ საქმეში.

⁴⁶ ოპერატიული ორგანოების საქმიანობა საქართველოს კანონის მიხედვით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ არის მკაცრად გასაიდუმლოებული. აქედან გამომდინარე, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის საიდუმლო და მიეკუთვნება ანონიმურ ცნობებს.

⁴⁷ ჩხრეკა მიმდინარეობდა რამდენიმე ადგილას პარალელურად. ამოღების დროს დამსწრე სხვა ადგილას მიმდინარე ჩხრეკას აკვირდებოდა.

⁴⁸ პუნქტი 7.

მამუკა ცინცაძის სისხლის სამართლის საქმეში ბრალდების სასარგებლო ჩვენებას აძლევენ მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩხრეკის პროცესში. ყველა მათგანის ჩვენება იდენტურია.

• დანაშაულის საგანი

დანაშაულის საგნად ამ საქმეში მითითებულია იარაღი, რომლის დალუქვის ფორმა თავისთავად ინტერესს იწვევს. კერძოდ, ნებისმიერი მტკიცებულება, რომელზეც, სავარაუდოდ, დარჩენილია კვალი, სათანადოდ უნდა შეიფუთოს. შეფუთვის გარეშე, მტკიცებულება ვერ უარყოფს მისი ნიშნების ან თვისებების არსებითი შეცვლის ვარაუდს, რაც არის საბოლოოდ მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველი.⁴⁹

მამუკა ცინცაძის საქმეში მტკიცებულება შეფუთული იყო „თეთრი თოკით“. გაუგებარია, როგორ მოხდა მტკიცებულების ამგვარი საპროცესო დამაგრება, როდესაც ასეთს არ იცნობს საპროცესო კანონმდებლობა. თანაც მარტივი, ყოველდღიური გამოცდილებითაც აშკარაა, რომ თოკით ვერ მოხდება იარაღის დალუქვა. ამ დროს აშკარად შეიძლება ნივთმტკიცებაზე დარჩენილი კვალის შეცვლა. საქმის მასალები არ შეიცავს ამ ვარაუდის გაბათილების არანაირ საფუძველს.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მონმის⁵⁰ განცხადებით, პოლიციელი იარაღს შიშველი ხელებით შეეხო,⁵¹ შემდეგ იმგვარად დალუქა, რომ მასზე ვერ გამოირიცხება ზემოქმედების კვალი. ყოველივე ამის შემდეგ კი იარაღზე მხოლოდ მ. ცინცაძის თითის ანაბეჭდები აღმოჩნდა. ზემოაღნიშნული გარემოება ექსპერტიზის დასკვნის მიმართ საფუძველიან ეჭვს აღძრავს.

• ნიმუშის აღების ოქმის უკანონობა

დანაშაულის საგნიდან აღებულ იქნა ანაბეჭდები. ამ მიზნით, გამომძიებელმა შეადგინა ოქმი, რომლის მიხედვითაც, მოხდა მტკიცებულების ლუქის გახსნა და ნიმუშის აღება. ამ ოქმს (გარდა სათაურისა) აკლია მრავალი რეკვიზიტი, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელია ოქმის შედგენისთვის. კერძოდ, სსსსკ-ის 382-ე მუხლის შესაბამისად, არ არის აღწერილი საგამომძიებო მოქმედებისას გამოყენებული მეცნიერული მეთოდები. ეს კი თავისთავად ნიმუშის, მისი აღების ოქმის და შემდგომი ექსპერტიზის დასკვნის უკანონობის დადასტურებაა. თუკი არ იქნება ცნობილი ის გზა, მეთოდი, რომლის საფუძველზეც ახდენენ საგნიდან ანაბეჭდის აღებას, შეუძლებელი იქნება შემდგომში ექსპერტიზის დასკვნის და ნიმუშის აღების დადგენილების შეჯიბრებით პროცესზე გამოკვლევა, რადგან დაცვის მხარეს, ამ შემთხვევაში, ესპობა შესაძლებლობა, წარმოადგინოს მისი კანონიერების კონტრარგუმენტაცია.

⁴⁹ სსსსკ-ის 121-ე მუხლის მე-5 ნაწილი. დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის №757აპ-09 განჩინება.

⁵⁰ პოლიციის თანამშრომელ დოლიძის მიერ მიცემული ჩვენება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ გამომძიებელს არ ჰქონდა ხელზე დამცავი საშუალებები, როდესაც მტკიცებულებებს შეეხო.

⁵¹ რაც არის მანამდე საგანზე არსებული კვალის განადგურების და მასზე [პოლიციელების] ახალი ანაბეჭდების დაფიქსირების საფუძველი.

• პროცესის გაჭიანურება

მამუკა ცინცაძის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ სასამართლოში გადაგზავნილი საქმის განხილვა ჩაინიშნა და დაიწყო დროულად⁵² (საბრალდებო დასკვნა შედგა 2009 წლის 25 ივლისს და სასამართლო განხილვა ჩაინიშნა 30 ივლისს), მაგრამ მას შემდეგ, რაც მ.ცინცაძეს აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება – შეეცვალა გირაოთი, საქმის განხილვის პროცესი გაჭიანურდა. 2009 წლის 1 ოქტომბერს დაცვის მხარემ იშუამდგომლა დამატებითი მონმის სახით გამოძიებლის დაკითხვის შესახებ, თუმცა, ამ თარიღიდან დღემდე⁵³ პროცესი იდება ან მონმის გამოუცხადებლობის მოტივით ან სასამართლო პროცესზე პროკურორების ხშირი ცვლის გამო.⁵⁴ შესაბამისად, 18 თვის განმავლობაში, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა მ.ცინცაძის საქმეზე სასამართლო პროცესის ჩატარება.

მამუკა ცინცაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება 2009 წლის ივნისიდან. საქმე დღემდე⁵⁵ არ არის დასრულებული. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მამუკა ცინცაძე არის განსასჯელის საპროცესო სტატუსის მატარებელი. მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო. ამ შემთხვევაში, არ არსებობს არანაირი ვადა, რომელიც პროცესის დასრულებას შემოსაზღვრავდა.⁵⁶

4. დასკვნა

დამსწრის როლის იგნორირება, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, დანაშაულის საგნად მიჩნეული იარაღის არასწორად დალუქვა და საქმის წარმოებისას გამოვლენილი სხვა პროცედურული დარღვევები ადასტურებს, რომ მამუკა ცინცაძის სისხლის სამართლის საქმეში გამოძიების პროცესი წარიმართა კანონის დარღვევით.

1.2.3. ვლადიმერ ვახანიას საქმე

1. პოლიტიკური საქმიანობა

ვლადიმერ ვახანია რუსეთის მოქალაქეა, თუმცა 2008 წელს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, მას ასევე მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობაც. ვლადიმერ ვახანია არის არაერთი ქართული და რუსული წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი.

⁵² საქმის სასამართლოში გადაგზავნის ეტაპზე ბრალდებულ ცინცაძეს აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული ჰქონდა დაპატიმრება, რაც, მოგვიანებით, სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, კერძოდ, 2009 წლის 18 აგვისტოს დაცვის შუამდგომლობის საფუძველზე, შეეცვალა გირაოთი.

⁵³ 2011 წლის აპრილი.

⁵⁴ სასამართლო სხდომაზე სხვა პროკურორის გამოცხადების შემთხვევაში, როდესაც იგი არ იცნობს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, მას ეძლევა ვადა მასალების გასაცნობად. აღნიშნულ გარემოებას ჰქონდა ადგილი განსახილველი საქმის შემთხვევაში.

⁵⁵ 2011 წლის აპრილი.

⁵⁶ მიუხედავად ამისა, არსებობს საფრთხე, რომ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის პრინციპი დაირღვეს, რაც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია.

ვლადიმერ ვახანიამ შეიმუშავა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგრამა, ასევე, ზუგდიდის ევროპული სტილით მონყობისა და ქალაქის ცენტრში ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობლის მონუმენტის დაბრძანების გენერალური გეგმა, რომელიც პრეზიდენტის რწმუნებულს სამეგრელო-ზემო სვანეთში, ზ.გოროზიას წარუდგინა. ვ.ვახანიას შეთავაზება ზ.გოროზიას მიერ პირველ ეტაპზე დადებითად შეფასდა, თუმცა, მოგვიანებით, რეაგირება არ მოჰყოლია. ამის თაობაზე ვახანია პრესაში გავრცელებულ წერილებში მიუთითებდა. ვახანიას განმარტებით, მას ასევე უთანხმოება მოუხდა საქართველოს ყოფილ კონსულთან ზ. პატარიძესთან რუსეთის ფედერაციაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონუმენტური ხატის ჩამობრძანების საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან ზ.პატარიძე ამ იდეის განხორციელებას ეწინააღმდეგებოდა.

ვ.ვახანიას გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველოს“ დაარსება, რომელსაც ხელისუფლებისაგან განსხვავებული მიზნები ექნებოდა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, ჩატარდა დამფუძნებელი კრება, თუმცა, კრების ოქმის დასამონმებლად მიწვეული ნოტარიუსები არ გამოცხადდნენ, რის გამოც პარტიის დაფუძნება ვერ მოხერხდა.⁵⁷ ნოტარიუსების გამოცხადებლობას ვახანია ხელისუფლების მხრიდან მათზე ზენოლას უკავშირებს. პარტიის დაფუძნება მოხდა მას შემდეგ, რაც ვახანია დააპატიმრეს.

ვლადიმერ ვახანიას განმარტებით, 2008 წლის 12 ოქტომბერს, მიემგზავრებოდა რა ქ.მოსკოვში, იგი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ე.წ. ნეიტრალურ ზონაში შეაჩერეს აეროპორტის სასაზღვრო დაცვის და შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკებმა, შეიყვანეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც ჩამოართვეს პასპორტები და ტელეფონი და განუცხადეს, რომ დააკავეს, როგორც რუსეთის აგენტი და სახელმწიფოს მოღალატე. ამასთან, დაემუქრნენ, რომ თუ არ დაწერდა აღიარებით განმარტებას, გაანადგურებდნენ ფიზიკურად და მორალურად. როგორც ვახანია აცხადებს, უხეში ზენოლა, მუქარა, შანტაჟი, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მიმართვები გრძელდებოდა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. პოლიციის თანამშრომლებად გაცნობილ პირებს, მიუხედავად ვახანიას არაერთგზის მოთხოვნისა, დოკუმენტების (პასპორტების) და მობილური ტელეფონის ჩამორთმევაზე, ისევე, როგორც რეისიდან მოხსნასა და დაკავებაზე, რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენიათ. ვახანიასთვის პასპორტები და ტელეფონები არ დაუბრუნებიათ.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ, ვახანიას სარჩელის საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია ვახანიას აეროპორტში შეჩერების ფაქტი, თუმცა, დოკუმენტების ჩამორთმევა მან არ დაადასტურა.

ვახანიამ ხელისუფლების მხრიდან დევნისა და პასპორტების ჩამორთმევის გამო მრავალი განცხადება-საჩივრით მიმართა როგორც საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს და სამართალდამცავ ორგანოებს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებს. 2009 წლის 19 აგვისტოს ქ. თბილისის პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირე-

⁵⁷ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დამფუძნებელ ყრილობას ესწრება და მის ოქმს ამოწმებს ნოტარიუსი.

ბით, თუმცა, მას ქმედითი საგამოძიებო ღონისძიებები არ მოჰყოლია. 2008 წლის 9 ნოემბერს ვახანიას ვანდალურად დაუზიანეს და გაუქურდეს მანქანა, რასაც მოჰყვა როგორც მისი, ისე საზოგადოების პროტესტი: 2009 წლის 13 თებერვალს მის მხარდასაჭერად ქ. ზუგდიდში ჩატარდა საპროტესტო მიტინგი, სადაც ხელისუფლებისაგან ითხოვდნენ მის მიმართ დევნის შეწყვეტას და პასპორტების დაბრუნებას. ხელისუფლების მიმართ მის პროტესტს მოჰყვა პრესაში ინფორმაციის გავრცელება ვახანიას რუსეთის აგენტობის შესახებ, რომ იგი რუსეთიდან აპირებდა იარაღის შემოტანას საქართველოს ხელისუფლების დასამხობად.

ვახანიას სისხლის სამართლის ბრალდების საკითხზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დამცველების სერგეი კოვალიოვის და სხვათა მიერ გაკეთდა სპეციალური განცხადებები, ასევე, ჩატარდა პრესკონფერენციები როგორც ქ.თბილისში, ისე მოსკოვში იმის შესახებ, რომ ვახანია მიჩნეულია პოლიტიკურ პატიმრად. აღნიშნულ საკითხზე მათ საუბარი ჰქონდათ საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთანაც.⁵⁸

2. სისხლის სამართლის საქმე

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 სექტემბრის განაჩენით, ვლადიმერ ვახანია ცნობილ იქნა დამნაშავედ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით – ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ე.ი. მისი იძულება, თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან, ჩადენილი ძალადობის მუქარით; ასევე, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა. შესაბამისად, სასჯელად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილისთვის განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 (სამი) წლის ვადით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილისთვის – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, ვლადიმერ ვახანიას საბოლოოდ განესაზღვრა 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა; საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 3 (სამი) წლის ვადით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2010 წლის 30 ივნისის განაჩენი სასჯელის ნაწილში შეამცირა: სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 (სამი) წლის ვადით; ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განუსაზღვრა 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელის შეკრებით, ვლადიმერ ვახანიას საბ-

⁵⁸ იხ. შემდეგი ინტერნეტ-საიტები:
<http://www.novayagazeta.ru/data/2010/110/11.html>;
[www.vakhanian.ge/index.php?com](http://www.vakhanian.ge/index.php?com;);
www.vakhanian.ru/content/view/220/1/;
<http://www.presa.ge/new/?m=society&AID=754>; 21/10/2010, 17:00pm.

ოლოოდ განესაზღვრა 3 (სამი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა და საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 3 (სამი) წლის ვადით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის განაჩენი ვლადიმერ ვახანიას და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების მიერ საკასაციო წესით გასაჩივრდა. საჩივარი უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი.

3. დარღვევები სისხლის სამართლის საქმეში

• წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი

2009 წლის 15 მარტს ვლადიმერ ვახანია ქ. ზუგდიდის პოლიციის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული იქნა ეჭვმიტანილის სახით დანაშაულში, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

წინასწარი გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ზუგდიდის შს რაიონული განყოფილების თანამშრომლის პატაკი, რომლის თანახმადაც, 2009 წლის 11 მარტს 17 საათზე რადიო „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში სამეგრელოს რეგიონულმა კორესპონდენტმა გადმოსცა ინფორმაცია რუსეთის მოქალაქის, ქ. ზუგდიდში მცხოვრები ვლადიმერ ვახანიას მიერ გაზეთ „სამეგრელოს ქრონიკის“ ჟურნალისტის ლელა ხუბულავას მიმართ განხორციელებული სატელეფონო მუქარის შესახებ, მისი ინტერვიუს ამსახველი კასეტის გადმოცემის მოთხოვნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც გამოძიების, ისე დაცვის მხარემ ვერ შეძლო რადიო „იმედის“ საინფორმაციო სამსახურიდან მოეპოვებინა ხსენებულ დროს მსგავსი სიუჟეტის გადაცემის ამსახველი ინფორმაცია. ეს კი მიუთითებს, რომ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია, რომლის მიღების შემთხვევაშიც, გამოძიებელი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ვალდებული იყო, დაინყო წინასწარი გამოძიება, არ არსებობდა. შესაბამისად, წინასწარი გამოძიება დაინყო უსაფუძვლოდ, ანუ კანონის დარღვევით. უფრო მეტიც: მოწმეების კ.ქარდავას და კ.ბასილიას, ასევე, თავად მსჯავრდებულ ვახანიას ჩვენებებიდან გამომდინარე, ლ.ხუბულავამ მის მიმართ ჟურნალისტური საქმიანობის იძულებით ხელშეშლის ფაქტი პირველად გაახმაურა პრესკონფერენციაზე, დაახლოებით 2009 წლის 11 მარტს 19 საათზე, ხოლო პატაკის თანახმად, შსს-ს თანამშრომელმა ეს ინფორმაცია მოისმინა იმავე დღეს 17 საათზე. ეს გარემოებები გამორიცხავს პატაკში არსებული ინფორმაციის ქმნილობას.

• ჩხრეკის ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა

ვლადიმერ ვახანიას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინასწარი გამოძიება დაინყო 2009 წლის 11 მარტს, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა ჩატარდა 15 მარტს, რა დროსაც იგი დააკავეს. ე.ი. ჩხრეკის ჩატარებამდე გამოძიე-

ბას ჰქონდა დრო – 4 დღე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ჩხრეკას, როგორც საგამოძიებო მოქმედებას, განიხილავს პირადი ცხოვრების შემზღვევლ ქმედებად. შესაბამისად, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მისი ჩატარებისთვის ადგენს სასამართლო კონტროლს, ხოლო, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობა, უშვებს მის ჩატარებას მოსამართლის ნებართვის გარეშე, მაგრამ ამ დროსაც მოსამართლეს ანდობს ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების შემოწმებას. ამავე კოდექსის 290-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობა არის: „შემთხვევა, როდესაც არსებობს კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების დაკარგვის რეალური საშიშროება; პირს დანაშაულის ფაქტზე წაასწრებენ; საქმისათვის საჭირო საგნები და დოკუმენტები აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემოწმება) ან შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო“. ვახანიას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის დროს არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებას ადგილი არ ჰქონია, ამასთან, პოლიციას ჰქონდა საკმარისი დრო, მიემართა სასამართლოსთვის და აელო ნებართვა საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ჩატარებისთვის. აქედან გამომდინარე, ვინაიდან გადაუდებელი აუცილებლობა რეალურად არ არსებობდა, ჩხრეკის კანონიერება ამ კუთხითაც ეჭვის ქვეშ დგება.

- **ყოველმხრივი და სრული გამოძიება**

ვახანიას ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა და შენახვა. აღნიშნული ნივთები მისი საძინებელი ოთახის ჩხრეკისას ამოიღეს. ამ ნივთების კუთვნილებას ვლადიმერ ვახანია სადავოდ ხდიდა. ის ფაქტი, რომ გამოძიებამ მის საძინებელ ოთახში აღმოაჩინა დანაშაულებრივი ნივთები, ავტომატურად არ ნიშნავს ეჭვმიტანილი პირისათვის ამ ნივთების კუთვნილების დადასტურებას. ნივთის კუთვნილების დასადგენად გამოძიებაში აპრობირებულია დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარება, რომელიც თითის ანაბეჭდების მიხედვით ადგენს, ბოლოს ვის ეჭირა ხელში ესა თუ ის ნივთი. ხოლო ეს უკვე, თავის მხრივ, ეხმარება გამოძიებას და სასამართლოს, დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

აქედან გამომდინარე, გამოძიებას ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა უნდა ჩაეტარებინა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამოძიებელი ვალდებულია, გამოძიება ანარმოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, გამოავლინოს ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებები, რაც გულისხმობს იმას, რომ გამოძიებელი ვალდებული იყო, ყოველმხრივი და სრული გამოძიების უზრუნველსაყოფად, ჩაეტარებინა ზემოთ აღნიშნული ექსპერტიზა.

- **მტკიცებულებათა უტყუარობა**

ვახანიას მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის შესწავლისას, მსჯავრდების ორივე ნაწილში გამოიკვეთა მისთვის დანაშაულად შერაცხული ქმედებების უტყუარად დადასტურების პრობლემა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად, „სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს ა) ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება (უმოქმედობა); ბ) მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი; გ) ბრალი.“ სამივე ელემენტის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი. გამამტყუნებელი განაჩენი კი, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. თუ უტყუარად ვერ დადგინდა ესა თუ ის გარემოება, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება პრინციპი: ყველა ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ – in dubio pro reo. აღნიშნული პრინციპი ასახულია მე-40 მუხლის მე-3 ნაწილში: ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მოცემულ საქმეში ვახანიას ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით (ყურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა (154-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა (236-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რომლებზეც, მითითებული ნორმების თანახმად, უტყუარად უნდა დადგენილიყო მის მიერ ამ ქმედებების განხორციელება.

- მტკიცებულებათა უტყუარობა სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში

ა. მოწმეთა ჩვენებები

ყურნალისტური საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლის ნაწილში სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ვახანიამ ინტერვიუ მისცა გაზეთ „სამეგრელოს ქრონიკის“ ყურნალისტს, ლელა ხუბულავას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. თუმცა, მოგვიანებით, მისი ახლობლის, რამაზ ვახანიას მეშვეობით, ყურნალისტს მოსთხოვა ინტერვიუს გამოქვეყნებისაგან თავის შეკავება და, ამ მიზნით, ინტერვიუს ამსახველი აუდიოკასეტის დაბრუნება. ამასთან, დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუსპობდა სიცოცხლეს ან სახლს აუფეთქებდა, რის შემდეგაც, შეშინებული ხუბულავა იძულებული გახდა, მისთვის კასეტა გადაეცა.

სისხლის სამართლის საქმეში ზემოაღნიშნულ ფაქტებზე მიუთითებს მხოლოდ დაზარალებული ლელა ხუბულავა. სხვა მოწმეები, რომლებიც ამ ფაქტს ადასტურებენ, ინფორმაციის წყაროდ მიუთითებენ თავად დაზარალებულს, რომლის მეშვეობითაც მათთვის ეს ინფორმაცია გახდა ცნობილი. ისინი ფაქტს უშუალოდ არ შესწრებიან. სრულიად საწინააღმდეგოს აცხადებენ დაცვის მხარის შუამდგომლობით დაკითხული მოწმეები: როდესაც ლელა ხუბულავა ვახანიას სახლში მივიდა, რათა კასეტა გადაეცა, ამ დროს ვახანიასთან სტუმრად იმყოფებოდა ხუთი პიროვნება. ისინი აცხადებენ, რომ თავდაპირველად, დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, ხუბულავა და ვახანია განცალკევებით საუბრობდნენ, რა დროსაც არანაირ ხმაურს, ჩხუბს და რაიმე მსგავსს მათ ყურამდე არ მიუღწევია. ხოლო ამის შემდეგ, იყო რა სახლში სუფრა გაშლილი, ხუბულავა ამ სუფრასთან მიიპატიჟა თავად ვახანიამ, რომელმაც მისი სადღეგრძელოც კი დალია. მათ ხუბულავასთვის გაბრაზება ან წყენა არ შეუმჩნევიათ. რაც შეეხება რამაზ ვახა-

ნიას, რომლის მეშვეობითაც არაერთხელ მოითხოვა ვახანიამ კაცეტა ხუბულავასაგან, აცხადებს, რომ მან ვლადიმერ ვახანიას დანაბარები გადასცა ხუბულავას კაცეტის გადაცემის თაობაზე, რა დროსაც არანაირ მუქარას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, იგი აცხადებს, რომ ლელა ხუბულავას ვახანიას სახლში ვიზიტის შემდეგ რამდენიმე დღეში, ვლადიმერ ვახანიას თხოვნით, მან თავად დაუტოვა ხუბულავას სამსახურში დიქტოფონი და გადასცა მონვევა 11 მარტს პოლიტიკური პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე დასასწრებად.⁵⁹

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მონმეთა ჩვენებები იმ მოტივით, რომ მონმეები არიან ვლადიმერ ვახანიას ახლო ნათესავეები, მეგობრები და ცდილობენ პასუხისმგებლობა ააცილონ მას.

საგულისხმოა, რომ ხუბულავას ჩვენებები წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო ინსტანციებში ერთმანეთისაგან განსხვავდება მუქარის ნაწილში, სადაც იგი ერთ შემთხვევაში ამბობს, რომ რეალურად აღიქვა მუქარა და შეეშინდა, ხოლო შემდეგ აცხადებს, რომ სერიოზულად არ აღუქვამს და, შესაბამისად, არც შეშინებია. ასევე, დამაჯერებლობას მოკლებულია ის ფაქტი, რომ თუ ნამდვილად სახეზე იყო მუქარა და მას ამის საფუძვლიანი შიში გაუჩნდა, რატომ არ განუცხადა ეს გარშემომყოფებს, მაგალითად, თავის დას, რომელიც ამბობს, რომ მისთვის ეს ფაქტი უცნობი იყო. საეჭვოა ის გარემოებაც, რომ თუ დაზარალებულს ნამდვილად წარმოეშვა საფუძვლიანი შიში, რატომ მივიდა ვახანიას სახლში მარტო, ან რატომ არ მიაწოდა ინფორმაცია ამის თაობაზე სამართალდამცავებს.

დაზარალებულ ხუბულავას ჩვენების სისწორეს უარყოფს საქმეზე ჩატარებულ ფონოსკოპიური ექსპერტიზა.⁶⁰ კერძოდ, ლ.ხუბულავა სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში ვ.ვახანიას მხრიდან მასზე ზეწოლის განხორციელების შესახებ მიზეზად ასახელებს „რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირის“ თავმჯდომარის მიხეილ ხუბუტიას მისამართით ვახანიას მიერ გაკეთებულ არაკორექტულ განცხადებებს, ხოლო ექსპერტიზით გაშიფრულ ამ ინტერვიუს ჩანაწერში არამც თუ არაკორექტულ გამონათქვამებს, არამედ მიხეილ ხუბუტიაზე საუბარსაც არ აქვს ადგილი. ეს ფაქტი კი კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ აყენებს ლ.ხუბულავას მიერ მიცემული ჩვენებების სანდოობას.⁶¹

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ დაზარალებულ ლ.ხუბულავას ჩვენება დამაჯერებლობას მოკლებულია და, შესაბამისად, ვერ იქნება უტყუარი. ამ ფონზე კი, მისი ჩვენების გაზიარება და ზემოთ მითითებული მონმეების ჩვენებათა უარყოფა საეჭვოს ხდის განაჩენის უტყუარობას.

ბ. ექსპერტიზის დასკვნა

დაცვის მხარის მიერ სააპელაციო სასამართლო სხდომაზე საქმეზე დასართავად და გამოსაკვლევად წარდგენილ იქნა ფონოსკოპიური ექსპერტიზა, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაშიფრულია ინტერვიუს ტექსტი. სასამართლომ, თავისი განჩინებით, აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა განარიდა საქმეს იმ მოტი-

⁵⁹ იხ. სისხლის სამართლის საქმე, ტ.1, ს.ფ. 144-146.

⁶⁰ ფონოსკოპიური ექსპერტიზა გამოიყენება აუდიო ჩანაწერის ტექსტობრივი სახით გასაშიფრად სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს.

⁶¹ ამ ექსპერტიზის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ.

ვით, რომ შემხებლობა არა ჰქონდა მასთან. შესაბამისად, არ დაურთო სისხლის სამართლის საქმეს. ამით მან კიდევ ერთხელ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული იმპერატიული მოთხოვნა, რომ ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა სავალდებულო წესით დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

ეს დასკვნა სასამართლოს რეალურად დაეხმარებოდა ხუბულავას ჩვენების სანდოობის შემოწმებასა და მისი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაში, თუ რომელი ჩვენებები გაეზიარებინა განაჩენის დადგენის დროს.

- მტკიცებულებათა უტყუარობა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში

ა. ექსპერტიზის დასკვნები

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ვლადიმერ ვახანიამ შეიძინა და საკუთარ საცხოვრებელ სახლში ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას, რაც აღმოჩენილ და ამოღებულ იქნა პოლიციის თანამშრომლების მიერ მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას აუდიო კასეტის აღმოჩენის მიზნით.

ა.1. გრაფიკული ექსპერტიზა

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაცვის მხარის მიერ წარდგენილ იქნა გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, ხელმოწერები ვ.ვახანიას გვართ: 2009 წლის 15 მარტით დათარიღებული – მონმის სახით დაკითხვის ოქმზე; ასევე 15 მარტით დათარიღებული – ეჭვმიტანილის დაკავების ოქმზე; აგრეთვე, გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკის ჩატარების დადგენილებასა და ჩხრეკის შესახებ ოქმზე – შესრულებულია არა ვლადიმერ ვახანიას, არამედ სხვა პირის (პირების) მიერ.

საცხოვრებელი სახლის ჩხრეკაზე დამსწრეების სახით მონვეულები არიან ჯ.ჩიქოვანი და მ.მაქაცარია. გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით, ხელმოწერები ჯ.ჩიქოვანის გვართ: დამსწრის ადგილას ჩხრეკის ოქმის ბოლოს, ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ გაფრთხილებაზე და 2009 წლის 16 მარტით დათარიღებული, მონმის დაკითხვის ოქმზე – შესრულებულია არა ჯ.ჩიქოვანის, არამედ სხვა პირის (პირების) მიერ. აგრეთვე, ხელმოწერები მ.მაქაცარიას გვართ: დამსწრის ადგილას ჩხრეკის ოქმის ბოლოს, ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ გაფრთხილებაზე და 2009 წლის 16 მარტით დათარიღებული, მონმის დაკითხვის ოქმის პირველი ფურცლის მეორე გვერდზე, მეორე ფურცელსა და ოქმის ბოლოს – შესრულებულია არა მ.მაქაცარიას, არამედ სხვა პირის (პირების) მიერ. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ ვახანიას სახლის ჩხრეკა და მისი დაკავება მოხდა კანონის არსებითი დარღვევით.

კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით,

დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, მას განაჩენი არ უნდა დაყრდნობოდა. რაც შეეხება თავად ვახანიას დაკავებას, ვინაიდან ეს მოხდა კანონის არსებითი დარღვევით, რომელიც, იმავდროულად, აუარესებს მის სამართლებრივ მდგომარეობას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო დარღვევის აღმოჩენისთანავე.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება დასაბუთებულ ეჭვს აჩენს ჩხრეკის შედეგების მიმართ, ანუ ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი საგნების – საბრძოლო მასალის და ცეცხლსასროლი იარაღის – ვ. ვახანიას მიერ რეალურად შექმნისა და შენახვის ფაქტებთან დაკავშირებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნები არ იქნა გაზიარებული. ამის საპასუხოდ, დაცვის მხარის მიერ კვლავ დაინიშნა ახლა უკვე კომისიური ექსპერტიზა, რომელმაც სრულად გაიმეორა წინა ექსპერტიზის შინაარსი თავის დასკვნაში. სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, სრულიად დაუსაბუთებლად, საქართველოს სსსკ მე-19 მუხლის მე-2 ნაწილისა⁶² და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა⁶³ საწინააღმდეგოდ, იმ საფუძველით, თითქოსდა კომისიური გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და ეწინააღმდეგება სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეულ მტკიცებულებებს, არ გაიზიარა იგი.

სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დასკვნის გაუზიარებლობა იმ მოტივით, რომ ისინი არ გამომდინარეობს სხვა მტკიცებულებებიდან, სადავოა. კერძოდ, ამ დასკვნის ლოგიკური გაგრძელებაა დაკითხული მოწმეების ჯ.ჩიქოვანისა და მ.მაქაცარიას ჩვენებები და თავად მსჯავრდებულ ვახანიას ჩვენება, ასევე, საქმეში არსებული სხვა დოკუმენტები, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.⁶⁴

წინასწარი გამოძიების დროს ჯ.ჩიქოვანი დაიკითხა მოწმის სახით, სადაც მისცა ჩვენება საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. თუმცა, როდესაც მისი ჩვენება სასამართლო სხდომაზე გამოაქვეყნეს, ჯ.ჩიქოვანიმა განაცხადა, რომ ჩვენებას აკლდა ზოგიერთი გარემოება, რომლებზეც დაკითხვის დროს მიუთითა. კერძოდ, მისი განცხადებით, ის ჩხრეკის დაწყებიდან საათნახევრის შემდეგ მიიწვიეს. სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ ეს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება დაკითხვის ოქმში არ იყო მითითებული. ასევე, ჩვენებაში არ აღმოჩნდა მის მიერ მითითებული გარემოება ჩხრეკის პროცესში მისი ცუდად გახდომის და სახლში წასვლის შესახებ. ამ შეცვლილ ჩვენებას, რომელიც სასამართლოში გამოქვეყნდა, ჩიქოვანი არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ მხოლოდ სასამართლოში ნათქვამი გარემოებები შეესაბამებოდა სიმართლეს და ის, რაც მან წინასწარ გამოძიებაში მისცა და ხელიც მოაწერა, არ ემთხვეოდა გამოქვეყნებულს, შესაბამისად, გამოქვეყნებულ ჩვენებაზე ხელმოწერა მისი არ იყო. რაც შეეხება ჩხრეკის ოქმებს – კერძოდ, ავტოფარეხის

⁶² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის.

⁶³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს მისი უტყუარობის თვალსაზრისით.

⁶⁴ იხ. ქვეთავი: მოწმეთა ჩვენებები.

ჩხრეკის ოქმს,⁶⁵ მან ხელი მოაწერა ჩხრეკის ჩატარების დღეს, ხოლო მეორე დღეს იგი იძულებით მიიყვანეს პოლიციაში, სადაც კონვერტება და სუფთა, პატარა ბეჭდიან ფურცლებზე მოაწერინეს ხელი. ჩიქოვანი ასევე უთითებს, რომ ხელი მოაწერა ამ ფურცლებზე მაქაცარიას ხელმოწერის გასწვრივ. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმზე კი ხელი არ მოუწერია.

რაც შეეხება მეორე დამსწრეს, მაქაცარიას, მან სასამართლოს მისცა ორაზროვანი ჩვენება, კერძოდ, წინასწარ გამოძიებაში მის მიერ მიცემული ჩვენება სახლის ჩხრეკის მიმდინარეობას ასახავს შემდეგნაირად: იგი იქნა მონვეული დამსწრის სახით და განემარტა მისი უფლებები, ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები დაილუქა მისი თანდასწრებით და მან ხელი მაშინვე მოაწერა შესაბამის დოკუმენტებს. სასამართლოში იგი ეთანხმება ამ ჩვენებას, თუმცა, ამის პარალელურად მიუთითებს სრულიად სანინააღმდეგოზეც. კერძოდ, აღნიშნავს იმას, რასაც ჩიქოვანი, რომ ჩხრეკის დაწყებიდან საათნახევრის შემდეგ მივიდა ჩიქოვანთან ერთად ვახანიას სახლში. ჩხრეკის დროს იგი ცუდად გახდა და გონება დაკარგა, რის შემდეგაც წაიყვანეს სახლში. ასევე, დეტალურად აღწერს, როგორ აიძულე-ბდნენ ჩხრეკის მეორე დღეს პოლიციელები, ხელი მოეწერა დოკუმენტებისთვის, რასაც მისი მეუღლე და მცირეწლოვანი შვილიც შეესწრო. როგორც თავად მიუ-თითებს, მან, ჩიქოვანის მსგავსად, მხოლოდ ავტოფარეხის ჩხრეკის ოქმს მოაწერა ხელი ჩხრეკის დღეს, ხოლო მეორე დღეს, პოლიციელების ზენოლის შედეგად, პოლიციის სამმართველოში ხელი მოაწერა ე.წ. „ბირკებზე“ (მისაკრობ, ბეჭდიან ფურცლებზე).⁶⁶ ამ გარემოებების დეტალურად აღწერის შემდეგ კი, პროკურო-რის შეკითხვაზე, ადასტურებს თუ არა მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას, პასუხობს, რომ ადასტურებს. ხოლო შეკითხვაზე, მონმის სახით დაკი-თხვის ოქმსა და ჩხრეკის ოქმზე არის თუ არა მისი ხელმოწერები, იგი ზოგიერთს ადასტურებს, ხოლო ზოგიერთზე ამბობს, რომ არ არის დარწმუნებული, რეალურად მისია თუ არა. წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემული ჩვენების დადასტურებას აბათილებს არა მხოლოდ სასამართლოში მის მიერვე დაფიქსი-რებული საპირისპირო გარემოებები, არამედ გრაფიკული ექსპერტიზები, რომ-ლებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და რომლითაც დადგენილია, რომ ხელმოწერა მაქაცარიას მონმის სახით დაკითხვის ოქმზე და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმზე მის მიერ არ არის შესრულებული.

ჩიქოვანის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენების შემდეგ დაიწყო წინასწარი გამოძიება მის მიერ არსებითად ურთიერთსანინააღმდეგო ჩვენებების მიცემის ფაქტზე. ვახანიას მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის განხილვის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დასრულებამდე, ბრალდებულ ჩიქო-ვანთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. აღნიშნული განაჩენი, ბრალდების შუამდგომლობით, კამათის სტადიაზე დაერთო ვ. ვახანიას სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო სასამართლოს მიერ, პრეიუდიციის სახით, გაზიარებულ იქნა. მო-სამართლე დაეყრდნო ჯამბულ ჩიქოვანის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს, ამ უკანასკნელის მიერ არსებითად ურთიერთსანინააღმდეგო ჩვენე-ბების მიცემის შესახებ და ამავე საქმეში გამოძიების მიერ ჩატარებული გრაფი-

⁶⁵ პოლიციელების მიერ ჩატარდა საცხოვრებელი სახლის და ავტოფარეხის ჩხრეკა, რომლებზეც შედგა ცალ-ცალკე ოქმები.

⁶⁶ პრაქტიკაში ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთების დასაღუქად გამოიყენება აღნიშნული ფურცლები.

კული ექსპერტიზის დასკვნას, სადაც მითითებულია, რომ ხელმოწერა ჩხრეკის ოქმზე შესრულებულია ჯ.ჩიქოვანის მიერ. ამ განაჩენის თანახმად, ჯ.ჩიქოვანი ადასტურებს მხოლოდ ჩვენებათა ურთიერთინააღმდეგობის ფაქტს და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რომელ ჩვენებას ემხრობა. სააპელაციო სასამართლოს მიერ კი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ურთიერთინააღმდეგობის ფაქტის აღიარება ჩაითვალა წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენების სისწორის აღიარებად. რაც შეეხება გამოძიების შუამდგომლობით ჩატარებული გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნას, გაუგებარია მოტივი, რატომ გაიზიარა მოსამართლემ მაინც და მაინც ეს დასკვნა და უარყო ორი ექსპერტიზის, მათ შორის, ერთი კომისიური ექსპერტიზის დასკვნები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოძიების ექსპერტიზა მხოლოდ ჯ.ჩიქოვანის ხელმოწერაზეა ჩატარებული და არაფერს ამბობს თავად ვახანიას და მაქაცარიას ხელმოწერებზე. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ აღძრავს დასაბუთებულ ეჭვს განაჩენის უტყუარობის მიმართ.

ა. 2. ელექტროტექნიკური მოწყობილობის ექსპერტიზა

სასამართლოს მიერ ასევე არ იქნა საქმეზე დართული და გამოკვლეული ელექტროტექნიკური მოწყობილობის ექსპერტიზის დასკვნა და დაზიანების შემდეგ აღდგენილი დისკი. კერძოდ, ვ.ვახანიას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარების დროს დამონტაჟებული იყო ვიდეორეგისტრატორი. აღნიშნული დასკვნით დადგინდა, რომ რეგისტრატორი მოექცა ფიზიკური ზეგავლენის ქვეშ გაზრდილი ელექტრული ძაბვის მიწოდების სახით, რის შედეგადაც წაიშალა მასზე ასახული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია უცხოელი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების წყალობით აღდგა.⁶⁷ სასამართლომ დასკვნების გაუზიარებლობის მოტივად მიუთითა საქმის მიმართ მისი არარელევანტურობა, კერძოდ, მისი თქმით, ვიდეორეგისტრატორი არ ასახავდა ჩხრეკის მიმდინარეობას. თუმცა, მოწყობილობით დაფიქსირებულია ჩხრეკის მიმდინარეობა, სადაც, რეალურად, დასტურდება დაცვის მხარის მოწმეების მიერ აღწერილი ვითარება, კერძოდ ის ფაქტი, რომ ეზოში უამრავი პოლიციელი იმყოფებოდა და არა მხოლოდ ხუთი, როგორც ამას მიუთითებენ ჩხრეკის ჩამტარებელი პოლიციელები.

ბ. მოწმეთა ჩვენებები

საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის დამსწრეებმა, ჯ.ჩიქოვანმა და მ.მაქაცარიამ, ოქმის თანახმად, წინასწარ გამოძიებაში დაკითხვისას ხელმოწერებით (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ხელმოწერები, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ყალბი აღმოჩნდა) დაადასტურეს ჩხრეკის მიმდინარეობა და შედეგები, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში განაცხადეს, რომ ისინი ვახანიას საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის დამსწრეებად მიიწვიეს პოლიციის მუშაკების მისვლიდან დაახლოებით საათნახევრის შემდეგ; ისინი აღწერენ სრულიად საწინააღმდეგო ვითარებას, ვიდრე ეს აღნიშნულია ჩხრეკის ოქმში. მათი განცხადებით, ქუჩაში უამრავი პოლიციელი და სპეცრაზმელი იდგა და მოქალაქეებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ. ვახანიას საცხოვრებელ სახლში, მათ გამოცხადებამდე, დაახლოებით 30-40 პოლიციის მუშაკი გადაადგილებოდა თავისუფლად და რა მოხდა მათ მისვლამდე, არ იციან; სახლში მისვლისას

⁶⁷ დისკზე დაფიქსირებული ინფორმაცია აღდგა მოსკოვში არსებულ საექსპერტო ბიუროში.

მათ ვახანია ნახეს მაგიდასთან ხელბორკილდადებული. ამოღებული ნივთები მათი თანდასწრებით არ დალუქულა და ჩხრეკის ჩატარების დღეს ამოღებული ნივთების დალუქვის ფირნიშებზე ხელი არ მოუწერიათ. უფრო მეტიც, დაცვის მხარის მიერ მოპოვებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03-ის ჩანაწერებით (გამოკვლეულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ) ირკვევა, რომ 22 საათსა და 25 წუთზე ჯ. ჩიქოვანს დაუდგინდა ჰიპერტონიული კრიზი – წნევა 200/120, რა დროსაც ავადმყოფს გაუკეთდა რამდენიმე დასახელების მედიკამენტი. ჯ. ჩიქოვანის შეუძლოდ ყოფნისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების ფაქტი, ასევე, დადასტურდა არაერთი მონმის, მათ შორის, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე პოლიციის მუშაკების მიერ. იმავე ჩანაწერით დასტურდება, რომ მ. მაქაყარიასთანაც იყო გამოძახებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური. ჩხრეკის ოქმით კი, ჩხრეკა დაიწყო 20:50 საათზე და დასრულდა 23:00 საათზე. ე. ი. ჩხრეკის შედეგებს ამ დროს დამსწრეები ვერ დაადასტურებდნენ, რადგან 22:25 საათზე მათ უტარდებოდათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

საყურადღებოა, ასევე, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაცვის მხარის შუამდგომლობით მონმის სახით დაკითხული პირის, ვახანიას მეზობლის, ი. კვარაცხელიას ჩვენება, სადაც იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ იდგა ვახანიას საცხოვრებელი სახლის ეზოს გარეთ, როდესაც უამრავი მანქანა მოადგა ვახანიას სახლს და ამ დროს, უთვალთვალებდა რა პოლიციელების მოძრაობას ფარულად, დაინახა, ერთმა პოლიციელმა როგორ ამოიღო იქვე მდგარი ერთ-ერთი მანქანის საბარგულიდან რაღაც შეხვეული და შევიდა ეზოში.

აღნიშნული გარემოებები ერთობლიობაში სერიოზულ ეჭვს აღძრავს იმასთან დაკავშირებით, მოწვეულმა დამსწრეებმა მართლაც სრულად ადევნეს თუ არა თვალი ჩხრეკის პროცესს და ხელმოწერები მონმის სახით დაკითხვის ოქმსა და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმზე სინამდვილეში მათ მიერ არის თუ არა შესრულებული. საეჭვოა პოლიციელთა მიერ ჩხრეკის ოქმში დაფიქსირებული მათი მხრიდან ჩატარებული ქმედებების სისწორეც. საბოლოოდ კი, ეჭვქვეშ დგება განაჩენის დასაბუთებულობა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების ეპიზოდში.

• სისხლის სამართლის პროცესის უშუალობა და ზეპირობა

ვახანიას საცხოვრებელი სახლიდან გამოძიების მიერ ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რომელსაც ჩაუტარდა ბალისტიკური ექსპერტიზა ვარგისიანობის დასადგენად. სასამართლო განხილვის ეტაპზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, როგორც ნივთიერი მტკიცებულებების, სასამართლო პროცესზე წარმოსადგენად და გამოსაკვლევად. სასამართლოს მიერ ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მისი უშუალოდ პროცესზე გამოკვლევა საქმეზე არანაირ გავლენას არ მოახდენდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი ადგენს სისხლის სამართლის პროცესის უშუალობასა და ზეპირობას და აცხადებს: „ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია ... შეამოწმოს ნივთიერი მტკიცებულებები. ამ წესიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ განსაკუთრე-

ბულ შემთხვევებში.“ მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე, რომელიც საქმის განხილვის სტადიაზე პროცესის მწარმოებელი იყო, მითითებული ნორმის თანახმად, ვალდებული იყო, შეემონებინა დასახელებული ნივთები, ვინაიდან არ არსებობდა რაიმე განსაკუთრებული გარემოება, რომლის გამოც შესაძლებელი იქნებოდა იმპერატიული ნორმიდან გადახვევა. ამის საწინააღმდეგოდ, მან დაარღვია პროცესის უშუალოდ და ზეპირობის პრინციპი.

• პროცესის არაგონივრული გაჭიანურება

ვლადიმერ ვახანიას სისხლის სამართლის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობდა 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, რა დროსაც საქმის კანონით დადგენილ ვადებში განხილვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობდა.⁶⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 528-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო ინსტანციამ საქმე უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო მიერ დაირღვა საქმის განხილვის ვადა.

• პატიმრის უფლებები

ვლადიმერ ვახანიას პატიმრობის დროს გამოვლინდა მისი უფლებების დარღვევის ფაქტები. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით განსაზღვრულია, რომ დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. ამ უფლებათა რეალიზაციის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს, რომ დაკავებული ან დაპატიმრებული პირის განთავსების ადგილის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ღირსეულ არსებობას, მისი პატივისა და ღირსების პატივისცემას, პიროვნების ხელშეუხებლობას, ჯანმრთელობის შენარჩუნებას, თავისი ინტერესების დაცვის უნარს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეში – *ლავთაძე საქართველოს წინააღმდეგ* – განაცხადა, რომ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ პატიმრობის პირობებში ადეკვატურად იქნეს უზრუნველყოფილი პატიმრის ჯანმრთელობა.⁶⁹ ამავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ავადმყოფი ადამიანის პატიმრობის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს მისი ჯანმრთელობის დაცვას, პატიმრობის რეჟიმის თანმდევი და გონივრული მოთხოვნების გათვალისწინებით.⁷⁰

ყოველივე ზემოაღნიშნული გარანტიები დაირღვა ვახანიას პატიმრობის დროს: საქალაქო სასამართლოში პროცესზე ბადრაგირებამდე მან სასამართლოს გაუგზავნა განცხადება, რომ გულის შეტევის და მალალი წნევის გამო არ შეეძლო ტრანსპორტირება, შესაბამისად, აღნიშნულის გამო სასამართლო სხდომა გა-

⁶⁸ იანვარში ჩატარებული სხდომა გავრძელდა ივნისში ისე, რომ ასეთი დიდი ინტერვალით სხდომის გადადების რაიმე მიზეზი საქმეში არ მოიპოვება.

⁶⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 03 მარტის №23204/07 გადაწყვეტილება საქმეზე: *ლავთაძე საქართველოს წინააღმდეგ*, §76.

⁷⁰ იქვე.

დაიდო. ამის შემდეგ ჩატარებულ სასამართლო პროცესზე მისი ჯანმრთელობის გაუარესება აშკარად აისახებოდა მის გარეგნობაზე, შესაბამისად, ამ და მომდევნო სასამართლო პროცესებზე გამოძახებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების შედეგად დადგინდა, რომ იგი იმყოფებოდა ჰიპერტონიული კრიზის მდგომარეობაში.⁷¹ დაცვის მხარის მიერ ალტერნატიული ექსპერტიზა ორჯერ ჩატარდა, სადაც ნათლად არის მითითებული, რომ პაციენტს ესაჭიროება სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა, ითვლება პროგნოზულად მძიმე ავადმყოფად და არის ფატალური გართულებების მაღალი რისკის ქვეშ. ყოველივე ეს უნდა ყოფილიყო სასჯელალსრულების სამედიცინო დაწესებულებაში მისი გადაყვანის და მკურნალობის საფუძველი, თუმცა, ციხის ადმინისტრაციის მხრიდან აღნიშნული არ განხორციელდა.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოებაც, რომ განსასჯელის წერილობითი განცხადებით, მის მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ მოპყრობას, რაც გამოიხატა იძულებითი ინექციის გზით ნივთიერების სხეულში შეყვანით. განსასჯელის თქმით, პირველი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოცხადების წინ, როდესაც მას გადაწყვეტილი ჰქონდა, არ დასწრებოდა პროცესს, იძულებით გაუკეთეს ინექცია. ამგვარი ზემოქმედების შემდეგ მას დროებით შეეზღუდა ცნობიერება და შესაძლებელი გახდა, მისი ნების სანინალმდეგოდ, პროცესზე დასასწრებად ბარაგირება. აღნიშნულის შემდეგ დაცვის მხარემ კვლავ ჩაატარა ალტერნატიული ექსპერტიზა, რომლის წინაშეც, სხვა საკითხებთან ერთად, ვ.ვახანიას ინტოქსიკაციის (მონამგლის) ფაქტის დადგენაც იყო დასმული. ამის გამო ექსპერტთა კომისიაში მონაწილე იქნა ტოქსიკოლოგი, რომელმაც სისხლის გამოკვლევა არ ჩაატარა და მიზეზად მიუთითა ინტოქსიკაციის ფაქტის შემდეგ დიდი დროის გასვლა, ანუ აღნიშნული საკითხის გარკვევის ნაწილში ექსპერტიზის დაგვიანება. ექსპერტიზის დაგვიანებით ჩატარება კი, ციხის ადმინისტრაციის მიზეზით განხორციელდა, კერძოდ, უსაფუძვლოდ გაჭიანურდა საექსპერტო შემონმებისათვის საჭირო პირობებით ექსპერტების უზრუნველყოფა. ადვოკატების თქმით, იძულებითი ინექციის გზით ნივთიერების შეყვანის კვალი ალბექდილი იყო ვახანიას სხეულზე და სამედიცინო შემონმებით და ექსპერტიზითაც ეს ადვილად დადგინდებოდა, აღნიშნული ექსპერტიზა თავის დროზე რომ განხორციელებულიყო.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ განსასჯელის განცხადების მიუხედავად, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო წინასწარი გამოძიება ვახანიას მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით, რომელზეც არანაირი ქმედითი საგამოძიებო ღონისძიება არ ჩატარებულა.

- **სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება ვ.ვახანიას მიმართვებზე**

თავად ვ. ვახანიამ არაერთხელ მიმართა საგამოძიებო ორგანოებს მის მიმართ განხორციელებული უკანონო ფაქტების გამოძიების მოთხოვნით. ვ.ვახანიას ადვოკატების განმარტებით, მიმართვებს ქმედითი რეაგირება არ მოჰყოლია სამართალდამცავების მხრიდან. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვახანიასათვის

⁷¹ იხ. სამედიცინო ცნობა, რომელიც ადასტურებს მითითებულ დროს სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახების ფაქტს და ამის შემდეგ გაცემული ცნობა, რომელიც ვახანიას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას ასახავს.

პასპორტების ჩამორთმევისა და მისი ავტომანქანის გაქურდვა/დაზიანების ფაქტებთან დაკავშირებით, დაწყებულია წინასწარი გამოძიება, რომელსაც ქმედითი ზომები არ მოჰყოლია. წინასწარი გამოძიება ასევე დაიწყო ვახანიას მიმართ ციხეში განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით. ვახანიას ადვოკატების დაჟინებული შუამდგომლობების მიუხედავად, სადაც ისინი დაკითხვას მოითხოვენ, გამომძიებლის მიერ ჯერ კიდევ არ დაკითხულან.

ვახანიას განცხადებით, სასჯელალსრულებით დაწესებულებაში ყოფნის დროს⁷² მასზე განხორციელდა ზენოლა. კერძოდ, მასთან შევიდა პროკურორი და აიძულებდა, დათანხმებოდა ბრალის აღიარებას, ამის შემდეგ კი ქვეყანა დაეტოვებინა. ვახანიამ ამის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს პროცესზე განაცხადა და, ამასთან, განცხადებით მიმართა მთავარ პროკურატურას შესაბამისი ზომების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში მითითებულია დანაშაულის ელემენტებზე, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია.

• შერჩევითი მართლმსაჯულება

სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლა – წარმოადგენს ჟურნალისტის მიერ თავისი კანონიერი საქმიანობის დაცვის უმნიშვნელოვანეს ბერკეტს. ამ მუხლის არსებობისათვის, აუცილებელია არსებობდეს სპეციალური სუბიექტი დაზარალებულის სახით და ეს უნდა იყოს ჟურნალისტი.

დღესდღეობით სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკაში მოიპოვება ისეთი საქმეები, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, იგი დაკვალიფიცირებულია სხვა მუხლით. ამ ტენდენციას ადასტურებს ჩვენ მიერ შესწავლილი საქმე სამაუწყებლო კომპანიების „მაესტროს“ და „კავკასიის ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტზე. 2009 წლის 15 ივნისს შსს-ს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს „მაესტროს“ ჟურნალისტებს, რომლებიც მიმდინარე მოვლენის შესახებ რეპორტაჟს ამზადებდნენ, პოლიციის თანამშრომლებმა იძულებით ჩამოართვეს ვიდეო კამერები, მოპოვებული საინფორმაციო მასალები და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ეს ქმედებები პირდაპირ წარმოადგენს 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. სისხლის სამართალწარმოება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლით – ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა. ამ დანაშაულის შემადგენლობას არანაირი საერთო არ აქვს 154-ე მუხლთან. მისი შინაარსიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ გამოძიება დაწყებულია არა უშუალოდ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების გამოსაძიებლად, არამედ მიმდინარე საპროტესტო აქციის, როგორც ჯგუფური მოქმედების, ორგანიზატორთა ან მასში აქტიურად მონაწილე პირთა გამოსავლენად. აღნიშნული გარემოება ცალსახად მიუთითებს, რომ ქმედება დარჩა რეაგირების გარეშე და მასზე წინასწარი გამოძიებაც კი არ დაწყებულა.

⁷² ვ.ვახანიას განცხადებით, მასზე ზეწოლა განხორციელდა 2010 წლის 11-12 იანვარს.

ყოველივე ზემოხსენებული აშკარად მიუთითებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადგილი აქვს, ერთ შემთხვევაში, მყისიერ რეაგირებას (იგულისხმება ვლადიმერ ვახანიას სისხლის სამართლის საქმე), ხოლო მეორე შემთხვევაში (იგულისხმება სამაუნეებლო კომპანიების – „მაესტროსა“ და „კავკასიის“ – ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ქმედებები), ფაქტის რეაგირების გარეშე დატოვებას.

4. დასკვნა

ვლადიმერ ვახანიას სისხლის სამართლის საქმის შესწავლისას, გამოიკეთა უამრავი არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევა როგორც გამოძიების, ისე სამართლო განხილვის სტადიაზე. აღნიშნულმა დარღვევებმა უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა ვახანიას მსჯავრდებაზე, რაც აღძრავს საფუძვლიან ეჭვს მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებულობასა და კანონიერებაზე.

1.2. 4. გოჩა ჯიქიას საქმე

1. გოჩა ჯიქიას პოლიტიკური საქმიანობა

გოჩა ჯიქია რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერია ჩოხატაურიდან. იგი აქტიურად მონაწილეობდა 2007 წლის შემოდგომისა და 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციებში.

2. გოჩა ჯიქიას სისხლის სამართლის საქმე

ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 ივლისის განაჩენით, საქმეზე №1/49-09, გოჩა ჯიქია დამნაშავედ იქნა ცნობილის სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებათა ჩადენაში. კერძოდ, მას ბრალი დაედო საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა/შენახვა/ტარებაში და, საქმეზე გამოტანილი განაჩენით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 6 თვის ვადით. სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენში შეტანილ იქნა ცვლილება სასჯელის ნაწილში და გ. ჯიქიას განესაზღვრა ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით, რაც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შეუმსუბუქდა და, საბოლოოდ, განესაზღვრა ჯარიმა 2 500 ლარის ოდენობით.

3. დარღვევები გოჩა ჯიქიას სისხლის სამართლის საქმეში

• გოჩა ჯიქიას მიმართ წარდგენილი ბრალდება

გოჩა ჯიქიას ბრალად წარდგენილი აქვს საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების, ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შექმნა. მის საქმეზე დამდგარ განაჩენში არ გვხვდება დასაბუთება, გასულია თუ არა ხანდაზმულობის ვადა მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით.

- **ოპერატიულ ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკა**

გოჩა ჯიქიას სისხლის სამართლის საქმეზე პირველად საგამოძიებო მოქმედებას – ჩხრეკას – სამართლებრივ საფუძველად დაედო მხოლოდ ოპერატიული ინფორმაცია.

- **ჩხრეკის გადაუდებლობა**

ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში. საგამოძიებო მოქმედებას საფუძველად დაედო პატაკი, თუმცა, მასში არ არის დაკონკრეტებული, როდის გახდა საგამოძიებო ორგანოებისთვის ცნობილი ინფორმაცია შესაძლო დანაშაულის შესახებ. შესაბამისად, ეჭვქვეშ დგას გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა. გადაუდებელი ჩხრეკის აუცილებლობა გულისხმობს სიტუაციას, როდესაც მყისიერი მოქმედებაა საჭირო. გოჩა ჯიქიას საქმეში ვერც ბრალდების მხარემ დაადასტურა და ვერც სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციელები მოქმედებდნენ გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში.⁷³

- **ექსპერტის სააღბათო დასკვნა**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დასჯადია მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის შექმნა-შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.⁷⁴ გოჩა ჯიქიას სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი ბრალდება ეფუძნებოდა იმას, რომ ჯიქიას აღმოუჩინეს 3 ტიპის საბრძოლო მასალა,⁷⁵ მათ შორის, კაფსულ-დეტონატორი.⁷⁶ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ექსპერტმა სააღბათოდ განაცხადა, რომ იგი მიეკუთვნებოდა „სავარაუდოდ ვარგის საბრძოლო მასალას“.⁷⁷ შესაბამისად, დაუშვებელი იყო გ. ჯიქიას მესამე – საბრძოლო მიზნებისთვის გამოუყენებადი – იარაღისთვისაც მსჯავრდება.

- **დამსწრეთა მონაწილეობა**

დამსწრეთა⁷⁸ სასამართლო პროცესზე დაკითხვისას, მათ პირდაპირ მიუთითეს,

⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, 2009 წელს ჩატარებული ჩხრეკის შესახებ შუამდგომლობების 99.9% დაკმაყოფილდა. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

< http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=1171&lang=1 > [ნანახია 2010 წლის სექტემბერში]

⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის №1014აპ-09 განჩინება. ეს არის მსჯავრდებულ რომან კაკაშვილის საქმე, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული. რომან კაკაშვილის ბრალი წაყენდა იარაღის და ტყვიების შექმნა/შენახვისთვის. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კაკაშვილს ტყვიების ნაწილში ბრალი მოუხსნა, რადგან, ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ისინი საბრძოლო მიზნებისთვის სავარაუდოდ ვარგისი იყო.

⁷⁵ ამ საქმეში ჯიქიას ამოუღეს სამი ტიპის საბრძოლო მასალა.

⁷⁶ როდესაც ხდება რამდენიმე იარაღის ამოღება, ამ დროს ბრალის წაყენება ხდება ერთი მუხლით. კაფსულ-დეტონატორი მიეკუთვნებოდა ერთ-ერთ საბრძოლო მასალას ჩხრეკის შედეგად ნანახი სამი ტიპის იარაღიდან.

⁷⁷ იხილეთ ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი გოჩა ჯიქიას საქმეზე.

⁷⁸ ამ საქმეში დამსწრე იყო მამუკა ცინცაძე, რომლის საქმეც ზემოთ არის განხილული.

რომ ჩხრეკისას ისინი სრულად ვერ ხედავდნენ საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ პირს, გამომძიებელს და ვერც მის მიერ განხორციელებული მოქმედებების ასახვა შეძლეს. სსსკ-ს 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დამსწრე მოიწვევა ჩხრეკის ჩატარების ფაქტის, მიმდინარეობის და შედეგების დასადასტურებლად. როგორც დამსწრეთა ჩვენებებიდან ირკვევა, მათ არ მიეცათ საშუალება, სრულყოფილად ედევნებინათ თვალი ჩხრეკის მიმდინარეობისთვის. ცინცაძისა და ბერძენიშვილის⁷⁹ ჩვენებების თანახმად, ისინი გამომძიებლის ყველა მოქმედებას ვერ ხედავდნენ. მათ არ დაუნახავთ უშუალოდ საგნების ამოღების ადგილი, ვინაიდან ამ დროს ავტომანქანის კარი მიხურული იყო. ამის გამო, ეჭვქვეშ დგება ნივთების ამოღების კანონიერების საკითხი.

იქიდან გამომდინარე, რომ დამსწრეებს არ მიეცათ შესაძლებლობა, ბოლომდე თვალი ედევნებინათ ჩხრეკის მიმდინარეობისთვის, გ. ჯიქიას სისხლის სამართლის საქმეში ბრალდების სასარგებლოდ მხოლოდ ჩხრეკაში მონაწილე პოლიციელებმა მისცეს ჩვენებები.

• ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულება

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა,⁸⁰ ჩხრეკის დროს ამოღებული ნივთები შეხვეული იყო შავ პოლიეთილენის პარკში, რომელიც გამომძიებელმა ცქვიტინიძემ გახია და გადააგდო. სსსკ-ს 323-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, ჩხრეკის დროს ამოღებული ყველა საგანი, საჭიროა: „დანვრილებით აღინეროს ოქმში, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეიფუთოს და დაილუქოს.“ ამ შემთხვევაში, პარკი, მასში მოთავსებული საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელ მონყობილობასა და ფეთქებად ნივთიერებასთან ერთად, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ჩხრეკის დროს ამოღებულ საგანს, რომელიც უნდა დალუქულიყო სათანადო წესით და გადაგზავნილიყო დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზაზე. აბსოლუტურად შესაძლებელია, ის გამომდგარიყო ნივთიერ მტკიცებულებად მასზე დარჩენილი თითის კვალისა თუ სხვა ინდივიდუალური ნიშნის გამო (შესაძლებელია, სხვა საგამოძიებო მოქმედების ან ვერსიის წარმოშობის საფუძველიც კი გამხდარიყო). ამის სანინააღმდეგოდ, ამოღებული საგნები ნაწილობრივ განადგურებულ იქნა.⁸¹

• დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა არ ჩატარებულა გ. ჯიქიასგან ამოღებულ არც ერთ იარაღზე. ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, იარაღის გ. ჯიქიას მიერ შენახვა დადასტურდებოდა უტყუარად. ექსპერტიზის არარსებობის პირობებში, ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რეალურად ეკუთვნოდა თუ არა გ. ჯიქიას ამოღებული საგნები, დადასტურებულად ვერ ჩაითვლება.

⁷⁹ აღნიშნული პირები იყვნენ დამსწრეები.

⁸⁰ იხ. სასამართლო სხდომის ოქმი, მოწმეების: ნინო ბერძენიშვილის, მამუკა ცინცაძის, ვალერიან სალუქვაძის, არჩილ სირაძის, ანტონ დოლიძის, ირაკლი ცქვიტინიძის, კახა ბერძენიშვილის ჩვენებები.

⁸¹ პარკის მთლიანობა დაირღვა და მასზე შესაძლო არსებული კვალი წაიშალა მექანიკური ზემოქმედების შედეგად.

- **ჯიქიას სასჯელი**

ჯიქიას მიმართ სასამართლომ სასჯელად ჯარიმა გამოიყენა. დანიშნული სასჯელი მეტად უცნაურია თავისი ლმობიერების გათვალისწინებით, რადგან ამ საქმეში ბრალდებული არ თანამშრომლობდა ბრალდების მხარესთან, სახეზე არ იყო რაიმე მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი გარემოება და იგი მსჯავრდებულ იქნა წარდგენილი ბრალდების ორივე ალტერნატიული შემადგენლობისთვის.

- **გაჭიანურებული სისხლისსამართლებრივი დევნა**

გორა ჯიქიას საქმე სხვა მხრივაც საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს. საქმეზე წინასწარი გამოძიება 2007 წლის 26 ნოემბერს დაიწყო. ფაქტობრივად, გამოძიებაში ის საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა შედეგად მიღებულ მტკიცებულებებსაც ემყარება საბრალდებო დასკვნა, დაახლოებით სამ თვეში ამოწურა. ობიექტურად, შესაძლებელი იყო, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება დასრულებულიყო და საქმე სასამართლოში გადაგზავნილიყო. ამის სანინაღმდეგოდ, იგი არაგონივრულად გაჭიანურდა და საქმე სასამართლოში გადაიგზავნა 2008 წლის ნოემბერში (ბოლო ძირითადი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 10 თვის შემდეგ). პირველი სასამართლო პროცესი აღნიშნულ საქმეზე ჩატარდა 2009 წლის 30 მარტს (საქმის გადაგზავნიდან 4 თვის შემდეგ), 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ წინასწარი გამოძიება არის შემოსაზღვრული კონკრეტული ვადით. ბრალდებულად პირის ყოფნა ერთი და იგივე ბრალდებისთვის შეიძლება მხოლოდ 12 თვის განმავლობაში.⁸² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირი ბრალდებულად მიიჩნევა საბრალდებო დასკვნით საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე. ამის შემდეგ პირი იძენს განსასჯელის სტატუსს.⁸³ ბრალდებულს გირაო შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ და მხოლოდ 12 თვის განმავლობაში, რადგან, ზოგადად, ეს სტატუსი ამ ვადით მოქმედებს. მაგრამ კანონმდებლობაში არ არსებობს განსასჯელად⁸⁴ პირის ყოფნის შემზღვეველი ვადა და როდესაც ამ უკანასკნელის მიმართ გირაო გამოიყენება, სისხლისსამართლებრივი დევნის ფაქტობრივი შეჩერება განუსაზღვრელად შეიძლება. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ საქმეში კანონმდებლობის ხარვეზი პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ ეფექტურად იქნა გამოყენებული.

4. დასკვნა

ზემოთ აღწერილი პროცედურული დარღვევებისა და მატერიალური კანონმდე-

⁸² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლი.

⁸³ გარდა ამისა, საპროცესო კოდექსი იცნობს ვადების განსაზღვრის შესაძლებლობას იძულებითი ღონისძიებების მეშვეობით. მაგალითად, სსსკ-ის 162-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. პატიმრობის გამოყენებისას, სასამართლოც და პროკურატურაც შეზღუდვები არიან ცხრა თვიანი ვადით და, შესაბამისად, საქმის საბრალდებო დასკვნით გადაგზავნის შემდეგ განაჩენიც 9 თვეში დგება. როცა აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია გირაო, ამ დროს არ არსებობს არანაირი ვადა.

⁸⁴ განსასჯელი არის პირი, რომელსაც წაყენებული აქვს ბრალდება და საქმე გადაგზავნილია საბრალდებო დასკვნით სასამართლოში.

ბლობის დარღვევის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის და სასჯელის მიზნებს პოლიტიკური მოტივაცია დაედო საფუძვლად.

1.2.5. თამაზ ტლაშაძის საქმე

1. თამაზ ტლაშაძის პოლიტიკური საქმიანობა

თამაზ ტლაშაძე არის გორში „რესპუბლიკური პარტიის“ აქტივისტი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი ქალაქის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. იგი მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის წინ 2009 წლის გაზაფხულზე მიმდინარე საპროტესტო აქციებში და იყო „კარვების ქალაქის“ ბინადარი.

2. თამაზ ტლაშაძის სისხლის სამართლის საქმე

თამაზ ტლაშაძე 2009 წლის 15 ივნისს დაახლოებით ღამის 12-ის ნახევარზე დააკავეს. იგი მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა/შენახვა. თ.ტლაშაძეს გორის რაიონულმა სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა აღნიშნული განაჩენი სასჯელის ნაწილი და თ.ტლაშაძეს 6 თვემდე შეუმცირა თავისუფლების აღკვეთა. 2009 წლის 14 დეკემბერს ტლაშაძე გათავისუფლდა პატიმრობიდან. სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მას ჩამოერთვა 5 წლის ვადით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლება.

3. დარღვევები თამაზ ტლაშაძის საქმეში

• ტლაშაძის ბრალდება

სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლითაც თამაზ ტლაშაძე იქნა მსჯავრდებული, შეიცავს რამდენიმე ალტერნატიულ შემადგენლობას, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნას და შენახვას.

თამაზ ტლაშაძე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვისთვის იყო მსჯავრდებული. პრობლემა, რომელიც ამ ბრალდების მიმართ არსებობს, არის უკანონოდ შექმნის ფაქტის დადასტურება. ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, ტლაშაძის მსჯავრდება არ უნდა მომხდარიყო ნარკოტიკული საშუალების შექმნისთვის, ვინაიდან უკანონოდ შექმნის ფაქტი არ დადასტურებულა.

- **სასამართლო პროცესზე არგამოკვლევული ნივთმტკიცება**

2009 წლის 15 ივლისს პოლიციელებმა მსჯავრდებულის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ერთი ცალი აბი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს შიდა ქართლის საექსპერტო-კრიმინალისტიკური განყოფილების 2009 წლის 16 ივნისის ექსპერტის დასკვნით, შეიცავდა 0,00418 გრამ „ბუპრენორფინს“.

ამოღებული აბის ნივთმტკიცებად ცნობა მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას მოსამართლემ გამოაქვეყნა ყველა მტკიცებულება, მათ შორის, ნივთმტკიცებად ცნობის დადგენილება, მაგრამ გამოკვლევული და გამოქვეყნებული არ ყოფილა თავად ნივთმტკიცება – აბი.⁸⁵

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ დაუთვალა იერებია ნივთმტკიცება, თამაზ ტლაშაძის საქმის განხილვისას, სასამართლო კამათის დროს, ნივთმტკიცება⁸⁶ გამოიყენა როგორც ბრალდების მხარემ, ასევე სასამართლომ, რომლის განაჩენიც⁸⁷ სწორედ ამ ნივთმტკიცებას დაეყრდნო. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რეალურად არსებობდა თუ არა ასეთი მტკიცებულება.

- **ბრალდებულის ჩხრეკა და დაკავება**

თამაზ ტლაშაძე 2009 წლის 15 ივლისს გაჩხრიკეს და შემდეგ დააკავეს. კერძოდ, მისი ჩხრეკა დაიწყო 23²⁵ საათზე და დამთავრდა 23⁴⁰ საათზე. ამას მოჰყვა მისი ფორმალური წესით დაკავება 23⁴² საათზე.

თამაზ ტლაშაძის საქმეში არ არსებობდა არანაირი **მტკიცებულება** იმასთან დაკავშირებით, რომ მას ნარკოტიკული საშუალება ჰქონდა ჩხრეკის ჩატარებამდე. მისი გაჩხრეკა მოხდა მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. ოპერატიული ინფორმაცია არ წარმოადგენს საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ ადამიანის უფლებებზე სფეროში ჩარევა მიჩნეულ იქნეს კანონიერად. ამ შემთხვევაში, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, თამაზ ტლაშაძეს ნამდვილად გააჩნდა თუ არა ნარკოტიკული საშუალება, ვინაიდან, რეალურად, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება (საქმეში არსებული და ჩვენთვის ცნობილი), რომელიც დაადასტურებდა თ. ტლაშაძის მიერ ნარკოტიკული საშუალების შესაძლო ფლობას. მტკიცებულების არსებობა და, ზოგადად, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება მიზნად ისახავს ყოველგვარი თვითნებობის გამორიცხვას საგამოძიებო ორგანოთა მხრიდან. იმ პირობებში, როცა ინფორმაციის წყარო მხარისათვის უცნობია და შეუძლებელია მისი შემდგომი გადამოწმება, ჩნდება კითხვა, თუ საიდან გაიგეს პოლიციელებმა ტლაშაძის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ.

- **გადაუდებელი აუცილებლობა**

ამ საქმეში ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში. არც

⁸⁵ იხ. სასამართლო სხდომის ოქმი, გვ. 20.

⁸⁶ იხ. სასამართლო სხდომის ოქმი, გვ. 29.

⁸⁷ გორის რაიონული სასამართლოს 14 აგვისტოს განაჩენი, №1/ბ-1513-09.

გამომძიებლის და არც მოსამართლის დადგენილება არ შეიცავს მითითებას გარემოებებზე, რომლებიც მოითხოვდა მყისიერ მოქმედებას. აღნიშნულის დასაბუთების გარეშე დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მოთხოვნები⁸⁸ და ასევე საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უშვებს პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვას მოსამართლის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

• დამსწრე

თამაზ ტლაშაძის საქმეში მონვეული არ იყო დამსწრე ჩხრეკის ჩატარებისას. ოქმში მითითებულია, რომ გასაჩხრეკმა პირმა უარი განაცხადა დამსწრეთა მონვევაზე. აღნიშნულს არ დაეთანხმა ტლაშაძე და ოქმს ხელი არ მოაწერა. დამსწრის მონვევა არის გასაჩხრეკი პირის ერთ-ერთ უფლებათაგანი. ტლაშაძის განცხადებით, მას არ განემარტა ზემოთ აღნიშნული უფლება. ამის გამო, მან ოქმსაც არ მოაწერა ხელი. ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა არგუმენტი, რომელიც გაამართლებდა დამსწრის არმონვევას. მაშასადამე, არსებობს ეჭვი, დაირღვა თუ არა პოლიციის მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნა.⁸⁹

ზემოაღნიშნულის ფონზე, ბრალდების მხარის პოზიცია სასამართლო პროცესზე მხოლოდ იმ პოლიციელებმა გაამყარეს მონმის სახით, რომლებიც საგამომძიებო მოქმედებებს თავად ატარებდნენ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამკავებელი შეიძლება იყოს მონმე სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ იმ ფონზე, როდესაც არსებობს ეჭვი გასაჩხრეკი პირის მიერ დამსწრეთა მონვევაზე უარის თქმის კანონიერების შესახებ, მხოლოდ პოლიციელების ჩვენების კანონიერება საეჭვოა.

• დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა

ნარკოტიკული საშუალების ამოღების დროს, მართალია, რთულია დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარება ამოღებული საგნის სიმცირიდან გამომდინარე, მაგრამ შესაძლებელია. თ. ტლაშაძის საქმეში გამომძიებლებს არ უცდიათ ექსპერტიზის ჩატარება წინასწარ საექსპერტო შემონმებამდე. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში ჯერ ქიმიური ექსპერტიზა ჩატარდა, რამაც შეუძლებელი გახადა შემდგომი დაქტილოსკოპიური შემონმება.⁹⁰

• ტლაშაძის სასჯელი

საბოლოო სასჯელად თამაზ ტლაშაძეს დაენიშნა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. აღნიშნული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. ეს მუხლი განსაზღვრავს ალტერნატიულ დანაშაულს, რომლის თითოეული შემად-

⁸⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების კანონისმიერად შეზღუდვის პროცედურა.

⁸⁹ მოახდინოს დამწერეთა მოწვევის უფლების განმარტება.

⁹⁰ ექსპერტიზის ჩატარების ხასიათიდან გამომდინარე.

გენლობის განხორციელება საკმარისია იმისათვის, რომ სახეზე იყოს ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. თ. ტლაშაძე გაამტყუნეს ორი შემადგენლობის ჩადენაში – შეძენა და შენახვა. შესაბამისად, გამართლებული იქნებოდა ტლაშაძისთვის უფრო მაღალი სასჯელის დანიშვნა. სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაც აშკარად ცხადყოფს, რომ სასჯელი 260-ე მუხლით მსჯავრდებისას უფრო მაღალია, ვიდრე ამ შემთხვევაში.

4. დასკვნა

თამაზ ტლაშაძის საქმეში ადგილი აქვს საპროცესო კანონმდებლობის არაერთი მოთხოვნის დარღვევას. აღნიშნული აღძრავს საფუძვლიან ეჭვებს მთლიანი სამართალწარმოების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.

1.2. 6. დავით გუდაძის საქმე

1. დავით გუდაძის პოლიტიკური საქმიანობა

დავით გუდაძე რესპუბლიკური პარტიის გორის ორგანიზაციის წევრი და 2009 წლის ოპოზიციური საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილეა.

2. დავით გუდაძის საქმე

დავით გუდაძე დაკავებულ იქნა 2009 წლის 15 ივნისს. გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 აგვისტოს განაჩენით გუდაძე მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის – საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ კანონიერად და დასაბუთებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის განაჩენი და მხოლოდ სასჯელი შეამცირა. ნაცვლად დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული 4 წლით თავისუფლების აღკვეთისა, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3000 ლარი ჯარიმა. სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, საბოლოო სასჯელად დავით გუდაძეს, წინასწარი პატიმრობის გათვალისწინებით, განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

3. დარღვევები დავით გუდაძის საქმეში

- დავით გუდაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება

დავით გუდაძეს ბრალად წარდგენილი აქვს საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა. მსგავსად ზემოთ განხილული საქმეებისა, განაჩენში აქაც ვერ ვხვდებით დასაბუთებას, გასულია თუ არა ხანდაზმულობის ვადა აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით. ასეთი ვარაუდის გაქარწყლების მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეში არ დევს. შეძენის ფაქტთან დაკავშირებით მითითებულია, რომ იგი დაუდგენელ დროსა და ვითარებაში განხორციელდა. ამ ფონზე არ დასტურდება, რომ ხანდაზმულობის ვადა არ არის გასული.

- **ოპერატიულ ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკა**

დავით გუდაძის მიმართ ჩხრეკა ჩატარდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმეში დევს გამომძიებელ მიხეილ პაპელიშვილის პატაკი, რომლის მიხედვითაც, არსებობს ოპერატიული ინფორმაცია, რომ ავტომობილში სახელმწიფო ნომრით 300 ინახება ხელყუმბარა. ამის შემდეგ ხდება გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმით ჩხრეკის ჩატარება. საქმის შემდგომი მსვლელობისას, ოპერატიული ინფორმაციის წყარო არ იქნა გამოყვანებული. შესაბამისად, ამ საქმეშიც ჩხრეკა ჩატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების დაცვის გარეშე.

- **ჩხრეკის გადაუდებლობა**

ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გადაუდებელი აუცილებლობა უნდა დასაბუთდეს. ამ საპროცესო მოქმედებას საფუძვლად დაედო ოპერატიული ორგანოს მიერ შედგენილი პატაკი. გამომძიებლის დადგენილება ჩხრეკის ჩატარების შესახებ არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას ჩხრეკის გადაუდებელ რეჟიმში ჩატარების აუცილებლობის შესახებ. ასევე, სასამართლომ ისე განახორციელა გადაუდებელი ჩხრეკის დაკანონება, რომ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, თუ როდის გახდა ცნობილი ეს ინფორმაცია პოლიციისთვის. წარმოდგენილი პატაკი არ შეიცავდა ინფორმაციის მიღების დროსა და თარიღს. არადა დეტალები იმის შესახებ, თუ როდის გახდა ეს ინფორმაცია პოლიციისთვის ცნობილი, ლოგიკურად მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, სამართლებრივად იყო თუ არა გამართლებული აღნიშნული ღონისძიება.

- **დამსწრის მონვევა**

დამსწრის მონვევა ჩხრეკის ობიექტის მესაკუთრისთვის ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს. ამ გარანტიას აქვს უფლებრივი ხასიათი გასაჩხრეკი პირისთვის. კანონმდებლობის მოთხოვნაა, რომ გასაჩხრეკ პირს აღნიშნული უფლება განემარტოს, რაც, დავით გუდაძის განცხადებით, არ მომხდარა. ამის გამო, მან ოქმს ხელი არ მოაწერა. ვინაიდან დავით გუდაძეს არ მიეცა დამსწრეთა მონვევის უფლება, საქმეში მის წინააღმდეგ ჩვენება მხოლოდ პოლიციელებმა მისცეს.⁹¹

- **სასამართლოზე არგამოკვლეული მტკიცებულება**

დავით გუდაძის სისხლის სამართლის საქმეზე, მსგავსად სხვა საქმეებისა, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს მტკიცებულება სასამართლო გამოძიებისას არ გამოუკვლეუია. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირდაპირი მოთხოვნაა, მტკიცებულება სასამართლო პროცესზე იყოს გამოკვლეული.

⁹¹ სისხლის სამართალწარმოების მანძილზე დავით გუდაძე აცხადებდა, რომ მას არ განემარტა დამსწრის მოწვევის უფლება და, შესაბამისად, მათი მოწვევის ნება არ დაერთო.

- **ექსპერტიზის არარსებობა**

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა ერთ-ერთი კარგი საშუალებაა იმის დასადასტურებლად, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი პირის მიერ საგნის ფლობას, რათა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში დადგინდეს აკრძალული ნივთის შექენისა და შენახვის ფაქტი. მაგრამ ამ საქმეში, ისევე როგორც სხვა საქმეებში, აღნიშნული არ გადამონმებულა.

ამ საქმეში, ისევე როგორც სხვა საქმეებში, ჯერ ბალისტიკური ექსპერტიზა ჩატარდა, რამაც შეუძლებელი გახადა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარება. დაცვის მხარის შუამდგომლობა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ უარყოფილ იქნა, რადგან პირველადი ბალისტიკური ექსპერტიზის შემდეგ თითის ანაბეჭდების აღმოჩენა ვერ მოხერხდებოდა.⁹²

- **გუდაძის სასჯელი**

დავით გუდაძეს, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, დაენიშნა ჯარიმა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 2000 ლარამდე შეუმცირდა. აღნიშნული წარმოადგენს მსჯავრდებულისთვის პოზიტიურად არაპროპორციულ და დაუსაბუთებელ სასჯელს.

სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, განსაზღვრულია წესი, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შეცვლა ხდება ჯარიმით, ხოლო, პატიმრობის ვადის გათვალისწინებით, პირი მისგან მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდება. სამწუხაროდ, არ არსებობს ერთიანი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა აღნიშნული წესის გამოყენება. ასევე, არ არსებობს კანონისმიერი ბალანსი თავისუფლების აღკვეთასა და ჯარიმას შორის. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გაუგებარია, პატიმრობის რამდენი დღე უდრის, მაგალითად, 1000 ლარიან ჯარიმას და ა.შ. ვფიქრობთ, აუცილებელია, სასამართლო პრაქტიკით დადგინდეს კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც მოხდება პატიმრობის ვადის ჯარიმად კონვერტაცია.

4. დასკვნა

ნაყენებული ბრალდების შინაარსის, ჩატარებული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების, დანიშნული სასჯელის მიხედვით, იკვეთება არაერთი საპროცესო სისხლისსამართლებრივი დარღვევა.

1.2.7. რომან კაკაშვილის საქმე

1. რომან კაკაშვილის პოლიტიკური საქმიანობა

რომან კაკაშვილი პარტია „თავისუფლების“ ქარელის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა. იგი მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის წინ 2009 წლის

⁹² ბალისტიკური ექსპერტიზის დროს ხდება ხელის ანაბეჭდების გაქრობა სხვადასხვა ზემოქმედებიდან გამომდინარე.

გაზაფხულზე მიმდინარე საპროტესტო აქციებში და იყო „კარვების ქალაქის“ ბინადარი.

2. რომან კაკაშვილის სისხლის სამართლის საქმე

რომან კაკაშვილის დაკავება მოხდა 2009 წლის 17 ივნისს. დაკავებისას მას ამოუღეს ცეცხლსასროლი იარაღი და 9 მმ-იანი ერთი ვაზნა. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის განაჩენით, კაკაშვილი მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით – ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვა, ტარება და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ნოემბრის განაჩენით, კაკაშვილი მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და სასჯელად დაენიშნა 5000 ლარის ოდენობის ჯარიმა. სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, პატიმრობაში ყოფნის 5 თვიანი პერიოდის გამო, მას სასჯელი შეუმსუბუქდა და საბოლოო მოსახდელად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინებით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ძალაში დარჩა, ხოლო გაუქმდა მსჯავრდება 9 მმ-იანი ვაზნის ნაწილში, ექსპერტის სააღბათო დასკვნის გამო.

3. დარღვევები რომან კაკაშვილის საქმეში

• წარდგენილი ბრალდება

რომან კაკაშვილს ბრალად წარდგენილი აქვს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა. მსგავსად ზემოაღნიშნული საქმეებისა, განაჩენში აქაც ვერ ვხვდებით დასაბუთებას, გასულია თუ არა ხანდაზმულობის ვადა ამ დანაშაულთან მიმართებით. აღნიშნული ვარაუდის გაქარწყლების მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეში არ დევს. შეძენის ფაქტთან დაკავშირებით მითითებულია, რომ იგი დაუდგენელ დროსა და ვითარებაში განხორციელდა.

• ოპერატიული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც განხორციელდა დაკავება

რომან კაკაშვილი დააკავეს 2009 წლის 17 ივნისს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯერ მოხდა მისი დაკავება და შემდეგ ჩხრეკა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ დაკავება განხორციელდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა, დაკავების ოქმში ფორმალურადაც კი არ არის აღნიშნული, თუ რის საფუძველზე დააკავეს პირი. პოლიციელების განმარტებით, კაკაშვილს დანაშაულზე წაასწრეს. კერძოდ, ისინი კაკაშვილთან ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მივიდნენ, გადმოიყვანეს ცხენის ურმიდან, დააკავეს და შემდეგ გაჩხრიკეს, რის შედეგადაც აღმოუჩინეს ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. ამ შემთხვევაში, დაკავება განხორციელდა უსაფუძვლოდ. შესაბამისად, სახეზეა საკმაოდ უცნაური სიტუაცია, რადგან, რეალურად, ყოველგვარი ობიექტური

ექვსის გარეშე მოხდა კაკაშვილის დაკავება. ამ საქმეში უფლებების შეზღუდვის საფუძველი იყო მხოლოდ ოპერატიული ინფორმაცია. დაკავების საფუძველი კი გახდა დაკავების შემდეგ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი იარაღი. ანუ, ჯერ მოხდა პირის დაკავება და შემდეგ დაკავების საფუძველის აღმოჩენა.

- **გადაუდებელი ჩხრეკის ჩატარება**

რომან კაკაშვილის სისხლის სამართლის საქმეში ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში. არც ჩხრეკის დადგენილება, არც ჩხრეკის ოქმი, არც მოსამართლის დადგენილება არ შეიცავს დასაბუთებას საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლობის შესახებ.

- **სასამართლოზე არგამოკვლეული მტკიცებულება**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა, მტკიცებულების სასამართლოზე გამოკვლევის საკითხია. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნაა, რომ პროცესზე იქნეს გამოკვლეული ყველა მტკიცებულება. კანონი პირდაპირ ადგენს, რომ ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერება უნდა მოხდეს პროცესზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აკრძალულია მტკიცებულების განაჩენში მოხსენიება. ხაშურის რაიონული და თბილისის სააპელაციო სასამართლოები ექსპლიციტურად მიუთითებენ მტკიცებულებებზე მისი გამოკვლევის გარეშე. აღნიშნული კი, კანონის დარღვევას წარმოადგენს.

- **დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა**

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა არც ამ საქმეზე ჩატარებულა. რეალურად, ნივთის შენახვა, შეძენა გარკვეული ფიზიკური კონტაქტის გარეშე შეუძლებელია, შესაბამისად, ასეთის დადასტურება ნებისმიერ საქმეზე იქნება საკმაოდ კარგი მტკიცებულება ბრალდების სასარგებლოდ და ასევე უზრუნველყოფს საქმის ყოველმხრივ სრულად გამოკვლევას.

- **მონმე პოლიციელები და დამსწრის არარსებობა**

სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის სასარგებლოდ ჩვენება მისცეს მხოლოდ პოლიციელებმა. ამ საქმეზე დამსწრეები ასევე არ იყვნენ მონვეულნი. დამსწრის მონვევის უფლება არის ბრალდებულის უფლებათაგანი და მასზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს ნებაყოფლობით, მკაფიოდ და არაორაზროვნად. თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის მიმართ დაცვის მიერ წარდგენილ იქნა პრეტენზიები „იარაღის ჩადებასთან“ დაკავშირებით, ასევე იმასაც, რომ დამსწრეებზე უარი მხოლოდ ჩხრეკის ჩამტარებელი გამოძიებლის მიერ არის დაფიქსირებული ჩხრეკის ოქმში,³³ არ დასტურდება უფლებაზე უარის თქმა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით.

³³ რომელსაც ხელს არ აწერს გასაჩხრეკი პირი.

- **მონმე ივანე ნანეტაშვილის ჩვენება**

დაცვის მხარის შუამდგომლობით დაკითხულმა მონმემ ივანე ნანეტაშვილმა დეტალურად აღწერა რომან კაკაშვილის დაკავების ფაქტი, ვინაიდან იქვე იმყოფებოდა. მისი თქმით, არანაირ ჩხრეკას რომან კაკაშვილის დაკავებისას ადგილი არ ჰქონია, პოლიციის თანამშრომლებმა კაკაშვილი მანქანაში იძულებით ჩასვეს და მისთვის გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მონმის ჩვენება არც ერთი სასამართლო ინსტანციის მიერ არ იქნა გაზიარებული. სასამართლო მხოლოდ პოლიციელების ჩვენებას დაეყრდნო.

- **კაკაშვილის სასჯელი**

რომან კაკაშვილს წარდგენილი ჰქონდა ორი ბრალდება და სასჯელად განესაზღვრა 5000 ლარის ოდენობის ჯარიმა, რაც არ შეიძლება ადეკვატურ სასჯელად ჩაითვალოს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ბრალდებული არც ერთ ბრალდებას არ აღიარებს. ამ საქმეშიც გამოყენებულ იქნა სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი, ყოველგვარი ერთგვაროვანი კრიტერიუმის და საფუძვლის გარეშე.

4. დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნული აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რომან კაკაშვილის სისხლის სამართლის საქმეში პროცესი წარიმართა კანონის დარღვევით.

1.2.8. მამუკა შენგელიას საქმე

1. მამუკა შენგელიას პოლიტიკური საქმიანობა

მამუკა შენგელია 2009 წლამდე მუშაობდა შსს-ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში. იგი პოლიტიკური მოძრაობის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ აქტივისტია და ბადრი ბიწაძესთან დაახლოვებულ პირად ითვლება.

2. მამუკა შენგელიას სისხლის სამართლის საქმე

მამუკა შენგელიას ბრალად წარედგინა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა – დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის მცდელობა; ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა – ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა (ორი ეპიზოდი) და ამავე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დახმარება, როგორც მესამე ეპიზოდი (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენაში დახმარება – სისხლის სამართლის კოდექსის 25, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული). მოგვიანებით, საბრალდებო დასკვნით დაზუსტდა წარდგენილი ბრალდება 236-ე მუხლთან დაკავშირებით და, შეძენა-შენახვის ნაცვლად, ორ ეპიზოდში წარედგინა მხოლოდ შენახვის ბრალდება.

2009 წლის 12 ოქტომბერს მ. შენგელია დამნაშავედ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით შეეფარდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 000 ლარი ჯარიმა. აქედან: სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილისთვის შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარი (ერთი ეპიზოდი); სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილისთვის შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარი (მე-2 ეპიზოდი); სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილისთვის – ჯარიმა 1000 ლარი (მე-3 ეპიზოდი); სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტისთვის – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული როგორც სააპელაციო, ისე უზენაესი სასამართლოს მიერ.

3. დარღვევები მამუკა შენგელიას სისხლის სამართლის საქმეში

• დაკავების საფუძვლები

2009 წლის 17 მარტს, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ გამოძიება დაიწყო მამუკა შენგელიას მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ფაქტზე – დანაშაული, გათვალისწინებულ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო დიმიტრი ქინქლაძის განცხადება (მამუკა შენგელიას ყოფილი თანამშრომელი). როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 2009 წლის 14 მარტს დ. ქინქლაძემ მ. შენგელიასგან პირად საუბარში შეიტყო, რომ მ. შენგელია ჩაბმული იყო ნინო ბურჯანაძის ოპოზიციურ მოძრაობაში, რომელიც ბადრი ბინაძესთან ერთად აპირებდა არსებული ხელისუფლების შეცვლას ყველანაირი გზის გამოყენებით, რომ იგი იყო ბადრი ბინაძის მარჯვენა ხელი და რომ მ. შენგელიას სასაზღვრო პოლიციიდან წამოღებული ჰქონდა აღურიცხავი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. დიმიტრი ქინქლაძემ, სამართალდამცავ ორგანოებთან ნებაყოფლობით თანამშრომლობის პირობებში, 2009 წლის 19 მარტს მამუკა შენგელიას შესთავაზა იარაღისა და ნარკოტიკების შეძენა. მ. შენგელიამ დ. ქინქლაძისგან იარაღის შეძენაზე უარი განაცხადა, თუმცა, მან დააკავშირა სხვა პირთან, რომელმაც შეძენა განახორციელა 2009 წლის 20 მარტს. რაც შეეხება ნარკოტიკულ ნივთიერებას, იგი ერთდროულად შეთავაზებულ იქნა როგორც ფხვნილის, ისე ინექციის სახით.

2009 წლის 23 მარტს, 05³³ სთ-ზე მამუკა შენგელია დაკავებულ იქნა ეჭვმიტანილის სახით საკუთარ სახლში, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის დახმარებაში (საქ-ს სსკ-ის 25, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). დაკავების საფუძვლად მითითებულია ეჭვმიტანილის შესაძლო მიმალვის საფრთხე. შენგელიას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

• ჩატარებული ჩხრეკა

2009 წლის 23 მარტს, მამუკა შენგელიას დაკავების შემდეგ, ქ. თბილისში, მის საცხოვრებელ სახლში, 6:05-06:40 სთ-მდე, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკისას, ამოღებულ იქნა მობილური ტელეფონი ორი სიმბარათით, რაც ცნობილ იქნა მტკიცებულებად.

იმავე დღეს, 2009 წლის 23 მარტს, 6:55 სთ-დან 8:45 საათამდე, გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში ჩატარდა მისი საცხოვრებელი ბინის (მდებარე ქალაქ თბილისში) ჩხრეკა, რა დროსაც ამოღებულ იქნა 6 ცალი სხვადასხვა სახის იარაღი და საბრძოლო ვაზნები. ამოღებული იარაღიდან ხუთ ცეცხლსასროლ იარაღზე გაცემული იყო იარაღის შენახვისა და ტარების ნებართვა. მხოლოდ „აკს“-ის სისტემის ავტომატი აღმოჩნდა უნებართვო. ჩხრეკა ჩატარდა მსჯავრდებულის მეუღლის, როგორც სახლის მეპატრონის, თანდასწრებით. ასევე, ოქმში მის მიერ გაკეთებულია შენიშვნა, რომ „აკს“-ის ავტომატური შაშხანა, რომელიც ამოღებული იქნა მათი საძინებელი ოთახიდან, არ ეკუთვნის მის მეუღლეს, არ ინახებოდა მათთან და თვალთ არ უნახავს.

2009 წლის 23 მარტს, მ. შენგელიას სახლში, ონის რაიონის სოფ. ღარში, 07:20სთ-დან 10:35 სთ-მდე, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარდა ჩხრეკა, რომელსაც ესწრებოდნენ ღარის თემის რწმუნებული და ორი მეზობელი. ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახის იარაღი (ყუმბარები, ყუმბარმტყორცნები, ავტომატები) და საბრძოლო მასალა. ოქმში დამსწრეების მიერ გაკეთებულია ჩანაწერი: „მამუკა შენგელია აღნიშნულ სახლში ხუთი წელია არ ყოფილა“.

• ჩხრეკის გადაუდებლობა

ზემოაღნიშნულ სამივე შემთხვევაში, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა წარმოადგენს კანონდარღვევას, ვინაიდან რეალურად არ არსებობდა საქართველოს სსკ-ის 290-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის პირობები.

საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის საფუძვლად მითითებულია ქინკლაძის მიერ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია, რომელიც 2009 წლის 17 მარტს უკვე ცნობილი იყო გამოძიებისთვის. ჩხრეკა ჩატარდა ამ ინფორმაციის შეტყობიდან 6 დღის შემდეგ, 23 მარტს. შესაბამისად, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულების საფუძველზე, მათთვის წინასწარ იყო ცნობილი ამოსაღები ნივთისა და ამოღების ადგილის შესახებ. გამოძიებას საქართველოს სსკ-ის 317-ე, 318-ე მუხლზე დაყრდნობით, შეეძლო მოსამართლის წინასწარი ნებართვით ჩატარებინა ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედება. აღნიშნული წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობის აშკარა დარღვევას, რაც ამოღებული ნივთის იმპერატიულად დაუშვებლობის საფუძველია.

• დამსწრეთა მონვევა

დამსწრის მონვევა არის გასაჩხრეკი პირის ერთ-ერთი უფლებათაგანი. მასზე უარის თქმა უნდა იყოს ექსპლიციტური, მკაფიო, არაორაზროვანი და ნებაყოფლობითი. მამუკა შენგელიას ჩხრეკის ოქმში მითითებულია, რომ შ. მელიქიშვილმა⁹⁴ უარი განაცხადა დამსწრეთა მონვევაზე, თუმცა, ამ უკანასკნელმა საუბარში განაცხადა, რომ დამსწრეთა მონვევის შესახებ მას განუმარტეს იარაღის ამოღების შემდეგ ოქმის შედგენისას. ამ საქმეში ძნელია იმის ზუსტი დადგენა, ნამდვილად თქვა თუ არა უარი დამსწრის მონვევაზე გასაჩხრეკმა პირმა. ამის მტკიცების ვალდებულება, ნებისმიერ შემთხვევაში, ბრალდების მხარეზეა. მ-

⁹⁴ მამუკა შენგელიას მეუღლე.

ოლოდ ის მექანიზმი, როდესაც ჩხრეკის ჩამტარებელი ახდენს ოქმში აღნიშვნას, არაეფექტურია და საჭიროა დამატებითი გარანტიების დადგენა.

- **მამუკა შენგელიას სასჯელი**

აღსანიშნავია, რომ მამუკა შენგელიას წარდგენილ ბრალდებასთან შედარებით შეფარდებული აქვს აშკარად არაადეკვატური სასჯელი. მიუხედავად იმისა, რომ მას მსჯავრი დაედო არაერთი აკრძალული ნივთის, კერძოდ, რამდენიმე ყუმბარ-მტყორცნის, ყუმბარების, ავტომატებისა და სხვა საბრძოლო მასალის მართლ-საწინააღმდეგო შენახვისთვის, სასჯელის ზომად გამოყენებულ იქნა მინიმალური სასჯელი – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (თითოეული ეპიზოდისთვის). მსგავს შემთხვევაში დანიშნული სასჯელი აშკარად განსხვავდება სხვა პირების მიმართ ანალოგიური მუხლით მსჯავრდებისას შეფარდებული სასჯელისგან. აღსანიშნავია, რომ იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის დარღვევის სამი შემთხვევისთვის და სამივე შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

- **ჩატარებული ექსპერტიზები**

ბალისტიკური ექსპერტიზებით დადგენილ იქნა, რომ ჩხრეკის დროს ამოღებული იარაღი სასროლად ვარგისია. რაც შეეხება ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნებს, ყუმბარებს – მითითებულია, რომ ისინი სავარაუდოდ ვარგისია. დასკვნის ბოლო ჩანაწერი არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას, მას აქვს სააღბათო მნიშვნელობა. შესაბამისად, მისი სავარაუდო ხასიათის გამო, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გამოყენება წარმოადგენს კანონის დარღვევას, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გამოსაკვლევ გარემოებათა შესახებ ექსპერტის სააღბათო დასკვნებს მტკიცებულების მნიშვნელობა არ აქვს.

ნარკოტიკულ ნივთიერებასთან დაკავშირებულ ბრალდებას საფუძვლად დაედო შემდეგი: დ.ქინქლაძემ გამოძიებას წარუდგინა ნივთიერება, რომელსაც 2009 წლის 19 მარტს ქიმიური ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტიზით დადგინდა, რომ გამოსაკვლევად გადაცემული ნივთიერება შეიცავდა 0,0883 გრამ „ჰეროინს“. ამ ნივთიერების ნახევარი დაილუქა და დაერთო სისხლის სამართლის საქმეს მტკიცებულებად, ხოლო მეორე ნახევარი დ. ქინქლაძის მიერ იმავე დღეს, კონტროლირებადი წესით,⁹⁵ მიენოდა მამუკა შენგელიას როგორც ინექციის, ისე ფხვნილის სახით. კონტროლირებადი მინოდების შემდეგ, 23 მარტს, მამუკა შენგელიას სახლში ჩატარდა ჩხრეკა. ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება ვერ იქნა ამოღებული. მიუხედავად ამისა, მ. შენგელიას ბრალი წარედგინა ნარკოტიკების დიდი ოდენობით უკანონოდ შექმნა-შენახვაში. მოგვიანებით, ეს ბრალდება დაზუსტდა და დარჩა მხოლოდ დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შექმნის მცდელობა. ბრალდებას საფუძვლად დაედო მონმის დ. ქინქლაძის ჩვენება, ფარული ვიდეო-აუდიო ჩანაწერი და ქიმიური ექსპერტიზა. აღნიშნული მტკიცებულებები დაედო ასევე საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს.

გამომდინარე იქიდან, რომ მ. შენგელიას სახლის ჩხრეკისას ნარკოტიკული ნივ-

⁹⁵ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ერთ-ერთი სახე.

თიერება ვერ იქნა აღმოჩენილი, ფაქტობრივად, გამოძიების მიერ კონტროლირებადი მინოდებით შეთავაზებული ნივთიერების სახემ და ოდენობამ განსაზღვრა და განაპირობა წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაცია და, შესაბამისად, სასჯელის ოდენობაც. ამასთან, ვინაიდან ქიმიური ექსპერტიზა ჩატარებულ იქნა დ. ქინქლაძის მიერ წარდგენილ ნივთიერებაზე და არა მ. შენგელიასადმი გადაცემულ ნივთიერებაზე, არსებობს ეჭვი, თუ რა სახისა და ოდენობის ნივთიერება იქნა გადაცემული მსჯავრდებულისათვის, რაც, ვიდეომასალის საფუძველზე, გამორიცხვას არ ექვემდებარება. კერძოდ, შეუძლებელია ექსპერტის მიერ განისაზღვროს, თუ რა სახისა და ოდენობის ნივთიერება ჩანს ვიდეოფირზე. შესაბამისად, ეჭვი იმის შესახებ, რომ სწორედ ფირზე ასახულ ნივთიერებას ჩაუტარდა ექსპერტიზა, გაუქარწყლებელია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ნივთიერი მტკიცებულება დაუშვებლად ითვლება, თუ უარყოფილი არ არის ვარაუდი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშნებისა და თვისებების არსებითი შეცვლის ანდა მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ“.

აღნიშნულ საქმეში ასევე ჩატარდა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა ამოღებულ იარაღზე. გამოძიებარე იქიდან, რომ იარაღზე მრავალი სხვადასხვა სახის თითის ანაბეჭდი აღმოჩნდა, ობიექტი გამოსაკვლევეად უვარგისად იქნა მიჩნეული. ამ საქმეში ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის შედეგები, ვინაიდან, როგორც ონის რაიონის სოფ. ლარში მდებარე სახლის ჩხრეკის პროცესის დამსწრეების მიერ გაკეთებული ჩანაწერით ირკვევა, მამუკა შენგელია აღნიშნულ სახლში ხუთი წელია არ ყოფილა.

4. დასკვნა

სხვადასხვა მიზეზის გამო, მამუკა შენგელიას საქმე ჩვენ მიერ ვერ იქნა სრულად შესწავლილი.⁹⁶ მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული საქმის მასალებიდან აშკარაა, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში მართლმსაჯულება წარმართა კანონის არსებითი დარღვევით, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს მის მიერ დანაშაულის ჩადენის უტყუარად დადასტურების თვალსაზრისით.

1.2. 9. ედიშერ ჯობავა

1. ედიშერ ჯობავას პოლიტიკური საქმიანობა

ედიშერ ჯობავა პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეების“ აქტიური წევრია. იგი თავის პარტიას წარმოადგენდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. საკრებულოს სხდომებზე აქტიურ წინააღმდეგობებს უწევდა სახელისუფლებო უმრავლესობის წარმომადგენლებს იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც, მისი აზრით, დაუშვებელი იყო. მან საკრებულოს თავმჯდომარესა და რაიონის გამგებელს მიმართა ფრაქციის შექმნის მოთხოვნით. იგი რამდენჯერმე იქნა გაფრთხილებული, თავი დაენებებინა პოლიტიკური წინააღმდეგობებისთვის, თუმცა, ამის მიუხედავად, კვლავ აგრძელებდა პოლიტიკურ საქმიანობას. იგი

⁹⁶ საქმე ვერ შევისწავლეთ სრულყოფილად, ვინაიდან მ. შენგელიას ოჯახმა და მისმა ადვოკატმა ვერ წარმოგვადგინა სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალა.

იყო 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე.

ედიშერ ჯობავა მუშაობდა შპს „შავი ზღვის ტერმინალი“. საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ სამსახურში შესვლის და გამოსვლის დროს იგი სრულად მონმდებოდა მეტალოდეტექტორის მიერ.

2. ედიშერ ჯობავას სისხლის სამართლის საქმე

ედიშერ ჯობავას ბრალი ნაუყენეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვა და ამავე კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ნარკოტიკული საშუალების შეძენა და შენახვა. მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელად განესაზღვრა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად ამავე გამოსაცდელი ვადით; დამატებით სასჯელად – ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით და ჩამოერთვა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.

3. დარღვევები ედიშერ ჯობავას სისხლის სამართლის საქმეში

• ჯობავასათვის წარდგენილი ბრალდება

ორივე შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალების და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის თაობაზე წარდგენილი ბრალი ეფუძნება დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეძენილ ქონებას, რაც, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მიგვაჩინა პრობლემურად.

• ჩხრეკა

აღნიშნული საქმის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ფაქტობრივი გარემოებების დეტალურად აღწერა. ედიშერ ჯობავა დაკავების დღეს გამოვიდა სამსახურიდან და სახლში მიკროავტობუსით მიემართებოდა. გზაში მიმავალი მიკროავტობუსი პოლიციელებმა გააჩერეს, ჯობავა ჩამოიყვანეს და გაჩხრიკეს. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. საგამოძიებო მოქმედების დროისთვის არ არსებობდა არც საპროცესო წესით მოპოვებული მტკიცებულება და არც იმ დროისთვის ცნობილი სხვა ინფორმაცია (შემდგომ დამაგრებული მტკიცებულება), რომელიც მიანიშნებდა ჯობავას მიერ მართლსაწინააღმდეგო ნივთის შენახვას. შესაბამისად, დაირღვა საპროცესო კანონმდებლობა და ასევე უკანონოდ შეიზღუდა ადამიანის უფლებები.

ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ნარკოტიკული საშუალება და იარაღი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯობავა იმ დღეს სამსახურიდან გამოვიდა და გაიარა რეგულარული შემოწმება, რომელიც გამორიცხავდა მის მიერ იარაღის შესაძლო ტარებას. ასევე აღსანიშნავია, რომ სამსახურიდან გამოსვლისა და მიკროავტობუსში ჩაჯდომის შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალება გაჩერდა მხოლოდ ერთხელ და ამ დროსაც ჯობავა არ გადასულა ავტომანქანიდან. შესაბამისად,

გაუგებარია, თუ სად მოახდინა ჯობავამ ამ ნივთის შეძენა. ჯობავას საქმეში არ არსებობდა წინასწარი ინფორმაცია სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად⁹⁷ და ფაქტობრივი გარემოებებიც არ იძლევა მისი პასუხისმგებლობის ნიშნებს.

- **ჩხრეკის გადაუდებელ რეჟიმში ჩატარება**

2009 წლის 19 ივნისს ჯობავას წინააღმდეგ ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში. მსგავსად სხვა საქმეებისა, ამ შემთხვევაშიც არ მომხდარა მისი დასაბუთება. არც სასამართლოს დადგენილება და არც გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის ჩატარების დადგენილება არ შეიცავს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც კანონმდებლობით აუცილებელია. დაირღვა პირადი ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლება და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

- **დამსწრე**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დამსწრე არის პირი, რომელიც მოწვეულია გასაჩხრეკი პირის მიერ იმ მიზნით, რომ მოხდეს ჩხრეკის, ამოღების ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფაქტის, მიმდინარეობის და შედეგების დაფიქსირება. დამკავებელმა პოლიციის თანამშრომლებმა ედიშერ ჯობავა ჩამოიყვანეს მიკროავტობუსიდან, პირადი ჩხრეკის ჩატარების დაწყებისას, იგი არ იქნა გაფრთხილებული პოლიციელთა მხრიდან, რომ შეეძლო მოეწვია მისთვის სასურველი დამსწრე. თუმცა, პირადი ჩხრეკის ოქმში აღნიშნულია, რომ ედიშერ ჯობავამ დამსწრის მოწვევაზე უარი განაცხადა, რისი საწინააღმდეგო არ დამტკიცებულა პროცესზე. უფლებაზე უარი არ ყოფილა ნათქვამი ნებაყოფლობით, მკაფიოდ და საბოლოოდ.⁹⁸

- **ექსპერტიზის ჩაუტარებლობა**

ჩხრეკისას ამოღებულ ცეცხლსასროლ იარაღზე დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა არ ჩატარებულა. დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა იძლევა საშუალებას, დადასტურდეს კონკრეტული ნივთის კონკრეტულ პირთან შემხებლობა. შესაბამისად, ექსპერტიზის ჩაუტარებლობა პასუხგაუცემელ კითხვებს ტოვებს, რაც სისხლის სამართლის პროცესისთვის დაუშვებელია, რადგან ეს უკანასკნელი მაქსიმალურ სკურპულოზურობას მოითხოვს ბრალდებულის საწინააღმდეგო ნებისმიერი გადანყვეტილების მიღების პროცესში.

- **ბრალდებულისათვის მონშეთა დაკითხვაზე უარის თქმა**

დაცვის მხარემ რამდენჯერმე დააყენა შუამდგომლობა ხობის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლების მიმართ დამატებითი მონშეთების დაკითხვის მოთხოვნით. აღნიშნულზე დაცვის მხარეს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი, რის შემდეგაც ბრალდების მხარე მხოლოდ პოლიციელების ჩვენებას დაეყრდნო.

⁹⁷ გარდა ოპერატიული ინფორმაციისა.

⁹⁸ ყოველ შემთხვევაში, არ ჩანს საქმის მასალებიდან.

დაცვის მხარის განცხადებით, დამატებითი მოწმეების დაკითხვის შემთხვევაში ნათლად გამოჩნდებოდა, რომ ჯობავას სამსახურიდან წამოსვლისას თან არ ჰქონდა არც ცეცხლსასროლი იარაღი და არც ნარკოტიკული საშუალება. ჯობავა სამსახურიდან იარაღის გარეშე რომ გამოვიდა, ეს დასტურდება თავად სამსახურის თავისებურებიდან გამომდინარე, ხოლო დამატებითი მოწმეები დაადასტურებდნენ შავი ზღვის ტერმინალიდან გამოსვლის შემდეგ მისი გადაადგილების დეტალებს. დაცვის მხარის განცხადებით, დამატებითი მოწმეების დაკითხვის შემთხვევაში, ჯობავას მიმართ, მაღალი ალბათობით, შეწყდებოდა სისხლის-სამართლებრივი დევნა ან დადგებოდა გამამართლებელი განაჩენი.

დაცვის მხარემ მოახდინა „შავი ზღვის ტერმინალის“ ერთ-ერთი თანამშრომლის გოგი ქარდავას გამოკითხვა. მისი განცხადებით, ის და ედიშერ ჯობავა ერთად გამოვიდნენ სამსახურიდან და მეტალოდეტექტორს რაიმე კანონსაწინააღმდეგო არ დაუფიქსირებია. მისი განცხადებით, გამოსვლისთანავე ისინი ჩასხდნენ მიკროავტობუსში და გაემართნენ ხობის მიმართულებით. გზაში ავტოსატრანსპორტო საშუალება ერთადერთხელ გაჩერდა, რა დროსაც მიკროავტობუსში ერთი მოხუცი ქალბატონი ავიდა. ამის შემდეგ პოლიციელებმა გააჩერეს ავტობუსი და ჯობავა ჩაიყვანეს. ჯობავას მხოლოდ ერთი მაისური ეცვა და მისი წელის გარშემო ავტობუსში მსხდომთ არაფერი იარაღის მსგავსი არ შეუმჩნევიათ. ჯობავას ერთ-ერთი თანამშრომელი გოგიტა კვიციანი, რომელიც ამ დროს მიკროავტობუსში იჯდა, ტრანსპორტიდან ჩასვლას შეეცადა, მაგრამ პოლიციამ მას ამის უფლება არ მისცა, მძღოლს კი უბრძანეს, რომ ტერიტორია სასწრაფოდ დაეტოვებინა. აღნიშნული მოწმე არ იქნა დაკითხული გამომძიებლის მიერ. ჯობავა აცხადებს, რომ ტელეფონზე განხორციელდა მუქარის ზარები, როდესაც განიხილებოდა დაცვის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ.⁹⁹

ედიშერ ჯობავა წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა და აღნიშნავდა, რომ მას პირადი ჩხრეკის ჩატარებისას არანაირი კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან საგანი არ ჰქონდა. მისი განცხადებით, ჯიბეში მხოლოდ მობილური ტელეფონი, 20 ლარიანი კუპიურა და შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ თანამშრომლის დამადასტურებელი მოწმობა ედო.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ედიშერ ჯობავა მუშაობდა შპს „შავი ზღვის ტერმინალში“. სამსახურში შესვლისა და გამოსვლის დროს იგი სრულად მოწმდებოდა მეტალოდეტექტორის და შესაბამისი ვიდეო კონტროლის მიერ. მის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, 2009 წლის 3 ივლისს შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ უსაფრთხოების დაცვის სამსახურის უფროსისგან მოთხოვნილ იქნა ედიშერ ჯობავას ტერმინალში შესვლისა და გამოსვლის ვიდეომასალის ამსახველი კადრების ასლი. აღნიშნულზე დამცველს უკანონოდ განუცხადეს უარი, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია ჯობავას პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენდა და ადვოკატის მოთხოვნით იგი ექვემდებარებოდა გადაცემას.

- **აღკვეთის ღონისძიების საკითხი**

დაცვის მხარემ 2009 წლის 14 აგვისტოს ხობის რაიონულ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით – ბრალდებულ ედიშერ ჯობავას მიმართ აღკვეთის ღონისძიე-

⁹⁹ ჯობავამ აღნიშნულის თაობაზე განუცხადა ადვოკატს.

ბის სახედ შერჩეული ორთვიანი წინასწარი პატიმრობის გირაოთი შეცვლის მოთხოვნით. ხობის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 აგვისტოს დადგენილებით, შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ბრალდებულ ედიშერ ჯობავას აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა გირაო ორი ათასი ლარის ოდენობით და გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. აღნიშნული საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ჯობავას გათავისუფლება მოხდა გირაოს კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობით, როცა მას ბრალი ედებოდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

• საპროცესო შეთანხმების იძულებით დადება

ხობის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ იქნა შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების დაკითხვის თაობაზე. შუამდგომლობის განხილვამდე მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება. ედიშერ ჯობავა აცხადებს, რომ შესვენების დროს მობილურ ტელეფონზე მისთვის უცნობმა პიროვნებამ დაურეკა და დაემუქრა, თუ წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებდა, მას და მისი ოჯახის წევრებს გაანადგურებდა. სასამართლო პროცესის განახლებისას, როდესაც მოსამართლე განიხილავდა დაცვის მხარის შუამდგომლობას დამატებითი მოწმეების დაკითხვის შესახებ, ჯობავამ შუამდგომლობაზე უარი განაცხადა. მან სრულად აღიარა მის მიმართ წარდგენილი ბრალდება და პროკურორის საპროცესო შეთანხმების გაფორმების თხოვნით მიმართა. პროკურორი შემოთავაზებას სასამართლო პროცესზე დათანხმდა.

4. დასკვნა

ედიშერ ჯობავას სისხლის სამართლის საქმეში დაფიქსირდა მრავალი დარღვევა, რაც წარმოშობს ეჭვებს აღნიშნული სამართალწარმოების კანონიერებასთან დაკავშირებით.

1.2.10. ზურიკო (მამუკა) ჩხვიმიანის საქმე

1. *ზურიკო (მამუკა) ჩხვიმიანის პოლიტიკური საქმიანობა*

მამუკა ჩხვიმიანი არის „კონსერვატიული პარტიის“ დმანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების მონაწილე და „კარვების ქალაქის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი.

2. *ზურიკო (მამუკა) ჩხვიმიანის სისხლის სამართლის საქმე*

მამუკა ჩხვიმიანის დაკავება მოხდა 2009 წლის 25 ივნისს. ამ შემთხვევაშიც, ჩხრეკა ჩატარდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. მ. ჩხვიმიანის საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს ერთი ცალი საბრძოლო ხელყუმბარა და 5 ვაზნა. მას ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ასაფეთქებელი მოწყობილობის და საბრძოლო მასალის შექმნა, შენახვა. 2009 წლის 26 ივნისს დმანისის რაიონულმა სასამართლომ ჩხვიმიანს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საქმის სასამართ-

ლოში გადაგზავნის შემდეგ, არსებითი განხილვისას, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, ბრალდების მხარემ უარი თქვა ბრალდებაზე და, დმანისის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით, შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

3. დარღვევები ზურიკო (მამუკა) ჩხვიმიანის სისხლის სამართლის საქმეში

სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თავის მხრივ, წარმოადგენს ფორმალურ დანაშაულს. მისი ჩადენის დადასტურებაც არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რომ პირს აქვს აკრძალული ნივთი, რომ მან იგი შეიძინა კონკრეტულ დროს და, ექსპერტიზის თანახმად, ეს უკანასკნელი ვარგისია გამოსაყენებლად. ამ ფაქტების დადასტურება უმეტესად ხდება ჩხრეკის ოქმით და ამოღებული საგნით, ამ უკანასკნელზე ჩატარებული ექსპერტიზით და ჩხრეკის ჩამტარებული პირების ჩვენებებით. მამუკა ჩხვიმიანის საქმეზე ყველა ზემოთ აღნიშნული მტკიცებულება სახეზე იყო. ამოიღეს ასაფეთქებელი მონყობილობა და საბრძოლო მასალა, იგი ვარგისი იყო, პოლიციელები იძლეოდნენ ერთსა და იმავე ჩვენებებს. ერთი შეხედვით, მტკიცების საგნის ყველა ელემენტი სახეზე იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბრალდების მხარემ მაინც უარი თქვა საქმისწარმოების გაგრძელებაზე. აღნიშნულის არგუმენტაცია იყო ერთადერთი – ჩხრეკის ჩატარების მიმდინარეობის დამაფიქსირებელ დამსწრეთა ჩვენებები, რომლებიც აშკარად ამხელდნენ პოლიციელებს უკანონო ქმედებაში,¹⁰⁰ ასევე, ადასტურებდნენ, რომ ჩხრეკის ჩატარებამდე ჩხრეკის ჩამტარებული პირები გადაადგილდებოდნენ მამუკა ჩხვიმიანის სახლის ოთახებში. მამუკა ჩხვიმიანის მეუღლე პირდაპირ მიუთითებდა, რომ პოლიციელის მიერ მოხდა საბრძოლო მასალის ჩადება მის ოთახში. ამ და ზემოთ განხილულ ყველა საქმეში არსებობდა ერთი და იგივე ტიპის მტკიცებულებები, დანაშაულის გახსნის მსგავსი მეთოდოლოგია, მაგრამ, ჩხვიმიანის საქმის გარდა, არც ერთ საქმეში არ მომხდარა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.¹⁰¹ ამის მთავარი მიზეზი საქმეში დამსწრეთა არსებობა გახდა. მათმა ჩვენებებმა მამუკა ჩხვიმიანის პროცესში გადამწყვეტი როლი ითამაშეს.

1.2.11. მერაბ რატიშვილის საქმე

1. მერაბ რატიშვილის პოლიტიკური საქმიანობა

მერაბ რატიშვილი სარგებლობს ორმაგი მოქალაქეობით – იგი საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეა და მისი ოჯახი ცხოვრობს რუსეთში. დაკავებამდე მას რუსეთში აქტიური ბიზნეს-საქმიანობა და ხშირი მიმოსვლა ჰქონდა. 2007 წლის 27 სექტემბერს მისი ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: სეპარატიზმი და ორგანიზებული დანაშაული, რომელზეც მიწვეულები იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის აკადემიური პერსონალი და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები (გერმანიიდან, სერბეთიდან, ისრაელიდან, აზერბაიჯანიდან). ამ კონფერენციაზე გადანყდა, ჩამოყალიბებულიყო სეპარა-

¹⁰⁰ ისინი გადაადგილდებოდნენ სახლში მათ მისვლამდე და ამოღებული საგნები მიკვლეულ იქნა მათ დაუსწრებლად.

¹⁰¹ რაც სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით უდრის გამართლებას.

ტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კლუბი. მის ხელმძღვანელად აირჩიეს მ. რატიშვილი. პარალელურად, მ.რატიშვილი დაკავებული იყო სხვა საქმიანობითაც: მის მიერ ჩამოყალიბებული გოლფის ეროვნული ასოციაციის განვითარებისთვის ინვესტორების მოძიებას ცდილობდა და, ამ მიზნით, აწარმოებდა საერთაშორისო-ეკონომიკურ თანამშრომლობას დსთ-ს ქვეყნების ფარგლებში. მერაბ რატიშვილი, ასევე, მეგობრულ ურთიერთობაში იყო საქართველოში ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან. იგი აფინანსებდა პაატა დავითაიას პარტიას: „ჩვენ თვითონ“. იგი დაკავებულ იქნა 2007 წლის 26 ოქტომბერს, საპროტესტო აქციების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში მერაბ რატიშვილი მიჩნეულია პოლიტპატიმრად.

2. მერაბ რატიშვილის სისხლის სამართლის საქმე

2007 წლის 26 ოქტომბერს შსს-ს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში (შემდგომში სოდ-ი) დაიწყო წინასწარი გამოძიება მერაბ რატიშვილის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვის ფაქტზე. იმავე დღეს იგი დაკავებულ იქნა თავისი ავტომანქანით სახლისკენ მიმავალ გზაზე, რა დროსაც იმყოფებოდა მძღოლთან ერთად. მისი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღეს საინექციო შპრიცი, მასში მოთავსებული დიდი ოდენობით „მეტადონით“, ხოლო ბინის ჩხრეკისას – იმავე სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალება, მოთავსებული პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში. ნარკოლოგიური შემოწმებისას დაუდგინეს მეტადონის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა და ადმინისტრაციული წესით დააკისრეს ჯარიმა. ავტომანქანასა და ბინასთან ერთად, გაიჩხრიკა მისი ოფისი და სამართალდამცავების მიერ წაღებულ იქნა ყველა ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტაცია. მისი სახლიდან, დოკუმენტებთან ერთად, წაიღეს ოპოზიციური პარტიის „ჩვენ თვითონ“ მაისურები. საქმის მასალების მიხედვით, ეს დოკუმენტები შესწავლილი იქნა იმის გამოსაძიებლად, წარმოადგენდა თუ არა ჯაშუშურ ინფორმაციას, რაც არ დადგინდა.¹⁰²

თბილისის საქალაქო სასამართლომ მ. რატიშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით. აღნიშნული განაჩენი უცვლელი დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება მ. რატიშვილის საქმის განუხილველად დატოვების შესახებ.

3. დარღვევები მერაბ რატიშვილის საქმეში

• დევნის დაწყების საფუძველი

მერაბ რატიშვილის სისხლისსამართლებრივ დევნას საფუძველად დაედო ოპერატიული ღონისძიება – ფარული სატელეფონო მიყურადება. კერძოდ სოდ-მა

¹⁰² იხ. სისხლის სამართლის საქმის ფურცლები: გვ.99-102, სადაც წინასწარი გამოძიების დროს საქართველოს შსს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს წერილი გაუგზავნა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ კითხვით: დოკუმენტები შეიცავდა თუ არა სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობებს, რაც შესწავლის შემდეგ არ დადგინდა.

სასამართლოში შეიტანა შუამდგომლობა ფარულ მიყურადებაზე ნებართვის გაცემის შესახებ, რაც დაასაბუთა იმით, რომ მათ წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე გია მელაძეზე დაუდგენელი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტზე და მიღებული ოპერატიული ინფორმაციით, შესაძლოა, გამსაღებელ პირთა შორის იყოს ვინმე მერაბი, რომელიც სარგებლობს კონკრეტული სატელეფონო ნომრით. სასამართლოს მიერ გაიცა ნებართვა ფარულ სატელეფონო მიყურადებაზე 24 ოქტომბერს, ხოლო ორი დღის შემდეგ მოხდა მ.რატიშვილის დაკავება. მისი გაჩხრეკისა და დაკავების საფუძველს წარმოადგენდა ამ ფარული მიყურადებით გამჟღავნებული ინფორმაცია, კონკრეტულად ის, რომ რატიშვილს „ოთხი ცალი“ შაქრის გადაცემას სთხოვს ის პიროვნება, რომელიც, როგორც დიალოგით ირკვევა, რატიშვილისთვის აბსოლუტურად უცნობია. ეს პიროვნება ორჯერ ურეკავს რატიშვილს, რატიშვილი მას ორჯერვე ვერ ცნობს და, რაც მთავარია, ვერ ხვდება რასთან დაკავშირებით ესაუბრებიან. ამ პიროვნებამდე რატიშვილს ურეკავს მისი მეგობარი, აგარის შაქრის ქარხნის მეპატრონე, გოჩა ზასოხოვი, რომელიც მას მართლაც უთანხმდება შაქრის მიყიდვაზე ნათესავისთვის. პოლიციამ სიტყვა „შაქარი“ აღიქვა ნარკოტიკად და ივარაუდა, რომ იგი ასაღებდა ნარკოტიკს.

ამ ეპიზოდში არის როგორც მატერიალური, ისე ფორმალური ხასიათის კანონდარღვევა:

მატერიალური დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ პოლიციამ „შაქარი“ ნარკოტიკის მიმანიშნებელ სიტყვად აბსოლუტურად უსაფუძვლოდ აღიქვა.¹⁰³ აღნიშნულის გადასამოწმებლად არანაირი გონივრული ზომა არ მიუღია და დაეყრდნო მხოლოდ იმას, რომ პრაქტიკაში სიტყვა „შაქარი“ ხშირად გამოიყენება ნარკოტიკული ნივთიერება „მეტადონის“ მისანიშნებლად.¹⁰⁴ მის მიერ განსახორციელებელ გონივრულ მოქმედებათა რიცხვში მინიმუმ ის მაინც უნდა ყოფილიყო, რომ დაედგინა იმ ორი სატელეფონო ნომრის მფლობელთა ვინაობა, მოესმინა მათი საუბრებისთვის, დაედგინა მათი კავშირები და ამის შემდეგ, თუ იქნებოდა ეჭვის შეტანის რეალური საფუძველი, ევარაუდა, რომ „შაქარში“ იგულისხმებოდა ნარკოტიკი. საინტერესო და ხაზგასასმელია, რომ გამოძიება ცდილობს დაადგინოს ნარკოტიკის გამსაღებელი პირი და არ ცდილობს იმის ვინაობის დადგენას, ვინც იძენს მას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს ღონისძიება გია მელაძესთან კავშირის დასადგენად ხორციელდება. მოცემულ შემთხვევაში, იმ პირს, რომელმაც რატიშვილს დაურეკა „შაქრის“ შესაძენად, პოლიციის მხრიდან ინტერესი არ გამოუწვევია და მისი ვინაობის დადგენის მცდელობაც კი არ ყოფილა. პირდაპირ დაიწყო რატიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

დევნის დაწყებისას *ფორმალური* დარღვევა მატერიალური დარღვევის შედეგად

¹⁰³ იხ. გამოძიებულ ეპიზოპს ჩვენება, სადაც ის აცხადებს, რომ ბოლო საუბარი, განხორციელებული ვინმე „მალხაზასთან“ მიიწინა და შიფრულად. სასამართლო სხდომის ოქმი, გვ.132.

¹⁰⁴ იხ. შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მე-5 სამსახურის უფროსის, ნ.კაპანაძის ცნობა, სადაც იგი აცხადებს, რომ შესაძლოა, მ.რატიშვილი უკანონოდ ინახავს და იძენს ნარკოტიკულ საშუალება „მეტადონს“. სისხლის სამართლის საქმე, გვ. 2; ამ ცნობას საფუძველად უდევს ფარული სატელეფონო მიყურადებით მოსმენილი საუბარი ვინმე „მალხაზასთან“, სადაც იგი „შაქარს“ სთხოვს მ.რატიშვილს. შესაბამისად, პოლიციამ შაქარში იგულისხმა ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“.

მოხდა, კერძოდ: მ.რატიშვილის მიმართ ჩატარდა ჯერ პირადი, შემდეგ ავტომანქანის ჩხრეკა, საიდანაც ნარკოტიკი ამოიღეს. რატიშვილის დაკავება ამის შემდეგ მოხდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლი განმარტავს ჩხრეკის საფუძველს: „გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვთ ჩაატარონ ჩხრეკა, თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ... ამა თუ იმ ადგილას, ან ამა თუ იმ პირთან ინახება ამ კოდექსის 315-ე მუხლში¹⁰⁵ აღნიშნული საგანი, დოკუმენტი და არსებობს მონაცემები, რომ მათ ნებაყოფლობით არ გასცემენ“. აქ ნათლადაა მითითებული, რომ ჩხრეკისათვის აუცილებელია საქმეში არსებობდეს მტკიცებულებები, რომლებიც დასაბუთებულ ვარაუდს იძლევა პირის მიერ კონკრეტული ნივთის შენახვის შესახებ. გამოძიება ამ შემთხვევაში დაეყრდნო ფარულ ჩანაწერს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერ ჩაითვლება მტკიცებულებად, რადგან მასში არ ჩანს, რომ მერაბ რატიშვილს საქმე აქვს ნარკოტიკის გასაღებასთან და შესაძლოა ინახავდეს მას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან არ შეიძლება ჩხრეკა კანონიერად ჩაითვალოს, დაკავება, რომელიც მის საფუძველზე განხორციელდა, რაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ნიშნავს, უნდა ითქვას, რომ არის უკანონო.

• საგამომძიებო მოქმედებათა კანონიერება

მერაბ რატიშვილისთვის ბრალდების წაყენების საფუძველი გახდა ის, რომ მას თავის ავტომანქანაში, უკანა სავარძლის შუა ნაწილში და საცხოვრებელ ბინაში, გარდერობზე დაკიდებული პიჯაკის ჯიბეში აღმოუჩინეს ნარკოტიკები. ე.ი. ამ საქმეში ავტომანქანისა და ბინის ჩხრეკის კანონიერების გარკვევა მართლმსაჯულების ბირთვის წარმოადგენს, რადგან მათზეა დამყარებული რატიშვილის განაჩენი.

- ავტომანქანის ჩხრეკა

რატიშვილის ავტომანქანის ჩხრეკა არსებითი ხასიათის დარღვევებით წარიმართა. როგორც მძლელი მიუთითებს, გადაადგილებისას გზაზე შეიქმნა საცობი, ამ დროს მისი ავტომანქანის წინა და უკანა მხრიდან მანქანები გაჩერდნენ, საიდანაც რამდენიმე პიროვნება გადმოვიდა. მათ ავტომანქანას რკინის ხელკეტების დარტყმა დაუწყეს და მანქანაში მსხდომებს ყვირილით უბრძანეს, სასწრაფოდ გადმოსულიყვნენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც ჩხრეკის წესს განსაზღვრავს, ადგენს, რომ გამომძიებელი ან პროკურორი წინადადებას იძლევა, ნებაყოფლობით გადასცენ ჩამოსართმევი ნივთი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნებაყოფლობით გადაცემა ვერ ხერხდება, შეიძლება სამართალდამცავმა სუბიექტმა მიმართოს ჩხრეკას, როგორც უფრო მკაცრ ღონისძიებას. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ჩხრეკის დროს დამსწრის მონვევის უფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც საქმე გვაქვს გადაუდებელ აუცილებლობასთან, რაშიც იგულისხმება გარემოება, როდესაც არსებობს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხე-

¹⁰⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლის თანახმად, ეს არის იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი და ფასეულობა, სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა საქმის გარემოებათა გასარკვევად.

ლყოფის ან მტკიცებულებათა დაზიანება-განადგურების ან გადამალვის რეალური საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში, გადაუდებელი აუცილებლობის გარემოება არ არსებობდა. სამართალდამცველები, რატიშვილის და აბესაძის (მძღოლი) ავტომანქანიდან გადმოყვანისას, სრულად აკონტროლებდნენ სიტუაციას. ამ გარემოების გასაბათილებლად, ერთ-ერთმა პოლიციელმა სასამართლოში განაცხადა, რომ ვინაიდან ჩხრეკის დროს ეს პირები არ იყვნენ დაკავებულები, მათ თავისუფლად შეეძლოთ მოქმედება, მათ შორის, მტკიცებულების გადამალვა. ჩხრეკის ჩამტარებლები კი ამ საქმიანობას ვერ აღკვეთდნენ. სწორედ ამის გამო ჩხრეკა ჩაატარეს დამსწრეების გარეშე.¹⁰⁶ ამ არგუმენტს, მოგვიანებით, განაჩენში მსჯელობისას, მოსამართლეც დაეთანხმა.

საქმე გვაქვს, როგორც ფაქტობრივად, ისე სამართლებრივად არასწორ შეფასებასთან: ა) ფაქტობრივად, სამართალდამცველებს შეეძლოთ, ეკონტროლებინათ ეს ადამიანები და ამის საკმარისი შესაძლებლობაც ჰქონდათ თავიანთი რიცხობრივი და, ამასთან, ფიზიკური უპირატესობიდან გამომდინარე; ბ) სამართლებრივად, მათ ჰქონდათ უფლებამოსილება, იმ შემთხვევაში, თუ დამსწრის მოსაწვევად მიცემული გონივრული ვადის პერიოდში რაიმე ამგვარ ქმედებას ექნებოდა ადგილი, აესახათ ოქმში საპროცესო კოდექსის 326-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაეწყათ ჩხრეკა დამსწრის გარეშე.

რატიშვილის ავტომანქანის ჩხრეკისას შედგა ჩხრეკის ოქმი. საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ყველა საგანი, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ოქმში არ არის დაფიქსირებული შპრიცის შეფუთვისა და დალუქვის ფაქტი, რაც არ შეიძლება კანონის უმნიშვნელო დარღვევად შეფასდეს. ამ მოქმედების დაკანონების პროცესში სასამართლოს ხსენებულ დეტალზე არც კი უმსჯელია. საპროცესო კანონმდებლობით კი, იგი გადანყვეტილებას იღებს მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ამ მტკიცებულების საპროცესო დამაგრების დროს განხორციელებულ კანონდარღვევაზე პირდაპირ არის მითითებული ასევე ქიმიური ექსპერტიზის დასკვნაში, სადაც ნივთმტკიცების გარეგნული აღწერა ხდება. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბეჭდებზე არის 4-4 გაურკვეველი ხელმოწერა. ოქმს, რომელიც ამ ნივთის აღმოჩენის პროცესს ასახავს, ხელს აწერს მხოლოდ სამი პირი. მეოთხე, თავად განსასჯელი, არც ერთ დოკუმენტს და, მათ შორის, დალუქულ ნივთს ხელს არ აწერს. აქ გაურკვეველია, ვის ეკუთვნის მეოთხე ხელმოწერა. ნამდვილად ეჭვს ბადებს ამ ნივთმტკიცების საწინააღმდეგობა. კერძოდ, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი მისი გამოცვლის, მისი ნიშანთვისებების არსებითი შეცვლის ანდა მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ. საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, თუ ასეთი ვარაუდი უარყოფილი არ არის, ეს ნივთმტკიცება დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება. მიუხედავად ამისა, განაჩენი ამ მტკიცებულებას მაინც დაეყრდნო და ბრალდების ეს ეპიზოდი არ გამოორიცხა განსასჯელისთვის შერაცხული ინკრიმინირებული ქმედებიდან.

¹⁰⁶ იხ. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმი: მოწმეების, მამუკა ფაჩულიას და რამაზ ვჯიბიას დაკითხვა, გვ. 8, 52.

- ბინის ჩხრეკა

ბინის ჩხრეკის დროს თავად ბრალდების მოწმეების ჩვენებებით დადასტურებულია, რომ ჩხრეკას, ოქმში ასახული პირების გარდა, ესწრებოდა სხვა პირიც – პოლიციის კიდევ ერთი თანამშრომელი ნიკა კაპანაძე. პოლიციელთა და თავად კაპანაძის განმარტებით, ამ უკანასკნელს ბინის ჩხრეკაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია, უბრალოდ, იქ იმყოფებოდა. მოსამართლის მიერ ამ ფაქტს მიეცა შეფასება, რომ ეს პირი ჩხრეკის მონაწილე არ იყო და კანონი არ ავალდებულებდა ჩხრეკის ოქმზე ხელის მოწერას, ვინაიდან მასზე ხელის მოწერა მხოლოდ ჩხრეკის მონაწილეებს ევალებათ. ამგვარი შეფასება სცილდება სამართლებრივ ჩარჩოებს, ვინაიდან კანონიდან არ გამომდინარეობს. საპროცესო კოდექსი ჩხრეკის დროს იცნობს ორი სახის სუბიექტს, რომლებიც ამ პროცესის მსვლელობისას ფიგურირებენ: ჩხრეკის ჩამტარებელი და დამსწრე. ის, ვინც ჩხრეკას ესწრება, მაგრამ არ მონაწილეობს მასში, არის დამსწრე, ხოლო ის ვინც უშუალოდ ატარებს ჩხრეკას, არის ჩხრეკის ჩამტარებელი. ამ განმარტების მიხედვით, ცალსახაა, რომ ეს პირი დამსწრის როლს ასრულებს. საპროცესო კოდექსის 326-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი „... ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ ... ჩხრეკის ჩამტარებელი თანამდებობის პირი, დამსწრე...“. თუკი კაპანაძე არ იყო ჩხრეკის უშუალო ჩამტარებელი, მას ხელი უნდა მოეწერა ოქმზე, როგორც დამსწრეს. მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, ნიკა კაპანაძე დამსწრედაც ვერ ჩაითვლება. დამსწრეს იწვევს ის, ვის მიმართაც ჩხრეკა ტარდება. კაპანაძე კი რატიშვილის მეუღლეს არ მოუწვევია. საბოლოოდ დგინდება, რომ მას არანაირი სტატუსი არ გააჩნია ამ საგამოძიებო მოქმედებაში. საგამოძიებო ოქმის შედგენის მიზანს წარმოადგენს სრულად ასახოს ვითარება და გააცოცხლოს მისი მიმდინარეობა მოსამართლის წინაშე. ეს გარემოება აღძრავს ეჭვს იმასთან დაკავშირებით, ასახავს თუ არა რეალობას აღწერილი მოვლენები. ბინის ჩხრეკის ოქმი არის უმთავრესი მტკიცებულება. სწორედ ის ადასტურებს, რომ რატიშვილი ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკს. ვინაიდან ეს არ იყო უტყუარი მტკიცებულება, განაჩენი მას არ უნდა დამყარებოდა. საპროცესო კოდექსის მთელი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს ეჭვის გამომრიცხავ უტყუარ მტკიცებულებებს.

- დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი ადგენს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის სავალდებულობას. ეს არის სისხლის სამართალწარმოების კონსტიტუციური პრინციპი.

როდესაც რატიშვილის ავტომანქანის ჩხრეკისას სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს შპრიცი, აშკარად გამოიკვეთა მისი კუთვნილების სადავოობა, ვინაიდან რატიშვილთან ერთად მისი მძღოლიც ამტკიცებდა, რომ შპრიცი მანქანაში არ უნახავთ. კერძოდ, როდესაც პოლიციამ მოითხოვა მანქანის კარების გაღება, მან უკან მიიხედა და რატიშვილს ჰკითხა, რა ექნათ. უკანა სავარძელზე რომ რაიმე შპრიცის მაგვარი ყოფილიყო (საიდანაც ის სამართალდამცავებმა ამოიღეს), აუცილებლად შეამჩნევდა, მას კი არაფერი დაუნახავს. კუთვნილების დასადგენად გამოძიებას აუცილებლად უნდა ჩაეტარებინა შპრიცზე დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა და დაედგინა მასზე თითის უკანასკნელი ანაბეჭდი. ეს მნიშ-

ვნელოვნად დაეხმარებოდა საქმის სრულყოფილ გამოძიებას. ამის საწინააღმდეგოდ, ჩხრეკის დროს პოლიციას რეზინის ხელთათმანიც კი არ გამოუყენებია დანაშაულის საგანზე აღბეჭდილი კვალის დასაცავად. პოლიციელი შპრიცს პირდაპირ შეეხო და ხელში აიღო, შესაბამისად, თვითონვე შეუწყო ხელი დანაშაულის საგანზე დატოვებული კვალის დაზიანებას.

• მტკიცება

საპროცესო კანონმდებლობით, წინასწარი გამოძიების დროს ხდება მტკიცებულებათა შეკრება, მათი საპროცესო დამაგრება, ხოლო სასამართლოში – ამ მტკიცებულებების შემოწმება და შეფასება. საერთო ჯამში, ამ პროცესების ერთობლიობა ქმნის მტკიცებას.

მტკიცების პროცესი უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ საბოლოოდ განაჩენი დაემყაროს ერთმანეთთან შეთანხმებულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებებს, როგორც ამას ადგენს კოდექსის 132-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

სასამართლომ ამ საქმეში მტკიცების დროს მისთვის დაკისრებული მოვალეობა დაარღვია, რადგან სათანადოდ არ შეამოწმა და შეაფასა წარდგენილი მტკიცებულებები, რაც გამოიხატა იმაში, რომ არ გაითვალისწინა მტკიცებულებების შეკრებისა და დამაგრების დროს დაშვებული კანონდარღვევები, ერთმანეთთან არ შეაჯერა სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებები, უსაფუძვლოდ გაიზიარა ერთი სახის მტკიცებულებები და უარყო მეორე, არ აღმოფხვრა ეჭვი იმ მტკიცებულებების მიმართ, რომლებზეც დაამყარა გამამტყუნებელი განაჩენი.

- მტკიცებულებათა შემოწმება

ზემოთ ნათლად დადასტურდა, რომ ავტომანქანისა და ბინის ჩხრეკის დროს, როგორც მატერიალურად, ისე პროცესუალურად დაირღვა კანონი. სასამართლომ ეს მტკიცებულებები მაინც გაითვალისწინა გადაწყვეტილების მიღების მომენტში, ხოლო დარღვევებს არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, კერძოდ, ზოგიერთი დარღვევად არ მიიჩნია, ზოგ მათგანზე კი არც უმსჯელია.

- მტკიცებულებათა შეფასება

საქმეზე მოწმის სახით დაიკითხნენ: პოლიციელები, რომლებმაც აწარმოვეს ავტომანქანის, ბინის და ოფისის ჩხრეკა; მძღოლი; მ.რატიშვილის მეუღლე, ეკა ჯიხვაშვილი, რომელიც ბინის ჩხრეკის დროს სახლში იმყოფებოდა. მოწმეთა ჩვენებები არსებითად ეწინააღმდეგება ერთმანეთს იმ გარემოებათა აღწერაში, რომლებიც უმნიშვნელოვანესია წარდგენილი ბრალის დამტკიცებისთვის. პოლიციელები მიუთითებენ, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს თავის დროზე განემარტა რატიშვილს უფლებები; მის მიმართ ძალადობას ადგილი არ ჰქონია; ავტომანქანის ჩხრეკა განხორციელდა ზუსტად ისე, როგორც მითითებულია შესაბამის ოქმში; კანონის სრული დაცვით განხორციელდა ბინის ჩხრეკაც, სადაც სახლში მყოფ რატიშვილის მეუღლეს სათანადო დროს და გასაგებად განემარტა უფლებები; ორივე ობიექტის ჩხრეკის დროს საერთო ჯამში იმყოფებოდა დაახლოებით 5-6 კაცი და ამაზე მეტი რაოდენობა არ დაფიქსირებულა;

ორივე ობიექტის ჩხრეკისას სრული შესაძებლობა ჰქონდათ როგორც რატიშვილს, ისე მის მეუღლეს, რომ თვალი ედევნებინათ ჩხრეკის მიმდინარეობისთვის.

განსხვავებულ გარემოებებზე მიუთითებენ რატიშვილი, მისი მეუღლე, მძლოლი და შექმნილი მდგომარეობაც მათ ნათქვამს ადასტურებს.

რატიშვილი აცხადებს, რომ პოლიციელებმა იგი გადაიყვანეს მანქანის უკანა მხარეს, იძულებით დაანვინეს, დაადეს ბორკილები ხელებზე ზურგის მხრიდან. ამ დროს საშინლად ატკინეს თითი, რადგან გადაუტრიალეს. პარალელურად მან იგრძნო ბარძაყის არეში ნემსის ჩხვლეტა. ამის შემდეგ ჩასვეს მისი მანქანის უკან მდგარ ჯიპში, რა დროსაც მან გვერდით მჯდომ პოლიციელს სთხოვა მაჯაზე მოჭერილი ბორკილი ცოტათი გაეშვა. ამ მიზნით შებრუნდა გვერდით, რათა ხელები გაენოდებინა მისთვის. როდესაც პოლიციელმა დაიწყო ბორკილის გაშვება, ამ დროს ძლიერად მოქაჩა ჯაჭვს, რა დროსაც ძლიერი ტკივილი იგრძნო რატიშვილმა და ამ ტკივილის პარალელურად ახლა უკვე მეორე ბარძაყში იგრძნო ნემსის ჩხვლეტა. მან მაშინვე მოიხედა და დაინახა, რომ პოლიციელმა, რომელსაც რეზინის ხელთათმანები ეცვა, გარეთ მყოფ პირს რაღაც ნივთი გადააწოდა. ამ გარემოებაზე დაყრდნობით, რატიშვილი აცხადებს, რომ მას იძულებით გაუკეთეს ნარკოტიკული საშუალება მეტადონი, რაც დაუდგინდა ნარკოლოგიური შემონმებისას. გარდა ამისა, აცხადებს, რომ მას შეუძლია იმ პიროვნების ამოცნობა, რომელმაც მანქანაში ნემსი გაუკეთა. მისი ინფორმაცია კიდევ უფრო მყარდება იმით, რომ იგი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის არასოდეს ყოფილა სახდელდადებული. ამ ფაქტებს უარყოფენ პოლიციის თანამშრომლები. ისინი ასევე უარყოფენ იქ ჯიპის ყოფნას. თუმცა, რატიშვილის მძლოლი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაინახა უკან ჯიპი, საიდანაც გადმოვიდნენ ის პირები, რომლებმაც მანქანას რკინის ხელკეტები დაარტყეს. ასევე, აცხადებს, რომ პოლიციელებმა უკან გაიყვანეს რატიშვილი და მას იგი აღარ დაუნახავს, თუმცა, გაიგონა მისი ხმა: „ვაიმე, თითი“. ამ დროს თვითონაც წააქციეს და დაადეს ბორკილები. ამ ფაქტთან დაკავშირებით, პოლიციელების ჩვენებებს შორის არის წინააღმდეგობა: როლანდ მესხი, ერთ-ერთი თანამშრომელი ადასტურებს, რომ მძლოლს ჩხრეკის დროს ბორკილი ჰქონდა, სხვები უარყოფენ. თავად მძლოლის ჩვენება ავსებს და ადასტურებს რატიშვილის ჩვენებას. რატიშვილის ინფორმაცია კი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამით დასტურდება, რომ მას მანქანის კონტროლის საშუალება არ ჰქონია. გარდა ამისა, დასტურდება მისი უფლებების დარღვევა და მის მიმართ ძალადობის განხორციელება მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა მისი დაკავების საფუძველი. გარდა ამისა, მძლოლის ნათქვამი, რომ რატიშვილი უკანა მხარეს გადაიყვანეს და მოესმა მისი ტკივილის გამომხატველი ხმა, კიდევ უფრო ზრდის რატიშვილის ინფორმაციის სარწმუნოებას, რომ მართლაც გაუკეთეს ნემსები მანქანაში ჩასმამდე და ჩასმის დროს, რის საფუძველზეც დაუდგინდა ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა. მძლოლის ჩვენებებს არ იზიარებს სასამართლო და განმარტავს, რომ ის არ არის სარწმუნო, ვინაიდან რატიშვილის პირადი მძლოლია და ცდილობს პასუხისმგებლობის არიდებაში დაეხმაროს. ამ კუთხით, გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ რატიშვილი და თავისი მძლოლი ერთმანეთს მხოლოდ სამი თვის მანძილზე იცნობდნენ. მოსამართლის ეს დასაბუთება საფუძველს მოკლებულია განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც პოლიციის ყველა ჩვენებას იზიარებს. საყურადღებოა ისიც, რომ განაჩენში, როგორც მოსამართლე

მიუთითებს, მძღოლისათვის ბორკილების დადების ფაქტს მის გარდა არავინ არ ადასტურებს. რასაკვირველია, მოსამართლეს აქ მხედველობიდან გამორჩა ერთ-ერთი პოლიციელის, როლანდ მესხის მიერ ამ ფაქტის დადასტურება სასამართლო გამოძიების დროს. ის, რომ მძღოლსაც დაადეს ბორკილი და რატიშვილსაც მანამ, სანამ ჩხრეკას დაიწყებდნენ, მიუთითებს, რომ პოლიციელებს მოქმედების სრული თავისუფლება მიეცათ.

მიკერძოებულობის მოტივით, მოსამართლე არ იზიარებს ასევე რატიშვილის მეუღლის, ე.ჯიხვაშვილის ჩვენებასაც ბინის ჩხრეკის შესახებ, რომლის თანახმადაც, მან კარი გააღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეუღლემ, რატიშვილმა გარედან მოუწოდა ამის გაკეთებისკენ. ხოლო როდესაც კარი გააღო, მან დაინახა ბორკილებიანი რატიშვილი და ამ დროს 10 კაცზე მეტი შემოვიდა ბინაში, გაიფანტნენ სხვადასხვა ოთახში და მათი ქმედებებისთვის თვალყურის მიდევნება ამ ერთი ადამიანისთვის აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. შესაბამისად, სიტუაცია უკონტროლო გახდა. მოსამართლე განმარტავს, რომ მისი ჩვენება იმიტომაც არის უსაფუძვლო, რომ მას თავის დროზე ჩხრეკის ოქმზე ხელი აქვს მოწერილი და პრეტენზია არ გამოუხატავს. იმავდროულად, იგი არ ითვალისწინებს, რომ დამსწრეების მოწვევის უფლების ამკარად უსაფუძვლო შეზღუდვასთან ერთად, რატიშვილის მეუღლეს არ განუმარტეს მისი პროცესუალური უფლებები, მათ შორის, ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. ჯიხვაშვილის ჩვენება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ჩხრეკის ჩატარების და მის შედეგად ამოღებული ნივთმტკიცების დაუშვებლობას უსვამს ხაზს, რომელსაც ემყარება განაჩენი. გარდა ამისა, ადასტურებს, რომ დაკავებული ჯერ სახლთან მიიყვანეს, რომ მათ სახლის გაღებაში დახმარებოდა და შემდეგ წაიყვანეს პოლიციის დაწესებულებაში. საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, დამკავებელი თანამდებობის პირი ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ წაიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში. შესაბამისად, ასეთი ქმედებით პირდაპირ გამოიკვეთა დაკავებულის უფლების დარღვევა. განაჩენში მსჯელობისას მოსამართლე არ ასაბუთებს, რატომ არის პოლიციელების ჩვენებები სანდო და, მძღოლისა და ჯიხვაშვილის ჩვენებებისგან განსხვავებით, რატომ არის მიუკერძოებელი. სასამართლო დაუსაბუთებლად იზიარებს პოლიციის ჩვენებებს და უარყოფს მეორე მხარის მტკიცებულებებს.

4. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა წარმართა როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კანონის დარღვევებით, რაც ნიშნავს, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონოა.

თავი 2

სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც არ უკავშირდება ნარკოტიკული ნივთიერებების ან ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვას

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ შესწავლილ იქნა ასევე საზოგადოებაში გახმაურებული რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, სადაც არ ფიგურირებს ნარკოტიკები და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა/შენახვა, მაგრამ კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა თავად დაკავებულის პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილების ან დაკავებულის უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური აქტივობის გამო.

2.1. 2010 წლის 3 მაისის წინასაარჩევნო ინციდენტი და მასთან სავარაუდოდ დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები

- პოლიტიკური ფონი

2010 წლის 3 მაისს, არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, მესტიას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი **ზაზა გოროზია**, სამხარეო პოლიციის უფროსი **თენგიზ გუნავა**, სამხარეო საფინანსო პოლიციის უფროსი **გიორგი შედანია**, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი **ანზორ მარგიანი** და სხვა თანამდებობის პირები სტუმრობდნენ. მათთან ერთად იმყოფებოდა, ასევე, მესტიის გამგებელი **გონა ქელიძე**. ადგილობრივთა განცხადებით, მათ თან ახლდა ათობით ავტომანქანებით შეიარაღებული ნიღბიანი პირი, რომლებიც „პიკაპის“ ტიპის ავტომანქანებით გადაადგილდებოდნენ.

თვითმხილველთა განცხადებით, აღნიშნულ სტუმრობას თან ახლდა უპრეცედენტო ზენოლა და მუქარა არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიმართ. კერძოდ, ლამის თორმეტის ნახევრიდან დილის 3 საათამდე მესტიის გამგეობის შენობაში, როგორც თვითმხილველები ამბობენ, ძალის გამოყენებით მიჰყავდათ პოლიტიკური პარტია „თავისუფლების“ კანდიდატები, რომლებსაც რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ წინასწარ გამზადებულ განცხადებაზე იძულებით აწერიდნენ ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური კანდიდატების წინააღმდეგ განხორციელებულ იძულების ფაქტებთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება 2010 წლის ივნისშივე დაიწყო, ჯერ კიდევ არ დაწყებულა სისხლის-სამართლებრივი დევნა კონკრეტული მაღალჩინოსნების მიმართ. ამასთან, მიუხედავად ხელისუფლების დაპირებისა, საქმის ობიექტურად და გამჭვირვალედ გამოძიების თაობაზე, საზოგადოებას არ მიეწოდება ადეკვატური ინფორმაცია საქმის მიმდინარეობისა და გამოძიების შედეგების შესახებ. 3 მაისს განხორციელებული ძალადობის გაჭიანურებული გამოძიებისგან განსხვავებით, უმოკლეს ვადებში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ინციდენტის თვითმხილველი პირების ან მათი ახლობლების მიმართ. კერძოდ, მოცემულ ანგარიშში წარმოგიდგენთ ნელი ნავერიანისა და დავით ჟირჟოლიანის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ნელი ნავერიანი ოპოზიციური პარტიის „ალიანსი საქართველოსთვის“ კანდიდატს წარმოადგენდა. იგი

აქტიურად მონაწილეობდა წინასაარჩევნო კამპანიაში და გამოიჩინა ხელი-სუფლების კრიტიკით. მან 3 მაისის ინციდენტის თაობაზე პირველმა განაცხადა საჯაროდ, გარდა ამისა, აღნიშნული ფაქტის თაობაზე დაწყებულ გამოძიებაში მონაწილეობის სახით დაკითხვისას პირდაპირ დაასახელა სავარაუდოდ დანაშაულის ჩამდენი პირები. როდესაც ნავერიანი საკრებულოს წევრი გახდა, მან შექმნა ოპოზიციური ფრაქცია. დაინტერესდა წინა საკრებულოს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებით და მასალების შესწავლა დაიწყო.

კახა ჟორჟოლიანი, დაკავებული დავით ჟორჟოლიანის ძმა, წინასაარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრებული აქტიურობით გამოიჩინა. იგი კენჭს იყრიდა კოალიციის – „ალიანსი საქართველოსთვის“ სახელით. 3 მაისის ინციდენტის დროს მან მოახერხა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობიდან გამოიყვანა საკრებულოს ოპოზიციონერი მაჟორიტარი კანდიდატები: ვახტანგ და ლერი ნაკანები, რომლებსაც საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნის თაობაზე განცხადების დაწერას აიძულებდნენ.

ნელი ნავერიანისა და კახა ჟორჟოლიანის ძმის, დავით ჟორჟოლიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება 2010 წლის ზაფხულში, არჩევნების დასრულების შემდეგ დაიწყო. ამ საქმეებში შეინიშნება არაერთი არსებითი ხასიათის კანონდარღვევა, რომელიც ხელს უშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

- **ცალკეული საქმეები**

1. **ნელი ნავერიანის სისხლის სამართლის საქმე**

ნელი ნავერიანის ბრალი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, კერძოდ: გამოძალვა, განხორციელებული ჯგუფურად და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით. ბრალდებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ათწლეულების განმავლობაში ნავერიანის მეუღლის ოჯახის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი სახელმწიფომ გაიტანა აუქციონზე და გაასხვისა. ახალმა შემძენმა კი, თავის მხრივ, აღნიშნული მიწის ნაკვეთი კანადელ ინვესტორს მიჰყიდა. ამ უკანასკნელის წარმომადგენლის, დავით ქუხილავასაგან, ნელი ნავერიანმა, ოჯახის წევრებთან ერთად, მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით, ფულადი თანხა მოითხოვა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნავერიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის განაჩენი უცვლელი დატოვა, ხოლო საკასაციო წესით განაჩენის გასაჩივრებაზე მსჯავრდებულმა უარი განაცხადა.

დარღვევები ნელი ნავერიანის სისხლის სამართლის საქმეში

- **მატერიალური დარღვევები:**

- დანაშაულის კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, გამოძალვად მიიჩნევა „სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების **მუქარა**, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები“. ამ მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ სახეზე იყოს გამოძალვა, როგორც დანაშაული, აუცილებელია არსებობდეს **მუქარა**. ამის გარეშე ქმედება არ მოგვცემს დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან არ გვექნება დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება. ნელი ნავერიანმა ბრალის ნაყენების დროს თავი ცნო უდანაშაულოდ, მომდევნო დღეს – ნაწილობრივ, ხოლო მესამე დაკითხვის დროს – სრულად დანაშაუდ და განაცხადა, რომ როგორც მას აუხსნეს, თანხის გადაცემის მოთხოვნის განხორციელება უკვე დასრულებულ დანაშაულს წარმოადგენს და რადგან მან ამის თაობაზე თავის დროზე არ იცოდა, იმიტომ არ აღიარა დანაშაული. თავისთავად, მხოლოდ მოთხოვნის განხორციელება გამოძალვის დანაშაულისთვის საკმარისი არ არის. აქ აუცილებელია მუქარის არსებობა, როგორც თავად 181-ე მუხლის დისპოზიცია მიუთითებს. საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ ნელი ნავერიანი დაზარალებულს დაემუქრა, თანაც ძალადობის გამოყენებით. საქმეში ჩანს, რომ ჯაფარიძეები (ნავერიანის ოჯახის წევრები) სისხლის დაღვრით დაემუქრნენ დ.ქუხილავას. ნელი ნავერიანი აღნიშნული საუბრის მხოლოდ მომსწრეა. როგორც ვიცით, ნელი ნავერიანს წარდგენილი აქვს გამოძალვის ბრალდება ჯგუფურად. იგი ჯგუფის მონაწილე მხოლოდ მაშინ იქნებოდა, როდესაც თავისი მოქმედებით კონკლუდენტურად დაადასტურებდა ჯგუფის საერთო ნებას, ანუ თუ მუქარას შეუერთდებოდა. საქმის გარემოებებით ირკვევა, რომ მას მსგავსი სუბიექტური დამოკიდებულება არ ჰქონია. პირიქით, როგორც მისი ჩვენებიდან ირკვევა, მას თანხის გადაცემა სურდა იურისტთა მონაწილეობით და მათთან კონსულტაციის საფუძველზე. ეს გარემოება ცალსახად გამოირიცხავს მის მონაწილეობას მუქარის განხორციელებაში. შესაბამისად, მის მიერ გამოძალვის შემადგენლობის უმთავრესი ელემენტის არსებობა – მუქარის განხორციელება – რომელიც უპირობოდ უნდა დადგინდეს საქმეზე, გამოირიცხულია. ეს კი, თავის მხრივ, გამოირიცხავს 181-ე მუხლით ბრალდებას.

გამოძალვის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოება არის ის, რომ ნივთი ან ქონებრივი უფლება, რომლის გამოძალვაც ხდება, სხვას უნდა ეკუთვნოდეს. ნავერიანის საქმეში ნივთს წარმოადგენს მინის ნაკვეთი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ნავერიანის მეუღლის წინაპრების სარგებლობაში იყო და ეს უფლება თაობებს გადაეცემოდა. დავა ამ ქონების საკუთრების თაობაზე არასოდეს წამოჭრილა. ნავერიანის შეგნებითაც ეს მინა მათი იყო. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, უმრავლეს შემთხვევებში, სოფლებში არსებული მინის ნაკვეთები, რომლებიც თავის დროზე მოსახლეობას სარგებლობაში გადაეცა, საჯარო რეესტრში მათ საკუთრებად არ არის დარეგისტრირებული. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, უძრავ ნივთზე საკუთრება იურიდიულად ძალაშია მაშინ, როდესაც ამის თაობაზე არსებობს ჩანაწერი საჯარო რეესტრში. ნავერიანის შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა, ეს ავტომატურად იმას არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს დანაშაულთან. ზოგადად, სისხლის სამართალი განსხვავებული პრინციპებით ხელმძღვანელობს. კერძოდ, პასუხისმგებლობაში მიცემის დროს, პირველ რიგში, დგინდება დანაშაულის სუბიექტური ელემენტი – მარ-

თლწინააღმდეგობის შეგნება, როდესაც განზრახ დანაშაულთან გვაქვს საქმე. როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას სხვისი ნივთის გამოძალვისათვის, უპირობოდ უნდა დადგინდეს – პირს შეგნებული აქვს თუ არა, რომ ეს ნივთი სხვისია. საქმიდან დგინდება, რომ ნავერიანი მინის ნაკვეთს თავისად მიიჩნევს და თვლის, რომ იმსახურებს კომპენსაციას ამ ნივთის სხვის მიერ მისაკუთრების სანაცვლოდ (იხ. ნავერიანის დაკითხვის ოქმი). ის, რომ 181-ე მუხლი განზრახ დანაშაულთა კატეგორიაში შედის, ადასტურებს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი, სადაც მითითებულია: „გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია შესაბამის მუხლში“. ამ მუხლში კი ასეთი მითითება არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნავერიანის ბრალდება მოხდა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებების არარსებობის მიუხედავად.

- **საპროცესო დარღვევები**

- **გამოძიების ობიექტურობა**

საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ“ დანაშაულის გამოსავლენად იცნობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა სისტემას, რომელთა კონკრეტულ ჩამონათვალსაც თავადვე განსაზღვრავს. ეს ჩამონათვალი ამომწურავია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელებაა დასაშვები. საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებულ ქუხილავას, მას შემდეგ, რაც მან პოლიციაში განაცხადა ჯაფარიძეების მიერ თანხის მოთხოვნის ფაქტი, გამოძიების მიერ ჯაფარიძეებისათვის მისატანად შს სამინისტროდან გამოთხოვნილი და სათანადოდ დამუშავებული თანხა – 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი გადაეცა. არსებული გარემოება არც ერთ ოპერატიულ ღონისძიებაში არ ჯდება. როდესაც საქმე გვაქვს დანაშაულის გამოსავლენად განსახორციელებელ ქმედებასთან, ეს უნდა იყოს მხოლოდ კანონის მიერ პირდაპირ გათვალისწინებული, რათა არ მოხდეს ადამიანის სამართლებრივად დაცულ სფეროში ჩარევა. ასეთ ღონისძიებაში გამოძიების მიერ თავად დაზარალებულის სტატუსის მქონე პირის გამოყენება სცდება დადგენილ ჩარჩოებს, რადგან კანონი ზუსტად განსაზღვრავს პირებს, რომლებიც შესაძლოა ოპერატიული საქმიანობის აქტორები იყვნენ. ამ პირთა შორის დაზარალებული არ არის გათვალისწინებული. ეს კი მიუთითებს იმას, რომ ეს ოპერატიული ღონისძიება კანონის იგნორირებით განხორციელდა. კერძოდ, დაირღვა როგორც „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ“ კანონი, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ობიექტური გამოძიების პრინციპი, რადგან გამოძიებამ ხელოვნურად შექმნა დანაშაულის ერთ-ერთი გარემოება მტკიცებულებათა გამაგრების მიზნით.

- **დაცვის უფლება**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს დაცვის უფლება. ეს გულისხმობს ბრალდებულის მიერ იმის ცოდნას, თუ რა დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი. ანუ, ბრალდებულს სწორად

უნდა განემარტოს, ბრალად წარდგენილი დანაშაულის შემადგენლობა რა ქმედებებს მოიცავს. როგორც წელი ნავერიანის მიერ მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, მისთვის არავის განუმარტავს, რომ გამოძალვის ბრალდება მოითხოვს საქმეში მუქარის არსებობას. უფრო მეტიც, მას არასწორად მიუთითეს, რომ ქონების გადაცემის მოთხოვნა უკვე დანაშაულს წარმოადგენს.

გამოძიების ტემპიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც 3 მაისის ინციდენტის გამოძიება, საქმეზე არსებული უამრავი მტკიცებულების მიუხედავად, ჭიანჭურდება, დაზარალებული ქუხილავას განცხადების საფუძველზე დანყებული გამოძიება გამოძალვის ფაქტზე 5 დღეში დასრულდა და ძიების მიერ ეჭვმიტანილი პირების მიმართ დენის დანყება ძალიან მოკლე დროში განხორციელდა.

სასამართლო ინსტანციებმა არ გაითვალისწინეს ზემოაღნიშნული საკითხები და სრულად დაეყრდნენ ბრალდების პოზიციას ყველა პუნქტში.

2. დავით ჟორჯოლიანის სისხლის სამართლის საქმე

დავით ჟორჯოლიანს ბრალი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. გამოძიების თანახმად, ავტომანქანით მომავალ დავით ჟორჯოლიანს გზა გადაუჭრა მურთაზ კვიციანმა. მათ შორის დაიწყო კამათი, რაც ჩხუბში გადაიზარდა. ამ დროს მურთაზ კვიციანს ჟორჯოლიანმა ქვა ესროლა თავის არეში და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა. რეალურად, როგორც ფაქტის თვითმხილველები აცხადებენ, კამათის მიზეზი იყო ავტომანქანების შეჯახება, რა დროსაც დაზიანდა ჟორჯოლიანის მანქანა.

სასამართლოს მიერ დ. ჟორჯოლიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დატოვა უცვლელი. უზენაესმა სასამართლომ საჩივარი ცნო დაუშვებლად.

დარღვევები დავით ჟორჯოლიანის სისხლის სამართლის საქმეში

- **მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა**

საქმეში დაკითხულნი არიან: დაზარალებული, პოლიციის ორი თანამშრომელი, რომლებიც ფაქტის მომსწრენი იყვნენ, ექიმი, რომელმაც სამედიცინო ექსპერტიზა ჩაატარა და კიდევ სამი პირი, რომლებიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ. დაკითხულთაგან მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები უთითებენ სახელდებით, რომ კვიციანს ქვა ჟორჯოლიანმა დაარტყა. სხვა მოწმეები აცხადებენ, რომ მათ არ დაუნახავთ, ვინ დაარტყა კვიციანს ქვა. წინასწარი გამოძიების დროს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებათა მოპოვების შემდეგ, პროცესის მწარმოებელი პირის მიერ ხდება მათი შეფასება შინაგანი რწმენით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, „მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს: ... მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესა-

ხებ დასკვნისათვის“. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ორი პოლიციელის ჩვენება, რომ ჟორჟოლიანმა ჩაარტყა ქვა კვიციანს, არ იძლევა მტკიცებულებების საკმარის ერთობლიობას ბრალდებისთვის, თანაც, უტყუარობის თვალსაზრისითაც ნაკლებად სარწმუნოა. ამ შემთხვევაში, გაცილებით მეტ დამაჯერებლობას იძენს დანარჩენი სამი პირის ჩვენება, რომლებსაც ამ საქმის მიმართ არანაირი შემხებლობა არ აქვთ და აბსოლუტურად ნეიტრალურნი არიან. პოლიციელების ნეიტრალურობა უფრო მცირეა ამ შემთხვევაში, ვინაიდან ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი საქმის წარმოებაში, რაც სხვა საპროცესო დარღვევაზე მიუთითებს, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

- **გამოძიების ობიექტურობა**

სისხლის სამართალწარმოებაში გარკვეული სუბიექტების მონაწილეობის გამორიცხვა იძლევა პროცესის ობიექტურობის გარანტიას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი ადგენს აცილების საფუძველს, რომლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმადაც, „... გამოძიებელი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ იგი მონაწილეობს იმავე საქმეში, როგორც მოწმე“. ამის საწინააღმდეგოდ, მოწმის სახით დაკითხული პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი ჟორჟოლიანის მამასთან დაკითხვის მიზნით მივიდა. ამ მომენტში ეს პირი გამოძიებლის ფუნქციას ახორციელებდა იმავე საქმეზე, რომელზეც თვითონ იყო მოწმე და ამით პირდაპირ არღვევდა საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. ჟორჟოლიანის მამამ უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე პოლიციელისადმი უნდობლობის მოტივით. ამის თაობაზე შედგენილი ოქმი საქმეში არ ფიგურირებს. ყოველივე აღნიშნულის თანახმად, დგინდება, რომ საქმის ობიექტურად წარმოების უმნიშვნელოვანესი საფუძველი – გამოძიების ყველა ეპიზოდი აწარმოოს იმ პირმა, ვისაც არ აქვს კანონით დადგენილი შემხებლობა ფაქტის მიმართ, არ არსებობს.

- **ყოველმხრივი სამართლებრივი რეაგირება კონკრეტული ფაქტის მიმართ**

ჟორჟოლიანსა და კვიციანს შორის შეკამათება მათი მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანების შეჯახების შედეგად მოხდა, როგორც ამას ფაქტის თვითმხილველები, ნინო ჯაფარიძე და ციცილო რატიანი მიუთითებენ. აღნიშნული პირები იქნენ მოწმის სახით დაკითხულნი, თუმცა, ვინაიდან ინციდენტს შეესწრო პოლიციის ორი თანამშრომელი, მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტი. ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტს არ მოჰყოლია სამართლებრივი რეაგირება, აღნიშნულის თაობაზე არ შედგენილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, არ გარკვეულა, რომელმა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, შესაბამისად, არ გამოწერილა საჯარიმო ქვითრები. უფრო მეტიც, გამოძიების მასალებში საერთოდ არ ფიგურირებს ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტი.

- **აღკვეთის ღონისძიების პროპორციულობა მის მიზნებთან**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების მიზანს წარმოადგენს წინასწარი გამოძიების უსაფრთხოების დაცვა მტკიცებუ-

ლების მოპოვების დროს. შერჩეული აღკვეთის ღონისძიება მაქსიმალურად პროპორციული უნდა იყოს აღნიშნულ მიზანთან. როდესაც ბრალდების მხარე სასამართლოში შედის შუამდგომლობით, რომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს დაპატიმრება, იგი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია, დაასაბუთოს ამის საჭიროება და ის, რომ სხვა, უფრო ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს. კერძოდ დასაბუთებული უნდა იყოს იმის საშისპიროება, რომ ბრალდებული მიიმალება, ხელს შეუშლის გამოძიების პროცესს, გადამალავს მტკიცებულებებს, დააშინებს მოწმეებს და ა.შ. დ. ჟორჟოლიანი არ იყო ნასამართლევ, ამასთან, ბრალი ედებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში. შესაბამისად, მისი დაპატიმრების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. აღკვეთის ღონისძიების მიზანი სავსებით უზრუნველყოფილი იქნებოდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებითაც. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საგამოძიებო ორგანოების შუამდგომლობა არ იყო საფუძვლიანი.

მსგავსად ნავერიანისა, ამ შემთხვევაშიც, სასამართლო ინსტანციებმა არ გაითვალისწინეს ზემოაღნიშნული საკითხები და სრულად დაეყრდნენ ბრალდების პოზიციას ყველა პუნქტში.

- **დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ნელი ნავერიანისა და დავით ჟორჟოლიანის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში არსებობს სისხლის სამართლის როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კანონების არსებითი დარღვევები, რაც წარმოშობს სერიოზულ ეჭვებს ამ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების კანონიერების შესახებ.

2.2. სხვა სისხლის სამართლის საქმეები

2.2.1. სერგო ბესელიას და რატი მილორავეას საქმე

1. *სერგო ბესელიასა და რატი მილორავეას პოლიტიკური ფონი*

სერგო ბესელია არის პოლიტიკური პარტიის „ერთიანი საქართველოსთვის“ ყოფილი წევრის და ამჟამად ორგანიზაცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელის, ეკა ბესელიას ძმა; რატი მილორავეა კი – ეკა ბესელიას შვილი. სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის მიერ მრავალგზის იქნა აღნიშნული, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა ბრალდებულთა მიმართ მიმდინარეობდა ეკა ბესელიას პოლიტიკური საქმიანობის გამო.

2. *სერგო ბესელიასა და რატი მილორავეას სისხლის სამართლის საქმე*

საქმის გარემოებები მდგომარეობს შემდეგში: 2009 წლის 19 აგვისტოს დაბა ქობულეთში, კაფე-ბარში „ელზა“ მომხდარი ინციდენტის გამო წინასწარი გამოძიება და შემდგომ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო სერგო ბესელიას, რატი მილორავეას, როინ ცაგარელის და ვალერიან კირვალაძის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე და 353-ე მუხლებით. ქობულეთის რაიონუ-

ლი სასამართლოს განაჩენით, ოთხივე ბრალდებული გამტყუნებული იქნა ბრალდების ყველა ეპიზოდში. განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სასამართლო კამათის სტადიაზე პროკურორის შუამდგომლობით გამოიყო სისხლის სამართლის საქმე და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორ ზვიად ფხაკაძეს და მსჯავრდებულებს ვალერი კირვალიძესა და როინ ცაგარელს შორის. 2010 წლის 27 აპრილის განაჩენით, რატი მილორაგას და სერგო ბესელიას მიმართ ძალაში დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის №587-აპ-10 განჩინებით, საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული.

3. დარღვევები სერგო ბესელიასა და რატი მილორაგას სისხლის სამართლის საქმეში

- საპროცესო შეთანხმება სააპელაციო სტადიაზე და ორი მსჯავრდებულის მიერ ჩვენების შეცვლა, პრეიუდიცია

კაფე-ბარში „ელზა“ მომხდარი ინციდენტის გამო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ. ნაყენებულ ბრალდებას არც ერთი მათგანი არ აღიარებდა.¹⁰⁷ პროკურატურისა და დაცვის ვერსიები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ფაქტობრივ ელემენტებს ეყრდნობოდა. სერგო ბესელიას, რატი მილორაგას, როინ ცაგარელის და ვალერიან კირვალიძის პასუხისმგებებაში მიცემა მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე (ხულიგნობა) და 353-ე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) მუხლებით. არც ერთ ბრალდებულს ხულიგნობისა და „ფორმირებული პოლიციელებისთვის“ წინააღმდეგობის ფაქტი არ უღიარებია. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 დეკემბრის განაჩენით, ოთხივე ბრალდებული მსჯავრდებულ იქნა ბრალდების ყველა ეპიზოდში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XIV¹ თავი არეგულირებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს. მასში არ არის განსაზღვრული საპროცესო შეთანხმების დადების სტადიები. შესაბამისად, კანონმდებლობა პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უშვებს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას. 679¹-ე მუხლი ადგენს მხოლოდ ერთ აკრძალვას სასამართლოსთან მიმართებით, რომელსაც მხარეთათვის საპროცესო შეთანხმების შეთავაზების უფლება მხოლოდ სასამართლო კამათის დაწყებამდე აქვს.¹⁰⁸ თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორი. სსსსკ-ის მე-15¹ მუხლის მიხედვით, საპროცესო შეთანხმებამ არ უნდა შელახოს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი. ამასთან, აუცილებელია ადამიანის უფლებების და, განსაკუთრებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა.

ბესელიას და მილორაგას საქმეში არსებული შემთხვევა, თავისი შინაარსით,

¹⁰⁷ იხილეთ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმი.

¹⁰⁸ I ნაწილი არ აკონკრეტებს განხილვის ინსტანციურობას და სააპელაციო განხილვისასაც შესაძლებელია აღნიშნული უფლებით სარგებლობა.

წარმოადგენს საინტერესო პრეცედენტს. სააპელაციო სასამართლოს კამათის სტადიაზე პროკურორის შუამდგომლობით გამოიყო სისხლის სამართლის საქმე დანარჩენი ორი მსჯავრდებულის მიმართ, რომლებთანაც დაიდო საპროცესო შეთანხმება. ამ საპროცესო შეთანხმების შედეგად დამტკიცდა განაჩენი. ამ განაჩენს ჰქონდა პრეიუდიციული მნიშვნელობა და, რეალურად, სერგო ბესელიას და რატი მილორავას არ მიეცათ იმის შესაძლებლობა, რომ მოეხდინათ თავის დაცვა. სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას სასამართლო განხილვის დროს. როდესაც სასამართლო გამოძიების ბოლოს ოთხი მსჯავრდებულიდან ორი აღიარებს ბრალს და შემდეგ რამდენიმე დღეში დებს საპროცესო შეთანხმებას პროკურატურასთან, სახეზეა შეჯიბრებითობის პრინციპის, როგორც სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ელემენტის დარღვევა, რადგან, ამ შემთხვევაში, ბრალდების მხარე აღჭურვილია აშკარა უპირატესობით. პროკურატურისთვის საპროცესო შეთანხმების შეუზღუდავად მინიჭების უფლებამოსილებით,¹⁰⁹ დაცვის მხარეს ერთმევა სასამართლო განხილვის შედეგზე რეალური ზემოქმედების შესაძლებლობა, რაც არღვევს მხარეთა თანასწორუფლებიანობას.

საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილების შეზღუდვა აუცილებელია სტადიის თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, თუ სერგო ბესელიას და რატი მილორავას ექნებოდათ იმის შესაძლებლობა, რომ მინიმუმ სასამართლო გამოძიების საწყის ეტაპზე მოეხდინათ დაცვა და არგუმენტების წარდგენა, მაშინ ბრალდებულთა მიმართ ადგილი აღარ ექნებოდა შეჯიბრებითობის დარღვევას. მაგრამ კამათის სტადიაზე, როდესაც უკვე გამოკვლეული იყო მტკიცებულებები, საპროცესო შეთანხმების დადებით ბესელიას და მილორავას შეეზღუდათ შეჯიბრებითი მართლმსაჯულების უფლება.

რეალურად, ამ საქმეში საპროცესო შეთანხმების დადებით შეიქმნა პრეიუდიცია, რომელიც გაზიარებულ იქნა სერგო ბესელიას და რატი მილორავასთან მიმართებით.¹¹⁰ მომავალში რეკომენდირებულია საპროცესო შეთანხმების დადების შეზღუდვა პროცესის კონკრეტულ სტადიაზე.

- *აღკვეთის ღონისძიების შეფარდება*

ბესელიას და მილორავას საქმეში აღკვეთის ღონისძიების საკითხი განხილულ იქნა 2009 წლის 21 აგვისტოს 19 საათიდან 23 საათსა და 10 წუთამდე. პროცესზე დაცვის მხარემ დააყენა რამდენიმე შუამდგომლობა და ასევე რამდენჯერმე მცირე ვადით გადაიდო პროცესი. მოსამართლემ რატი მილორავას მიმართ აღკვეთის ღონისძიებად გამოიყენა გირაო, ხოლო სერგო ბესელიას მიმართ – პატიმრობა. თუმცა, საქმეში საინტერესოა თავად ბრძანებების¹¹¹ გამოტანის დრო.

კერძოდ, რატი მილორავას მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის ბრძანება

¹⁰⁹ განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ შესაძლებელია სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის მინიმალური ოდენობის გამოყენება და, ასევე, სსკ-ის 63-ე მუხლის მიხედვით, პირობითი მსჯავრის გამოყენება.

¹¹⁰ მართალია იმპლიციური მითითების გარეშე, მაგრამ თუკი პრეიუდიციის საწინააღმდეგო არღინდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მაშინ მოქმედებს სწორედ პრეიუდიცია. აღნიშნული წარმოადგენს ფაქტის პრეზუმფციას.

¹¹¹ ანუ საპროცესო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხდება აღკვეთის ღონისძიების შეფარდება.

გამოტანილ იქნა 20 საათსა და 55 წუთზე, ანუ პროცესის დასრულებამდე 2 საათითა და 15 წუთით ადრე და მხარეთა არგუმენტების მოსმენამდე.

- აკო ჭკუასელის ქმედება

საქმის მასალების მიხედვით, როგორც ბრალდებულები, ასევე დაზარალებულები ხულიგნობის ინსპირატორად ასახელებენ აკო ჭკუასელს. კერძოდ, სწორედ აკო ჭკუასელი დაეჯახა მაგიდას, წამოიწყო კონფლიქტი და ყველაზე გამომწვევი იყო ამ საქმეში. მიუხედავად ამისა, ბრალდების მხარის მიერ არ განხორციელდა არც ერთი საგამოძიებო მოქმედება იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც, მათივე ვერსიით, წარმოადგენდა ხულიგნობის მთავარ ჩამდენს.

ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა თანაბრად ყველა მონაწილე პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული.

- ბესელიას და მილორაგას ქმედებათა სისხლისსამართლებრივი შეფასება

სერგო ბესელია მსჯავრდებულ იქნა:

1. ხულიგნობისთვის (სსკ-ის 239-ე მუხლი), ამ ქმედებისთვის მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 4000 ლარი ჯარიმა;

2. პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწევისთვის, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

სააპელაციო განაჩენის მიხედვით, არ არის დაზუსტებული, თუ რომელი ქმედების გამო მოხდა სერგო ბესელიას მსჯავრდება ხულიგნობისთვის – სერგო ჯაფარიასთან თუ პოლიციელებთან ჩხუბის გამო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია „ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.“

ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა (*actus reus*) გულისხმობს ქმედებას, რომელიც ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანია ასევე შედეგი, ანუ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ამ ქმედების *Circumstance Element*-ს მიეკუთვნება ასევე საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა. შესაბამისად, ყოველგვარი პირადი მოტივით მიმდინარე ჩხუბი, კამათი და ხმამაღალი საუბარი, რომელიც შეიძლება მიმდინარეობდეს და არღვევდეს კიდეც საზოგადოებრივ წესრიგს, არ იქნება საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობით ჩადენილი. შესაბამისად, სახეზე არ იქნება საზოგადოებისადმი უპატივცემლობის ელემენტი. ანუ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა *a priori* არ უდრის საზოგადოებისადმი უპატივცემლობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მიუხედავად ჩხუბის ადგილისა, მთავარია კონფლიქტის მოტივი.¹¹² ხულიგნობა გამოირიცხე-

¹¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმეზე №210აპ.

ბა, როდესაც პირად ნიადაგზე მიმდინარეობს კონფლიქტი, მიუხედავად ჩხუბის ადგილმდებარეობისა.¹¹³

როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარის მონმეთა ჩვენებებით დასტურდება სერგო ბესელიას პასიური როლი აკო ჭკუასელის პირველადი ქმედების დროს. ამ უკანასკნელის მიერ პროვოცირებული კონფლიქტის დროს ბესელია მას აწყნარებდა და დაძაბულობის განმუხტვას ცდილობდა. ბესელია ჩხუბში მონაწილეობს მას შემდეგ, რაც მისი დის მისამართით შეიგინეს. ანუ მას უკვე პირადი მოტივი ამოძრავებდა, როდესაც ჩხუბში ჩაერთო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლით, დასჯადია „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია **დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის**¹¹⁴ მიმართ **დაზარალებულის** მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, **მძიმე შეურაცხყოფამ** ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე, დაზარალებულის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ“. სსკ-ის 121-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებული დანაშაული ითვალისწინებს ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას. დაზარალებულ ჯაფარიძეს მიღებული აქვს სხეულის მსუბუქი დაზიანება. ვინაიდან აღნიშნული დაზიანება გამონვეული იყო მისი ვიქტიმური ქმედებით, თავისთავად გამოირიცხება შესაძლო პასუხისმგებლობაც.

არასწორია სერგო ბესელიას ქმედების ხულიგნობად კვალიფიკაცია, რადგან იგი, რეალურად, მოქმედებდა პირადი ინტერესიდან გამომდინარე და არა საზოგადოებისადმი უპატივცემულობის მიზნით. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ბესელია კონფლიქტის პირველ ეტაპზე ცდილობდა მხარეთა შერიგებას. ამის შემდეგ ბესელიას ქმედების კვალიფიკაცია შესაძლებელია ჯანმრთელობის დაზიანების მიხედვით. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ დამდგარი ზიანი იყო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.¹¹⁵

მეორე ეპიზოდი, რომელიც გარეთ განვითარდა პოლიციის წარმომადგენლების მიმართ, დაკვალიფიცირებულია ცალკე მუხლით და, შესაბამისად, ხულიგნობა იმ ნაწილში გამოირიცხება, რადგან ერთი ქმედება ორი მუხლით არ შეიძლება შეფასდეს.¹¹⁶ აქედან გამომდინარე, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სერგო ბესელიას მიერ ხულიგნობის ჩადენა არ დასტურდება.

¹¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინება საქმეზე №109აპ-10.

¹¹⁴ დაზარალებულ ჯაფარიძის გინება მიმართული იყო სერგო ბესელიას დის ეკა ბესელიას მისამართით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, ბიოლოგიური და მიეკუთვნება ახლო ნათესავს სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის.

¹¹⁵ ფიზიოლოგიური აფექტის დროს გამოირიცხება პასუხისმგებლობა დამდგარი მსუბუქი დაზიანებისთვის. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა უფრო მძიმე დანაშაულის მცდელობა.

¹¹⁶ პრინციპი *Ne bis in idem* (არა იმ მნიშვნელობით, რომელიც გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის (*double jeopardy*) სათაურში, არამედ, როდესაც ერთი ქმედება კვალიფიცირდება ორი ან მეტი მუხლით და იქმნება დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის ხელშეწყობის შემადგენლობა ზოგადი და სპეციალური მუხლების კონკურენციისას).

რაც შეეხება პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწევის ბრალდებას, მისი და-
დასტურებისთვის აუცილებელია შემდეგი ნიშნების არსებობა: პოლიციელის –
რომელიც ასეთად აღიქმება – დაზარალება; მისთვის წინააღმდეგობის განწევა
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის
ან შეცვლის მიზნით.¹¹⁷

დაცვის მხარის მიერ ამ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ იქნა პრე-
ტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არსებული პოლიციელთა ფორმები
და ტანსაცმელი იყო გამოცვლილი, ხოლო მათზე არსებული ფიზიკური ზემოქ-
მედების კვალი იყო ხელოვნური ზემოქმედების შედეგი. ამ ეჭვის დასადასტურე-
ბლად მათ მოყვანილი აქვთ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის პატაკი,
რომლითაც იგი დანაშაულის შესახებ ინფორმაციას აწვდის თავის უფროსს. მასში
მითითებულია მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტი, რომ დაკავებული პირების მიერ
ჩადენილია ხულიგნობა. გარდა ამისა, დაცვის მხარე ამკარავდა მითითებს, რომ
საქმის მასალებში მითითებული პერანგის ფერი არ ემთხვევა ამოღების ოქმში
მითითებულ მონაცემებს. ამოღების ოქმის მიმართ გამოთქმული იყო ასევე რამ-
დენიმე შენიშვნა, რომელიც არ იქნა გაბათილებული ბრალდების მხარის მიერ.
ბესელიას და მილორავას ადვოკატებმა ასევე ეჭვქვეშ დააყენეს მტკიცებულე-
ბათა ამოღების კანონიერება, რადგან პერანგების ამოღება მოხდა გადაუდებე-
ლი აუცილებლობის რეჟიმით, როდესაც ისინი იმყოფებოდა პოლიციის განყო-
ფილებაში და მათი დაზიანების არანაირი საფრთხე არ არსებობდა. ზემოაღნიშ-
ნული გარემოებები ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ შეიძლება არსებობდეს
მტკიცებულებათა ნიშან-თვისებების, მათზე არსებული კვალის გაქრობის და
განადგურების გონივრული ვარაუდი, რაც ნივთმტკიცებების დაუშვებლად მიჩ-
ნევის საფუძველია.¹¹⁸ მიუხედავად დაცვის მხარის შუამდგომლობისა, აღნიშნულ
კითხვებზე პასუხი არ გასცა არც ერთი ინსტანციის სასამართლომ.

- ვიდეო ჩანაწერი, რომლითაც დასტურდება რატი მილორავაზე ზეწოლის ფაქტი

სასამართლო გამოძიებისას ბათუმის საქალაქო სასამართლოში მტკიცებულებად
წარმოდგენილ იქნა რატი მილორავას ამოცნობის ოქმი. სასამართლომ 2009
წლის 18 დეკემბერს გამოაქვეყნა ვიდეო მასალა, რომელიც ოქმზე იყო დართუ-
ლი. ამ ვიდეო მასალაზე აღბეჭდილია, თუ როგორ ახდენს კანონსწინააღმდეგო
ზეწოლას იმ დროისთვის ეჭვმიტანილ რატი მილორავაზე პროკურორი გიორგი
დავითაშვილი, რომელიც ატყუებს მას, თითქოს მის დაცვაზე უარი თქვეს ადვო-
კატებმა. ამ ფირის გადაცემაზე უარი განაცხადეს როგორც პირველი, ისე საა-
პელაციო ინსტანციის სასამართლოებმა. სასამართლოს განცხადებით, აღნიშ-
ნული საგამოძიებო მოქმედება წარმოადგენდა „დაუსრულებელს“. ამასთან, სახ-
ელმწიფო ბრალმდებლებმა შემდგომში განაცხადეს, რომ ეს მტკიცებულება არ
წარმოადგენდა ბრალდების მხარის მტკიცებულებას.

¹¹⁷ ეს ქმედება არის მიზნით დეტერმინირებული ფორმალური დანაშაული, ანუ მისი ჩადენა არ
მოითხოვს ზიანის სახით შედეგის დადგომას. წინააღმდეგობა, სხვა გარემოებებთან ერთად, *a*
priori იძლევა დანაშაულს და სხვა სამართლებრივი რეზულტატი არ არის აუცილებელი. ისევე,
როგორც ყველა მიზნით დეტერმინირებული ფორმალური დანაშაული, ამ სსკ-ის 353-ე მუხლით
გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, აუცილებელია პირდაპირი განზრახვა.

¹¹⁸ სსსკ-ის 121-ე მუხლის V ნაწილის შესაბამისად.

„დაუსრულებელი“ საგამოძიებო მოქმედება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ არსებობს. საგამოძიებო მოქმედების ოქმი,¹¹⁹ რომელიც სისხლის სამართლის საქმეშია, მიეკუთვნება დასაშვებ ან დაუშვებელ მტკიცებულებას. გაუგებარია, რა იგულისხმა სასამართლომ „დაუსრულებელში“ – დასაშვები მტკიცებულება, რომელიც დაუშვებლად იყო ცნობილი, თუ რელიევანტური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის მიმართ რაიმე ახალი სამართლებრივი სტატუსი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით, შესაძლებელია, დაცვის მხარის შუამდგომლობით, ბრალდების მხარის დაუშვებელი მტკიცებულების დასაშვებად ცნობა. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას და სასამართლო ვალდებული იყო, დაცვის შუამდგომლობის შემთხვევაში, გადაეცა მისთვის მტკიცებულება, თუნდაც ის დაუშვებლად ყოფილიყო ცნობილი. სასამართლოს უარი, ნებისმიერ შემთხვევაში, წარმოადგენს გაუმართლებელ შეზღუდვას დაცვის უფლების განხორციელების სფეროში.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მუქარა და ფიზიკური ზეწოლა აკრძალულია არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით. ეს მუხლი იცავს პირს ნებისმიერი ფსიქიკური იძულებისგან.

რატი მილორაგას მიმართ გამოყენებულ იქნა მოტყუების მეთოდი, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება შეფასდეს, როგორც ღირსების შემლახავი, რადგან ამ დროს, რეალურად, არასრულწლოვანს უჩნდება დაუცველობის განცდა. აღნიშნული წარმოადგენს პირის უფლებების უხეშ შელახვას და, შესაბამისად, საჭიროებს გამოსწორებას. როდესაც ასეთი დარღვევა მომდინარეობს პროკურატურის მხრიდან, მოსამართლე არის ის პირი, რომელმაც უნდა მოახდინოს ფაქტზე რეაგირება. ამისთვის მოსამართლეს აქვს შესაბამისი უფლებამოსილება და ვალდებულება. საწინააღმდეგო მოქმედება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევას.¹²⁰

- დაცვის უფლების შეზღუდვა

დაცვის უფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათაგანია. მისი საშუალებით ხორციელდება რეალური შეჯიბრებითობა მხარეთა შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნების შემთხვევა, როდესაც ეს უფლება პროცესის მწარმოებლის ვალდებულებად იქცევა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულ სერგო ბესელიასთან მიმართებით დაირღვა დაცვის უფლება წინასწარი გამოძიების ეტაპზე, როდესაც მას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, მისი ნების საწინააღმდეგოდ, დაუნიშნეს დამცველი ამოცნობის მიმდინარეობისას.

გარდა ამისა, ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ რატი მილორაგას საქმეში ადვო-

¹¹⁹ ანუ აქტი, რომელიც ასახავს საგამოძიებო მოქმედებას.

¹²⁰ *mutatis mutandis*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის განჩინება საქმეზე *Aksoy v. Turkey*, § 59.

კატი მოექცა პროკურორის ზეგავლენის ქვეშ. ამ მდგომარეობაში საგანგაშოა პროკურორის მოქმედება და ადვოკატის სისუსტე. ყოველივე ზემოაღნიშნული კი არის იმის საფუძველი, რომ ვისაუბროთ დაცვის უფლების შეზღუდვაზე.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სახაზინო ადვოკატის მიერ სათანადოდ ვერ შესრულდა უფლებამოსილება, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბესელიას და მილორაგას დაცვის უფლების შეზღუდვაზე.

- *მსჯავრდებულ პირთა პირობით ვადამდე გათავისუფლება*

შენწყალების, პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სხვა ღონისძიებების დისკრიმინაციულად გამოუყენებლობა კონკრეტული მსჯავრდებულის მიმართ, წარმოადგენს პოლიტიკური მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას და საშუალებას. როდესაც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გაუმართლებლად ხდება სხვადასხვა პირის ჩაყენება სხვებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში, არსებობს პოლიტიკური მართლმსაჯულების ალბათობა. ეს შემთხვევა გულისხმობს როგორც სასჯელისგან გათავისუფლების, ისე ნასამართლობის მოხსნის საკითხებს.

ბესელიას და მილორაგას საქმეში დანარჩენი ორი ბრალდებულის მიერ მოხდა ჩვენების შეცვლა. მათ პროკურატურამ გაუფორმა საპროცესო შეთანხმება, რაც, თავის მხრივ, ბესელიას და მილორაგასთან მიმართებით შეუძლებელი აღმოჩნდა. ვალერიან ცაგარელს, 2010 წლის 21 აპრილის განაჩენით, შეეფარდა პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 2 წელი, ხოლო როინ ცაგარელი, რომელსაც სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 4 თვის ვადით, რამდენიმე კვირაში გათავისუფლებულ იქნა პირობით ვადამდე გათავისუფლების წესით. ნყალტუბოს რაიონული სასამართლოს დადგენილებით, როინ ცაგარელი გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან განაჩენის გამოტანიდან რამდენიმე კვირაში.

სასჯელის პროპორციულობა მოიცავს რამდენიმე ფაქტორს: პირველ რიგში, დანიშნული სასჯელი გამართლებული უნდა იყოს გარკვეული ობიექტური ფაქტორებით და ამ ნაწილში აუცილებელია ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება. ასევე, სასჯელის პროპორციულობა დამატებით მოიცავს ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას სასჯელისგან გათავისუფლების პირობებში. ანუ, სასჯელის პროპორციულობა მოიცავს სასჯელის დანიშნის და სასჯელის მოხდის წესების პროპორციულობას.

როინ ცაგარელი პირობით ვადამდე გათავისუფლდა განაჩენის მიღებიდან რამდენიმე კვირაში. ისმის ლოგიკური კითხვა, რამდენიმე კვირის შემდეგ როგორ შეძლო პენიტენციურმა სისტემამ იმის გარკვევა, რომ ცაგარელის გამოსწორებისთვის აღარ იყო საჭირო დარჩენილი სასჯელის მოხდა სასჯელის მიზნების განსახორციელებლად? ¹²¹ აღნიშნული შეკითხვა ბუნებრივად ჩნდება მაშინ, როდესაც, როინ ცაგარელისგან განსხვავებით, სერგო ბესელიას არ ეხება არც

¹²¹ სწორედ აღნიშნული წარმოადგენს პირობით ვადამდე გათავისუფლების საფუძველს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

პირობით ვადამდე გათავისუფლება და არც სასჯელის შემსუბუქების გარემოებები. შეიძლება ითქვას, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო სასჯელის პროპორციულობის პრინციპის დარღვევა.

- რატი მილორაგას და სერგო ბესელიას შეწყალება

2010 წლის 28 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეწყალებულ იქნენ რატი მილორაგა და სერგო ბესელია. პრეზიდენტისთვის, შეწყალების გამოყენების მოთხოვნით, პირადად არც ერთ მსჯავრდებულს არ მიუმართავს.

სერგო ბესელიას შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მას დარჩენილი ჰქონდა სასჯელის მოხდის საკმაო ვადა. იგი არ ითხოვდა შეწყალებას, არ ინანიებდა დანაშაულს და, საერთოდაც, არ ცნობდა თავს დამნაშავედ,¹²² რაც მსჯავრდებულის შეწყალებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.¹²³

რაც შეეხება რატი მილორაგას, ეს საკმაოდ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც მილორაგას არ ჰქონდა მოხდელი სასჯელი,¹²⁴ არ ინანიებდა დანაშაულს და იმყოფებოდა მიმალვაში. ძეხნილი პირის მიმართ შეწყალების გამოყენება თავისთავად საფუძველსაა მოკლებული.

ყოველივე აღნიშნული ადასტურებს, რომ შეწყალების მარეგულირებელი ნორმები არ იქნა დაცული და არ არსებობდა ბრალდებულთა შეწყალების დასაბუთება.

1. დასკვნა

სერგო ბესელიას და რატი მილორაგას დაერღვათ დაცვის უფლება. მათ წინააღმდეგ ჩვენება მისცა ორმა ბრალდებულმა. ამ უკანასკნელთა ჩვენება განსხვავებული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და შეცვლა განხორციელდა იმ ფონზე, როდესაც მათ მიიღეს შეღავათები ბრალდების მხარისგან. ეს მიღწეულ იქნა საპროცესო შეთანხმებით, რომელიც შემდგომ პრეიუდიციული შინაარსის დოკუმენტაციას წარმოადგენდა ბესელიას და მილორაგას საქმეში.

სასამართლომ გაუმართლებლად არ მოახდინა რეაგირება რატი მილორაგას უფლებათა დარღვევაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სერგო ბესელიას და რატი მილორაგას საქმეში ადგილი ჰქონდა არაერთ სამართლებრივ დარღვევას და დაცვის ქვეშ მყოფები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

¹²² საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის №277 ბრძანებულება ამ დროს კრძალავს შეწყალების გამოყენებას (საშედავათო პირობა შეიძლება გამოყენებული იქნეს არასრულწლოვნების მიმართ – სერგო ბესელია 18 წელს მიღწეული პირია).

¹²³ თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის №277 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, პრეზიდენტს შეუძლია, დადგენილი წესის დაუცველად მიიღოს შეწყალების გადაწყვეტილება. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს არანაირი კრიტერიუმი ამ მიმართებით, გაუგებარია, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული შეწყალების წესი. ამ დროს არსებობს დისკრიმინაციის ალბათობა.

¹²⁴ მისჯილი სასჯელის არც ერთი დღე არ მოუხდია მილორაგას.

2.2.2. შალვა გოგინაშვილის საქმე

1. შალვა გოგინაშვილის პოლიტიკური საქმიანობა

შალვა გოგინაშვილი არის მოძრაობის „7 ნოემბერი“ წევრი. იგი ასევე იყო პარლამენტის წინ 2009 წლის აპრილში მიმდინარე საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე.

2. შალვა გოგინაშვილის სისხლის სამართლის საქმე

2009 წლის 28 მაისს გამოძიება დაიწყო „2009 წლის 28 მაისს ქ. თბილისში რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ მომხდარი მკვლელობის მცდელობისა და ხულიგნობის ფაქტზე“, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასა ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით) და იმავე კოდექსის 239-ე მუხლით (ხულიგნობა). მოგვიანებით, ხულიგნობა შეიცვალა სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ). აღნიშნულ დღეს, რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია. აქციის დროს მოხდა შეჯახება მომიტინგეებსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის, რასაც მოჰყვა ორი პოლიციელის დაჭრა. ერთ-ერთი პოლიციელის დაჭრა ბრალად ედება შალვა გოგინაშვილს. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, შალვა გოგინაშვილს 19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 (თორმეტი) წლის ვადით, ხოლო 353-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით. საბოლოოდ განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საჩივარი ცნო დაუშვებლად.

ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა:

ამ სისხლის სამართლის საქმეშიც, მსგავსად სხვა საქმეებისა, გამოძიების დაწყების საფუძველია ოპერატიული ინფორმაცია. კერძოდ, პოლიციელის პატაკი, რომლის მიხედვითაც, რომელიღაც ოპერატორი იქნა გატაცებული. სასამართლო პროცესზე არ ყოფილა არანაირი დადასტურება იმისა, თუ რა სახით იქნა ეს ინფორმაცია მიღებული. ამ პატაკის შემდეგ ჯგუფი გავიდა ოპერატორის მოსაძებნად. ყველა დაკითხული მოწმე მიუთითებს, რომ მათ არ იცოდნენ დაკარგული ოპერატორის ვინაობა, ისინი მას ვიზუალურადაც კი არ იცნობენ. ოპერატორს მხოლოდ მოწმე ციხელაშვილი (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ქ. თბილისის ტერიტორიული სამმართველოს 1-ლი სამსახურის უფროსი) იცნობდა, ისიც ვიზუალურად. მას ოპერატორის დაკარგვის ფაქტი შეატყობინა ოპერატორმა, ვინმე ზვიადმა, რომლის გვარიც არ იცოდა. ერთ-ერთი მოწმის ჩვენების მიხედვით, დაკარგულის ძებნის კრიტერიუმები მათთვის არავის გაუც-

ნია.¹²⁵ აღნიშნული გარემოებები ბადებს ეჭვს, რეალურად არსებობდა თუ არა დაკარგული ოპერატორი და მართლაც მის საძებნელად გავიდა თუ არა ჯგუფი.

3. დარღვევები შალვა გოგინაშვილის სისხლის სამართლის საქმეში

• მომხდარი ინციდენტი და სისხლისსამართლებრივი დევნა

ნინასწარი გამოძიება დაიწყო 28 მაისს მომხდარი ინციდენტის გარშემო, ხოლო შ. გოგინაშვილის დაკავება მოხდა რამდენიმე კვირის შემდეგ – 16 ივნისს. შ. გოგინაშვილი 28 მაისიდან 16 ივნისამდე აქტიურად აგრძელებდა მიტინგებზე სიარულს. იქვე ტრიალებდნენ პოლიციელები, რომლებმაც 16 ივნისს ამოიცივნეს იგი, თუმცა, ამდენი ხნის მანძილზე არც ერთ პოლიციელს არ გაუჩერებია და, მით უფრო, არ დაუკავებია იგი.

16 ივნისს ჩატარდა შ. გოგინაშვილის ამოცნობა. ამ საგამოძიებო მოქმედების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ჩატარება ხორციელდება ერთ-გვაროვან პირებთან ერთად.¹²⁶ შ.გოგინაშვილის განმარტებით, ამოსაცნობ პირთაგან მხოლოდ იგი იყო ნაცემი და დადებული ჰქონდა ხელბორკილები, შესაბამისად, მონმეს მისი ამოცნობა არ გაუჭირდებოდა. ამის შემდეგ უკვე მოხდა დაკავება. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება აღძრავს გონივრულ ეჭვებს, გოგინაშვილის დაპატიმრების კანონიერების შესახებ.

• მტკიცებულებები

შ. გოგინაშვილის საქმეში დარღვეულ იქნა ნივთის ამოღებისა და დაკანონების ნესები, რაც რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს.

- მონმე ურთიერთსანინააღმდეგო ჩვენებებს იძლევა ნივთმტკიცებებთან დაკავშირებით. კერძოდ, მონმე სულაბერიძემ (პოლიციელი) ნინასწარ გამოძიებაში განაცხადა, რომ მედდასგან წამოიღო ნივთები (დაჭრილი დაზარალებულის ტანსაცმელი).¹²⁷ ხოლო სასამართლო განხილვისას კი განმარტა, რომ ტანსაცმელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ კლინიკის სტაციონარის მისაღებში ნახა. ტანსაცმელი იცნო, რადგან ბოჭორიშვილს (დაჭრილი დაზარალებული) ეცვა და წამოიღო.¹²⁸ მან მთელი 4 დღე ატარა წამოღებული ტანსაცმელი და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარა გამოძიებელს. მაშასადამე, გამოძიებელს დროულად არ წარედგინა ნივთმტკიცებები. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ტანსაცმელი უნდა წარედგინათ ექსპერტისთვის, რომელიც დაადგენდა, რა სახის დაზიანებები აღინიშნებოდა მასზე, ხოლო, ასეთის არსებობის შემთხვევაში – იყო თუ არა ეს დაზიანებები დაჭრილის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებების იდენტიური. ამ შემთხვევაში, საინტერესოა ასევე ნივთმტკიცებების

¹²⁵ იმ ფონზე, როდესაც იგი საერთოდ არ იცნობდა დაკარგულ პიროვნებას.

¹²⁶ საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე თავი.

¹²⁷ რომლებიც ნივთმტკიცებად იქნა შემდგომ ცნობილი.

¹²⁸ მიუხედავად მოწმის არსებითად ურთიერთსანააღმდეგო ჩვენებისა (რომელიც შეეხებოდა ნივთმტკიცების წარმომავლობას, რაც არსებითად მნიშვნელოვანია), არ მოხდა მასზე სათანადო რეაგირება.

დალუქვის ფორმა. ნებისმიერი მტკიცებულება, რომელზეც, სავარაუდოდ, დარჩენილია კვალი, უნდა შეიფუთოს სათანადოდ. შეფუთვის გარეშე მტკიცებულება ვერ უარყოფს მისი ნიშნების ან თვისებების არსებითი შეცვლის ვარაუდს, რაც არის საბოლოოდ მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველი. თუმცა, შ. გოგინაშვილის საქმეზე მტკიცებულებები პოლიციელის – მონმის ხელში 4 დღის განმავლობაში იმყოფებოდა ყოველგვარი საპროცესო დამაგრების გარეშე. ეს კი ვერ გამორიცხავს ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, შეცვლილია თუ არა ნივთმტკიცებაზე არსებული კვალი. შესაბამისად, აღნიშნული ნივთმტკიცება სადავოა და დაუშვებლად უნდა ცნობილიყო.

- საქმეში არსებობს ნივთმტკიცების წარდგენისა და ამოღების ოქმები, სადაც დასახელებული ნივთების – ტანსაცმლის ჩამონათვალი ერთმანეთს არ შეესაბამება. კერძოდ, 2009 წლის 2 ივნისის დადგენილებაში გადაუდებელი აუცილებლობით ამოღების შესახებ ნათქვამია, რომ სულაბერიძემ 2009 წლის 28 მაისს საავადმყოფოდან ნამოილო ბოჭორიშვილის დუტის ჟილეტი და მაისური. იმავე დადგენილებაში გადაუდებელი აუცილებლობით ამოღების შესახებ მითითებულია, რომ სულაბერიძისაგან ამოღებულ იქნა ბოჭორიშვილის ტანსაცმელი „დუტის ჟილეტი და მაისური“. მაშინ როცა, იმავე რიცხვით დათარიღებულ ამოღების ოქმში დაფიქსირებულია, რომ მონმე სულაბერიძისგან ამოღებული იქნა „მუქი ფერის გრძელმკლავებიანი პიჯაკი, ხაკისფერი უმკლავებო, ორივე მხრიდან ჩასაცმელი დუტის ქურთუკი“. 2009 წლის 3 ივნისის გამომძიებლის შუამდგომლობაში ნივთის დაკანონების შესახებ, პიჯაკსა და დუტზეა მითითება. მოსამართლე დადგენილებით აკანონებს ამოღებულ პიჯაკს და დუტს.¹²⁹ ექსპერტიზის დასკვნაში გამოკვლეულია პერანგი, ჟილეტი, მოკლემკლავიანი მაისური. ასე რომ, წარდგენილი, ამოღებული და დაკანონებული ნივთმტკიცებები არ არის იდენტური. საბოლოოდ, გაუგებარია, რა ამოიღო გამომძიებელმა და რას ჩაუტარდა ექსპერტიზა. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომელიც ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.
- წარდგენილი და ამოღებული ნივთმტკიცებების მხრივ პრობლემას წარმოადგენს კიდევ ერთი საკითხი. ნივთმტკიცებაზე – ბოჭორიშვილის ტანსაცმელზე – ჩატარდა ტრასოლოგიური ექსპერტიზა მიყენებული დაზიანების სახეობის დასადგენად. სწორედ ამ ექსპერტიზის დასკვნაში აღწერილ და ამოღების ოქმში ჩამოთვლილ ერთსა და იმავე ტანსაცმელზე აღმოჩენილი კვალის მიხედვით, მიყენებული დაზიანებები ერთმანეთისაგან ზომით განსხვავდება. როდესაც მტკიცებულების წარმომავლობასა და თვისებებთან დაკავშირებით ამგვარი წინააღმდეგობა არსებობს, ეს აშკარად მისი დაუშვებლობის საფუძველია. მტკიცებულებამ უნდა მოახდინოს სადავო ფაქტის დადასტურება. ამგვარ ფუნქციას ვერ შეასრულებს საექვო წარმომავლობის და გაურკვეველი შინაარსის საგანი. ყოველივე აღნიშნული ადასტურებს, რომ ნივთმტკიცების მოპოვებისა და დამაგრებისას დაირღვა კანონი, რაც ცალსახად იწვევს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას.

¹²⁹ თავად დაზარალებული ბოჭორიშვილის ჩვენებით, შემთხვევის დღეს ეცვა ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი, მუქი რუხი პერანგი, ხაკისფერი დუტის ჟილეტი და ეხურა შავი ფერის კეპი.

ანალოგიური შეიძლება ითქვას სისხლის ნიმუშთან დაკავშირებით, რომელიც აღებული იქნა დაჭრილი ბოჭორიშვილისგან. კომპლექსურ-ბიოლოგიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებაში სისხლის ნიმუშის დალუქულ ფუთას ნომერი არ აქვს. ანალოგიურ მდგომარეობაშია ექსპერტის წინაშე წარდგენილი ზემოაღნიშნული ტანსაცმელიც. აქაც დარღვეულია ნიმუშის აღებისა და დალუქვის წესი.

• ექსპერტიზის დასკვნა

დაზარალებული ბოჭორიშვილის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას ამ სისხლის სამართლის საქმეში. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, მოხდა ქმედების შერაჯვება მკვლელობის მცდელობად.¹³⁰ ექსპერტიზა ჩატარებულია სამედიცინო ბარათების საფუძველზე. ავადმყოფობის სამედიცინო ბარათები წარდგენილ იქნა ბეჭდით დამოწმებული ქსეროასლების სახით, მაშინ, როცა ექსპერტიზას უნდა წარედგინოს დედნები. ძირითადი პრობლემა არის ის, რომ არსებობს ორი განსხვავებული მონაცემების შემცველი სამედიცინო ბარათი. ამ ბარათებში დაზარალებულის დაზიანებები სხვადასხვაგვარად არის აღწერილი. მაგალითად, პირველ ბარათში წერია, რომ დაზარალებულს აღენიშნება ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა ზომით 1,0X0,5სმ. სწორი კიდეებით, ზომიერად სისხლმდენი. მაშინ, როდესაც მეორე ბარათში ვკითხულობთ: დიაფრაგმის დეფექტი დაახლ. 3სმ სიგრძის. კიდევ უფრო საეჭვოა ის ფაქტი, რომ ექსპერტის დასკვნაში დატოვებულია წერტილები და იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაღაც გამოტოვებულია, (მაგ. ჭრილობა ზომით . . .).

აღნიშნული საეჭვო გარემოებების გამო, დაცვის მხარის მიერ დაყენებულ იქნა შუამდგომლობა ექსპერტიზაზე წარდგენილი სამედიცინო ბარათების სასამართლოზე წარმოდგენისა და გამოკვლევის შესახებ, რაც არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია აღნიშნული დოკუმენტების შესწავლა და გამოკვლევა. სასამართლო განხილვისას დადგა შუამდგომლობა ექსპერტის დაკითხვასთან დაკავშირებით, რათა მას გაეცა პასუხი დასკვნაში მითითებულ საეჭვო გარემოებებზე. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, თუმცა, მოწმედ გამოძახებული ექსპერტი სასამართლოზე არ გამოცხადდა. სასამართლომ კი, არ გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლება და არ მოახდინა მოწმის იძულებითი მოყვანა.

თუმცა, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ იქნა ექსპერტი ეკა ჩავლეიშვილი. დაცვის მხარის განმარტებით, მან სასამართლოზე განაცხადა, რომ ძირითადი კომპეტენცია სამედიცინო ბარათებში არსებული წინააღმდეგობის შესწავლაზე გააჩნიათ ექიმ-კლინიცისტებს და საჭიროა კომისიური ექსპერტიზის ჩატარება. მისივე თქმით, იგი არ არის კლინიცისტი და, როგორც პირველადმა ექსპერტმა, სამედიცინო დასკვნა გააკეთა მხოლოდ სამედიცინო ბარათების

¹³⁰ ჭრილობის ლოკალიზაცია, ხარისხი განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაზიანების და მკვლელობის მცდელობის გამოჯენის საფუძველს. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ობიექტური ფაქტორის საფუძველზე, ხდება დამთავრებული და დაუშთავრებელი დანაშაულების (ისევე როგორც, ზოგადად, დანაშაულის არსებობის ფაქტის) ერთმანეთისგან გამოჯენა და დადგენა. იხ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის №411აპ განჩინება.

საფუძველზე. თავად დაზარალებული ბოჭორიშვილი მას არ გაუსინჯავს.

აღნიშნული ჩვენების სასამართლო პროცესზე გაჟღერების შემდეგ დაცვამ მოითხოვა კომისიური ექსპერტიზის ჩატარება, რაც სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა უსაფუძვლოების გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმში არ არის ასახული ექსპერტის მიერ ჩვენების დროს ნახსენები მითითება კომისიური ექსპერტიზის დანიშვნის საჭიროების შესახებ. ოქმის გაცნობის შემდეგ, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დაცვის მხარემ დაწერა შენიშვნა სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმზე. სააპელაციო სასამართლოს სხდომის მდივანმა კი, თავის ახსნა-განმარტებაში უარყო დაცვის მხარის შენიშვნები და მას დაუსაბუთებელი უწოდა. ამ ახსნა-განმარტების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ განჩინებით არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა სასამართლო სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანის შესახებ. განჩინება გასაჩივრებული და წარდგენილი იქნა უზენაეს სასამართლოში, დამატებითი საკასაციო საჩივრის წესით.

სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის თანახმად, მოწმე – ექსპერტი – განმარტავს, რომ სამედიცინო დოკუმენტაციაში შეუსაბამობისას ისინი სპეციალისტის ჩარევას ითხოვენ. მან დააკონკრეტა, რომ სამედიცინო ბარათში წერტილები და კითხვის ნიშნები ნიშნავს გაუგებრობას, თუმცა მისთვის, როგორც ექსპერტისთვის, ოქმში გაუგებარი არაფერი ყოფილა. შესაბამისად, არ ჩათვალა საჭიროდ სამედიცინო ბარათის შემდგენი ექიმის განმარტების მიღება. ოქმის მიხედვით, მოწმე ამბობს, რომ იგი არ არის სპეციალისტი, იგი არ არის კლინიცისტი, იგი არის პირველადი ექსპერტი. თუმცა, რა კონტექსტში ამბობს ამას, სხდომის ოქმიდან არ იკვეთება. დაცვის მხარის განმარტებით, აღნიშნული ითქვა სწორედ სამედიცინო ბარათებში არსებული წინააღმდეგობის კლინიცისტების მიერ შესწავლისა და კომისიური ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

სარწმუნო არ არის ექსპერტის განმარტება, რომლის მიხედვითაც, ბარათებში არსებული გაუგებრობა, მისთვის, როგორც ექსპერტისათვის გასაგებია, ვინაიდან დასკვნა იმგვარად უნდა დაიდოს, რომ გამორიცხავდეს ყოველგვარ ბუნდოვანებას. მტკიცებულებების სარწმუნოობა აუცილებელია საქმეზე დამდგარი განაჩენის უტყუარობისთვისაც, რათა ყოველგვარი ეჭვი აღმოიფხვრას.

სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარის მიერ წარდგენილ იქნა გამოკითხვის ოქმი. გამოიკითხა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის თსუ საავადმყოფოს პროფესორი ამირან ანთაძე, რომელმაც პირველმა გასინჯა დაზარალებული ბოჭორიშვილი და შეადგინა ოპერაციის ოქმი. მისი განმარტებით, პირველადი ქირურგიული დამუშავების დროს პლევრის ღრუში შემავალი ჭრილობა არ დაფიქსირებულა. დაცვის შუამდგომლობის მიუხედავად, აღნიშნული მოწმე არ იქნა დაკითხული სააპელაციო სასამართლოში, რადგან სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია მოწმის დაკითხვა. შესაბამისად, გამოკითხვის ოქმი სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული.

დაცვის მხარემ, სააპელაციო სასამართლოს შემდეგ ჩაატარა ალტერნატიული ექსპერტიზა, რაც წარდგენილ იქნა უზენაეს სასამართლოში. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ჭრილობის გამოკვლევის მონაცემები არ

მიუთითებს ცალსახად ქრილობის შემავლობაზე პლევრის ღრუში. ასევე, დასკვნის თანახმად, „სახეზეა შეუსაბამობა ქრილობის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დიაფრაგმის დაზიანების შესაძლებლობის საკითხზე მსჯელობისათვის.“ თუმცა, აქვე აღნიშნავთ, რომ ალტერნატიულმა ექსპერტიზამ საჭიროდ ჩათვალა თავად დაზარალებული ბოჭორიშვილის პირადი გასინჯვა.

ამრიგად, ზემოაღნიშნულმა ფაქტებმა კიდევ ერთხელ დაასაბუთა, რომ მხოლოდ სამედიცინო ბარათების საფუძველზე ჩატარებული ექსპერტიზა სადავოა. მეტიც, არსებულ სამედიცინო ბარათებში ქრილობის შესახებ სხვადასხვა მონაცემია დაფიქსირებული. საქმეზე სიცხადის შესატანად საჭირო იყო დამატებითი, განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება. სსსკ-ის 361-ე მუხლის თანახმად, განმეორებითი ექსპერტიზა ტარდება მაშინ, როცა ექსპერტის დასკვნა დაუსაბუთებელია, მისი მართებულობა საეჭვოა ან არასარწმუნოა მტკიცებულება, რომელსაც იგი ეყრდნობა, ანდა მოხდა ექსპერტიზის ჩატარების საპროცესო წესის დარღვევა. სწორედ ის ფაქტი, რომ ექსპერტიზა დაეყრდნო განსხვავებულ სამედიცინო ბარათებს და, შესაბამისად, აღნიშნული ექსპერტიზის შედეგები, როგორც ბარათების სისწორე, სადავოა, აუცილებელს ხდიდა განმეორებითი, დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებას. თუმცა, ექსპერტიზის დანიშნის თაობაზე დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს მიერ. გამოძიების ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა კი, როგორც აღინიშნა, საფუძველად დაედო დანაშაულის კვალიფიკაციას. სადავო ექსპერტიზის გამო, დანაშაულის კვალიფიკაციაც სადავო ხდება. ხოლო ყოველგვარი ეჭვი და ვარაუდი ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რასაც აღნიშნულ საქმეში ადგილი არ ჰქონია.

• დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვა

სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულნი არიან მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა დამატებით მოწმეების დაკითხვაზე, რომლებიც ესწრებოდნენ აქციას და უშუალოდ ინციდენტის თვითმხილველები იყვნენ.¹³¹ სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. მიზეზად დასახელდა ის, რომ ვიდეოჩანანერის გაცნობის გარეშე არ დასტურდებოდა მოწმის საქმისადმი შემხებლობა. ამის შემდეგ დაცვის მხარემ მოითხოვა, სასამართლო განხილვა დაწყებულიყო მტკიცებულებების გამოკვლევით, კერძოდ, მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეო კადრების ჩვენებით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ხოლო მას შემდეგ, რაც სასამართლო პროცესზე მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე მოხდა არსებული ჩანანერის გამოქვეყნება და გამოკვლევა, ახლად აღმოჩენილი გარემოების სახით დაცვის მხარემ კვლავ დააყენა შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების დაკითხვის თაობაზე, რომლებიც ჩანანერში ფიგურირებდნენ. აღნიშნული შუამდგომლობაც არ დაკმაყოფილდა, ხოლო მიზეზად მოსამართლემ დაასახელა, რომ ამ საკითხზე მას უკვე ნამსჯელი ჰქონდა.

ეს შემთხვევა ნათლად ადასტურებს, რომ დაცვის უფლება ამ საქმეში გაუმართლებლად შეიზღუდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის

¹³¹ მათ შორის, ფაქტის თვითმხილველი ბიძინა გვგიძის დაკითხვა.

თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. იმავე მუხლის თანახმად, სასამართლო ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უქმნის საჭირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის. იმავე კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, ერთნაირი გულმოდგინებით უნდა იყოს გამოკვლეული ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებანი. ამ საქმეში დაცვის მხარეს გაუმართლებლად არ მიეცა ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

• შ. გოგინაშვილის ქმედების კვალიფიკაცია

მოცემულ საქმეში სადავოა თავად შ.გოგინაშვილის ქმედების კვალიფიკაცია. ზოგადად, განზრახ მკვლელობის მცდელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე და 117-ე მუხლები) თავისი შინაარსით მსგავსია, რადგან ორივე დამოკიდებულია სასამართლო-სამედ-იცილო ექსპერტიზის დასკვნაზე, რომელიც განსაზღვრავს მიყენებული ზიანის სიმძიმის ხარისხს და ორივეგან სახეზე უნდა იყოს სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა. ამ შემთხვევაში, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია მომხდარ ფაქტამდე დაზარალებულისა და განსასჯელის ურთიერთობა, დარტყმის ლოკალიზაცია, ჭრილობის სახე, დარტყმის სახე და რაოდენობა.¹³²

კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გოგინაშვილი მომხდარ ინციდენტამდე არ იცნობდა დაზარალებულს და მასთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია. არც ის იცოდა, რომ პოლიციელი იყო. მასთან ურთიერთობაში არ შესულა და მკვლელობის მოტივიც არ გააჩნდა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა – რატომ უნდა გასჩენოდა მას დაზარალებულის მოკვლის სურვილი. უფრო რთულადაა საქმე დამამძიმებელ გარემოებასთან მიმართებით, კერძოდ, „მკვლელობა მსხვერპლის საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით“. არც დაზარალებულს და არც მის გვერდით მდგომ პირებს ფორმა არ ეცვათ. ეჭვი იმისა, იყო თუ არა ეს ადამიანი პოლიციელი და ასრულებდა თუ არა საზოგადოებრივ მოვალეობას, არ აღმოიფხვრა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა – საიდან უნდა მიმხვდარიყო გოგინაშვილი, რომ დაზარალებული პოლიციელი იყო. აღნიშნული ეჭვი არც სასამართლოზე გაქარწყლებულა. დაცვის მხარემ არაერთხელ მოითხოვა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, იყო თუ არა დაზარალებული ბოჭორიშვილი პოლიციის თანამშრომელი, რაზეც პასუხი არ მიუღია. ამის შემდეგ, აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე, სასამართლოზეც იქნა დაყენებული დაცვის შუამდგომლობა, რაც სასამართლოს მხრიდან არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, საქმეში არ დევს არანაირი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ დაზარალებული შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო. ამას ემატება ისიც, რომ საქმეში არსებული ავადმყოფობის სამედიცინო ბარათში №986 აღნიშნულია, რომ ბოჭორიშვილი დროებით უმუშევარია. აღნიშნული ბარათი შევსებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური სავადმყოფოს ექიმის მიერ, თავად დაზარალებული ბოჭორიშვილის კარნახით.

¹³² სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, 2006წ. გვ. 32.

აღნიშნულ საქმეში დანაშაულის მკვლევლობის მცდელობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ექსპერტიზის დასკვნამ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ხარისხის დადგენის თაობაზე. ვინაიდან დასკვნის მიმართ არსებობს დასაბუთებული პრეტენზიები და ეჭვები (იხ. III ნაწილი), რომელიც სასამართლო განხილვისას არ აღმოფხვრილა, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სადავო ხდება თავად შალვა გოგინაშვილის ქმედების მკვლელობის მცდელობად კვალიფიკაციის საკითხი.

4. დასკვნა

შალვა გოგინაშვილის სისხლის სამართლის საქმე არაერთ დარღვევას წარმოაჩენს. იგი აღძრავს სერიოზულ ეჭვებს მტკიცებულებათა დასაშვებობასა და შალვა გოგინაშვილის ქმედების კვალიფიკაციაზე. ყოველივე ეს კი, ალბათობის მაღალი ხარისხით, ადასტურებს, რომ აღნიშნულ საქმეში მართლმსაჯულება არასათანადოდ წარიმართა.

2.2.3. კოტე კაპანაძის საქმე

1. კოტე კაპანაძის პოლიტიკური საქმიანობა

კოტე კაპანაძე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის გამამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემონმბების) სამმართველოს მთავარი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად. 2007 წლის 12 ოქტომბერს იგი დაინიშნა თელავის რეგიონული ცენტრის საბაჟო გამშვები პუნქტის „ლაგოდეხის“ უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. აღნიშნული სამსახურიდან გათავისუფლდა 2009 წლის 18 ივნისს პირადი განცხადების საფუძველზე. კოტეს ძმა, ვაჟა კაპანაძე არის პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენების“ წევრი. მან ლაგოდეხში დააფუძნა რეგიონული ოფისი. კ. კაპანაძე აქტიურად ჩაერთო აღნიშნულ საქმიანობაში, კერძოდ, იგი აგროვებდა ხელმოწერებს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პლემბისციტის ჩასატარებლად.

2. კოტე კაპანაძის სისხლის სამართლის საქმე

კოტე კაპანაძეს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში – მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესების წინააღმდეგ, სხვისთვის გამორჩენის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. კოტე კაპანაძემ და თამაზ იარაჯულმა, მუშაობდნენ რა ინსპექტორის თანამდებობაზე, 2007 წელს ბრძანების საფუძველზე შეამოწმეს ინდმენარმე „აიდინ მაილოვის“ სამენარმეო საქმიანობა, რომელიც მოიცავდა 2005 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 ივლისამდე პერიოდს. ბრალდება ედავება, რომ ამ შემონმბებისას უნდა მომხდარიყო იმპორტირებული საქონლის დაბეგვრა ინვოისით და არა საბაჟო დეკლარაციით. თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენით, აღნიშნული მუხლი გადაკვალიფიცირდა სსსკ-ის 342-ე მუხლზე – სამსახურებრივი გულგრილობა. კოტე კაპანაძეს მიესაჯა 2

(ორი) წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. უზენაესმა სასამართლომ კი, საჩივარი ცნო დაუშვებლად.

- ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა

ამ სისხლის სამართლის საქმეშიც, მსგავსად სხვა საქმეებისა, გამოძიების დაწყების საფუძველია ოპერატიული ინფორმაცია – პოლიციელის პატაკი. კერძოდ, ზაზა ჩიკვაიძემ, საგადასახადო ინსპექციის შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ინსპექტორ-გამომძიებელმა პატაკი შეადგინა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. ინფორმაცია მიიღო ზეპირი ფორმით, პატაკი შეადგინა ფაქტზე – გარდაცვლილი ინდემნარმის (აიდინ მაილოვი) საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენება. ლიკვიდირებული იყო თუ არა სანარმო – ინდემნარმე „აიდინ მაილოვი“, გამომძიებელს არ გადაუმონმებია. არც ის გადაუმონმებია, ვინ აწარმოებდა საქმიანობას და იყვნენ თუ არა ისინი საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირებული. ჩიკვაიძის ჩვენებით, აიდინ მაილოვის ოჯახის წევრები იყენებდნენ გარდაცვლილი მამის საიდენტიფიკაციო კოდს და აწარმოებდნენ საქმიანობას. საიდენტიფიკაციო კოდი პატაკში მითითებულია ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ანუ გამოდის, რომ კონფიდენტმა, ვინც ოპერმუშაკ ჩიკვაიძეს ინფორმაცია მიაწოდა, ზეპირად იცოდა აღნიშნული კოდი. რა ბედი ეწია გარდაცვლილის საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენებასთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას, საქმის მასალებიდან არ ჩანს. სამაგიეროდ, ეს გახდა ინდემნარმე „აიდინ მაილოვის“ დოკუმენტაციის შემონმების საფუძველი, რასაც შემდეგ მოჰყვა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება კაპანაძის მიმართ.

3. დარღვევები კოტე კაპანაძის სისხლის სამართლის საქმეში

• სისხლისსამართლებრივი დევნა

წინასწარი გამოძიება დაიწყო 2009 წლის 23 მაისს პატაკის საფუძველზე. გამომძიებელი ჯიჭონია კაპანაძეს 15 ივნისს ტელეფონით დაუკავშირდა და 16 ივნისისთვის დაიბარა. ტელეფონით განუმარტა, რომ იბარებდა ექვმიტანილის სახით, მაშინ როცა მეორე მსჯავრდებულის, იარაჯულის მიმართ საგამოძიებო ღონისძიებები დაიწყო მხოლოდ კაპანაძის დაკავების შემდეგ – 23 ივნისს. თავად კაპანაძის განმარტებით, გამომძიებელი ტელეფონზე ნამდვილად ესაუბრა, მაგრამ მისთვის არ უთქვამს, რომ დაბარებული იყო გამომძიებელთან ექვმიტანილის სახით. ვინაიდან 16 ივნისს კაპანაძე არ გამოცხადდა, იმავე დღეს გამოვიდა დადგენილება მის იძულებით მიყვანაზე. თუმცა, არც ექვმიტანილად დაბარების შესახებ უწყება და არც დადგენილება იძულებით მიყვანაზე კაპანაძეს ან მისი ოჯახის წევრებს არ ჩაბარებიათ, რაც დასტურდება საქმის მასალებითაც. კაპანაძე დაკავებულ იქნა 23 ივნისს ქ. რუსთავში, გამთენიისას, ნათესავის სახლში. ამ საგამოძიებო მოქმედებებიდან ნათლად ჩანს, რომ გამოძიება დაინტერესებული იყო კაპანაძის დაკავებით. ამ უკანასკნელის გამომძიებელთან დაბარებისა და გამოუცხადებლობის ფაქტს, გარდა თვით გამომძიებლისა, არაფერი ადასტურებს. გამომძიებელს კი შეეძლო, ანალოგიური ცნობა ან პატაკი მოგვიანებითაც შეექმნა და საქმეში ჩაედო.

ის, რომ გამოძიება დაინტერესებული იყო კაპანაძის პიროვნებით, იკვეთება გამოძიების მიერ დანიშნული ექსპერტიზითაც. კერძოდ, ექსპერტიზა არ შეხებია და არ შეუმონმებია 2007 წლისა და შემდგომი პერიოდის საბუთები მაშინ, როცა სასამართლოს ბრძანება ინდმენარმის შემონმებაზე მოიცავდა 2005-2009 წლებს. თუ გამოძიების ლოგიკას გავყვებით და მათი წესით შევამონმებთ დანარჩენ წლებს, დამალული თანხა უფრო მეტი აღმოჩნდებოდა და სხვაობას აქაც მოგვცემდა. თუმცა, გამოძიებამ არ შეამონმა სასამართლოს ბრძანებაში მითითებული პერიოდი სრულად, კერძოდ – 2009 წლის 23 მაისამდე. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში კაპანაძე უკვე სხვა სამსახურში მუშაობდა და, შესაბამისად, მას ინდმენარმის შემონმებასთან არანაირი კავშირი არ ექნებოდა. გამოძიების ვერსიით, სრული პერიოდის შემონმება ვერ მოხერხდა, რადგან 2007 წლიდან 2009 წლამდე საგადასახადო დოკუმენტები არ მოიძებნა. ე.ი. საგადასახადომ დაკარგა დოკუმენტაცია. თუ ეს ასეა, მაშინ ამ პირების მიმართაც უნდა დაწყებულიყო გამოძიება. გამოძიებამ დაარღვია საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი – საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა. თუმცა, აღნიშნული დარღვევებით არც სასამართლო დაინტერესებულა, რასაც იმავე მუხლის დარღვევასთან მივყავართ.

მიმართულებები, რომლის მიხედვითაც გამოძიება მიმდინარეობდა, წარმოჩინდა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებაში დასმული პირველივე კითხვიდან, რომელიც ეხება მსჯავრდებულებს: კერძოდ, კითხვა დაისვა იმის თაობაზე, თუ რა მოცულობის ფაქტები ვერ იქნა გამოვლენილი შემონმებისას კაპანაძისა და იარაჯულის მიერ. არავის უკითხავს, იყო თუ არა საერთოდ დარღვევები ინდმენარმის საქმიანობაში, არც მისი შემდგომი ბედით დაინტერესებულან.

- **აღკვეთის ღონისძიების საკითხი**

ბრალდებამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და კაპანაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა საპატიმრო გირაო. კ.კაპანაძის ძმამ საჯარო რეესტრს მიმართა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის გაცემის მოთხოვნით (ამ შემთხვევაში, გირაოს სახით გამოყენებული უნდა ყოფილიყო უძრავი ქონება). დოკუმენტი უნდა მომზადებულიყო დაჩქარებული წესით, თუმცა საჯარო რეესტრმა დაადგინა ხარვეზი, რაც კოტე კაპანაძის ძმას ეცნობა მოკლე ტექსტური შეტყობინებით. გასაკვირი ის არის, რომ რეესტრის მიერ დადგენილი ხარვეზი მას შემდეგ გამოსწორდა, რაც სააპელაციო სასამართლომ კაპანაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო პატიმრობით შეუცვალა. თანაც, ხარვეზის გამოსწორებაზე არავის უზრუნია, იგი თავისით გამოსწორდა, რის შესახებაც კ.კაპანაძის ძმას კვლავ მოკლე ტექსტური შეტყობინებით ეცნობა. ხარვეზის დადგენის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ, კ.კაპანაძის ძმა იძულებული გახდა, თავისი ნათესავის ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინა პროკურატურაში. თუმცა, კაპანაძის გათავისუფლება მაინც არ მოხდა, რადგან, გამომძიებლის ჩვენებით, აღკვეთის ღონისძიების საკითხს განიხილავდა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. შესაბამისად, იგი იმყოფებოდა თბილისში და საქმის მასალებიც სააპელაციო სასამართლოში იყო. მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, საპროცესო

კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, საპატიმრო გირავნობა შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ ვადამდე, რა ვადაშიც შეტანილი იქნება თანხა ან უძრავი ქონება. ხოლო მას შემდეგ, რაც წარედგინება ოფიციალური დოკუმენტი აღნიშნულის დასადასტურებლად, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, ვინაიდან აღარ არსებობს თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, რომელმაც პროკურატურის მოთხოვნა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე არ დააკმაყოფილა და კოტე კაპანაძეს შეუფარდა გირაო, გადაყვანილ იქნა ხელვაჩაურში.

- **მტკიცებულებები**

- **მონმეთა ჩვენებები**

ამ საქმეში ძირითად პრობლემას წარმოადგენს სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასების საკითხი. შემონმების აქტთან დაკავშირებით, დაიკითხა სულ ორი მონმე და ორივე განსასჯელი. აქედან ყველა, გარდა ერთი მონმისა, ადასტურებს, რომ შემონმება განხორციელდა სწორად. ბრალდება კაპანაძესა და იარაჯულს ედავება, რომ მენარმის შემონმებისას უნდა მომხდარიყო იმპორტირებული საქონლის დაბეგვრა ინვოისით და არა საბაჟო დეკლარაციით. თუმცა, მონმეთა ჩვენებებიდან სხვა რამ ირკვევა. კერძოდ, მონმე ჭუნიაშვილის (საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე, მომსახურების და გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის სამსახურის კურატორი, რომელიც ხელმძღვანელობდა შემონმების პროცესს), ასევე, მსჯავრდებულების – იარაჯულისა და კაპანაძის – ჩვენებებით დგინდება, რომ შემონმების აქტი კანონიერად იქნა მიჩნეული და ამიტომაც გამოიცა ბრძანება. შემონმებაზე ბრძანებას გამოსცემდა უფროსი და მას თან ერთვოდა შემონმების გეგმა. შემონმების პროცესი დეტალურად იყო შეთანხმებული სამმართველოს უფროსთან, თ.გუმბერიძესთან. მაილოვის მიერ იმპორტირებული საქონლის თვითღირებულება, მოგება და ხარჯი განისაზღვრა საბაჟო დეკლარაციაზე დაყრდნობით და ბუღალტრული დოკუმენტებით. ექსპორტ-იმპორტის სამმართველოს ექსპერტთა ჯგუფი ყოველთვის კორექტირებას უკეთებდა საქონლის საინვოისო ღირებულებას. ისინი იძლეოდნენ მითითებას საქონლის ღირებულების კორექტირებაზე. ექსპერტები ამ კორექტირებული ღირებულებით განაბაჟებდნენ ტვირთს, შესაბამისად, საბაჟო გადასახადებს და დღგ-საც გაზრდილი ფასით ახდევინებდნენ მენარმეს. საგადასახადო ინსპექციაშიც იგივე სიტუაცია იყო ინვოისებთან დაკავშირებით. ექსპერტები თვლიდნენ, რომ რეალური იყო მათ მიერ კორექტირებული, და არა ინვოისში მითითებული ფასი. იყო შემთხვევები, როცა ინვოისი საერთოდ არ ჰქონდათ მენარმეებს. საბაჟო დეპარტამენტში კორექტირებულ ღირებულებას მიიჩნევდნენ რეალურ ფასად, ხოლო საინვოისო ფასი მიჩნეული იყო ხელოვნურად შემცირებულად. შემონმებისას დგებოდა აქტი, შემდეგ ეს აქტი გადიოდა კონტროლს სამმართველოს უფროსთან. შემდეგ კი, იურიდიულ სამმართველოში მზადდებოდა ბრძანების პროექტი გადასახადის დარიცხვასთან დაკავშირებით. მხოლოდ ამის შემდეგ შედიოდა ბრძანების პროექტი ჭუნიაშვილთან, სხვა მოადგილესთან ან უფროსთან. თუ რომელიმე მათგანი აქტის სისწორეში ეჭვს შეიტანდა, შეეძლოთ დამატებით გადაემონმებინათ. სადავო შემთხვევაშიც, კაპანაძისა და იარაჯუ-

ლის მიერ შემდგარი აქტის სისწორეში ეჭვი არ შეუტანიათ ზემდგომ პირებს და ხელიც მოაწერეს. აქტი კანონიერად იქნა მიჩნეული და ამიტომაც გამოიცა ბრძანება. ბრძანების გარეშე აქტს არანაირი ძალა არ ექნებოდა, შესაბამისად, აიღინ მაილოვს თანხა არ დაერიცხებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკურად ჩნდება კითხვა – თუ აქტი შეცდომით იყო შედგენილი, მაშინ რატომ არ მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ის პირები, ვინც აქტი შეამოწმა და ინდემნარმის დაბეგვრაზე ბრძანება გამოსცა.

ერთადერთი მოწმე, რომელიც განსხვავებულ ჩვენებას იძლევა, არის *ექსპერტი ფილაური*, რომელმაც გამოძიების მიერ დანიშნული ექსპერტიზა ჩაატარა. ექსპერტმა 3 ტომიანი საქმის შესწავლას და დასკვნის გაკეთებას 24 სთ მოანდომა. მისი ჩვენებით, პირველადი საგადასახადო დოკუმენტი იყო ინვოისი. 2004-2005 წლებში, თუ შემომწმებელს ინვოისი არ ჰქონდა, გაუჭირდებოდა რეალობის გარკვევა საბაჟო დეკლარაციის გრაფაში არსებული ბუნდოვანებების გამო. ექსპერტის განცხადებით, ინვოისი არის ანგარიშფაქტურა ქართულ ენაზე. მისივე ჩვენებით, მეთოდი, რომლითაც მოხდა ინდემნარმის შემოწმება და, შესაბამისად, კაპანაძისა და იარაჯულის მიერ აქტის შედგენა, არასოდეს გამოიყენებოდა. ექსპერტი ფილაური უარყოფს, რომ ინვოისისა და საბაჟო დეკლარაციასთან მიმართებით დავა ოდესმე ყოფილა, თუმცა, საპირისპიროს ამტკიცებს შემოსავლების სამსახურის სათათბირო საბჭოს 2008 წლის 23 მაისის ოქმი №6, სადაც ვკითხულობთ:

შემოსავლების სამსახურის სათათბიროს საბჭომ თავის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განიხილა ქ. თბილისის რეგიონული ცენტრის 2008 წლის 8 აპრილის №01/02-03/1614 და №01/02-03/1998 წერილები, კონსიგნაციის წესით იმპორტირებული საქონლის მინოდებასთან დაკავშირებით გამოსაქვეითი თანხების განსაზღვრის შესახებ. განხილვის შედეგად, სათათბირო საბჭომ დაადგინა: სსკ-ის 93-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის შექმნის პირველად დოკუმენტად, რომელიც იძლევა ხარჯების გამოქვეითვის საშუალებას, უნდა ჩაითვალოს ექსპორტიორის მიერ გამოწერილი ინვოისი (რომელიც დადასტურებული იქნება ექსპორტიორისა და იმპორტიორის მიერ), ხოლო გამოსაქვეით თანხებად ჩაითვლება ინვოისში დაფიქსირებული თანხები და არა საბაჟო დეკლარაციაში მოცემული საბაჟო ღირებულებები.

აღნიშნული ადასტურებს, რომ პრაქტიკაში ნამდვილად არსებობდა დავა იმის შესახებ, თუ რომელი დოკუმენტი (ინვოისი თუ საბაჟო დეკლარაცია) უნდა ჩათვლილიყო პირველად დოკუმენტად და როგორ უნდა მომხდარიყო იმპორტირებული საქონლის ხარჯის გამოქვეითვა. ამ საკითხთან დაკავშირებით არც კანონმდებლობა იყო ნათელი. შესაბამისად, სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მიგვაჩნია დაუშვებლად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კვლევის განხორციელების პროცესში განცხადებით მივმართეთ შემოსავლების სამსახურს და გამოვითხოვეთ ქ. თბილისის რეგიონული ცენტრის 2008 წლის 8 აპრილის №01/02-03/1614 და №01/02-03/1998 წერილები, კონსიგნაციის წესით იმპორტირებული საქონლის მინოდებასთან დაკავშირებით გამოსაქვეითი თანხების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნულ წერილებში, სავარაუდოდ, ეს პრობლემა უნდა ყოფილიყო დასმული,

თუმცა, აღნიშნული წერილები არ მოგვეწოდა. ინფორმაცია არ მიანოდეს არც ვაჟა კაპანაძეს (კოტე კაპანაძის ძმას). დაცვის მხარის შუამდგომლობა აღნიშნული წერილების გამოთხოვნისა და გაცნობის შესახებ არც საქმის განმხილველმა სასამართლომ დააკმაყოფილა.

- ექსპერტიზის დასკვნები

საქმეში არსებობს საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც საფუძვლად დაედო კაპანაძის ბრალეულობას. ექსპერტიზა ჩაატარა გამოძიებამ, რომელმაც დაადგინა, რომ ინსპექტორების მიერ ჩატარებული შემოწმებისას ვერ იქნა გამოვლენილი გადასახადებისთვის თავის არიდების ფაქტები სრული მოცულობით. თუმცა, დაცვამ, კანონის შესაბამისად, წარადგინა ალტერნატიული ექსპერტიზა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოძიების მიერ ჩატარებულ ექსპერტიზასთან. ჩატარებული ალტერნატიული ექსპერტიზის თანახმად, კაპანაძეს და იარაჯულს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები დარღვეული არ აქვთ და შემოწმება სწორად არის ჩატარებული. საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, მიზანშეწონილი იქნებოდა ჩატარებულიყო კომპლექსური ექსპერტიზა. თუმცა, დაცვის შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ამ შემთხვევაში, კვლავ ადგილი აქვს მტკიცებულებების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევის პრობლემას.

• სამართლებრივი საფუძველი

საბაჟო კანონმდებლობით, იმპორტიორი საბაჟო დეკლარაციის წარდგენით საბაჟო ორგანოს წარუდგენს ყველა იმ ხარჯს, რაც საქართველოს საბაჟომდე ტვირთის შექენა-ტრანსპორტირებისათვის გაიღო. აღნიშნულ მონაცემს საბაჟო ორგანო თავისი შესაბამისი სამსახურის მეშვეობით ამოწმებს, რითაც ახდენს დასაბეგრი საქონლის ღირებულების განსაზღვრას და საბაჟო გადასახადების მობილიზაციას. საბაჟო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საბაჟო დეკლარაცია რეგისტრაციის მომენტიდან არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი. ინვოისი მხოლოდ მაშინ იძენს იურიდიულ ძალას, თუ მენარმე საბაჟო ორგანოში მის სათანადო ფორმით დეკლარირებას ახორციელებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმპორტიორი თავისუფლდება ყველა იმ პასუხისმგებლობისაგან, რაც შეიძლება ინვოისში არასწორმა მონაცემებმა გამოიწვიოს. იმისათვის, რომ ინვოისმა შეიძინოს იურიდიული ძალა, ე.ი. გახდეს პირველადი საგადასახადო დოკუმენტი, იგი უნდა დაადასტუროს როგორც იმპორტიორმა, ისე ექსპორტიორმა. გარდა ამისა, იმისათვის, რომ საგადასახადო დოკუმენტად ჩაითვალოს, ინვოისი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 93-ე მუხლის მოთხოვნებს.

სპეციალისტების აზრით (დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის „ვექტორი“ ექსპერტი მ. წეველიძე; დავით ნარმანია), 2003 წლიდან ახალმა საბაჟო კოდექსმა, საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, შემოიღო საბაჟო ღირებულების განსაზღვრის 6 მეთოდი, რამაც ინვოისის დაუკარგა საგადასახადო დოკუმენტის ფუნქცია და იგი მხოლოდ სატრანსპორტო-სასაქონლო ზედდებულის ფუნქციით იქნა შენარჩუნებული. საგადასახადო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საბაჟო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახ-

მად, ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტია საბაჟო დეკლარაცია და მხოლოდ იგი გამოიყენება საგადასახადო მიზნებისათვის. ინვოისი, პროპორციული მეთოდი (ცნებები, რომლებიც ექსპერტებმა ფილაურმა და ბერიშვილმა თავიანთ დასკვნაში გამოიყენეს), საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო მიზნებისათვის არ გამოიყენება. ინვოისმა ქვეყნის სივრცეში, საბაჟო-საგადასახადო მიზნებისათვის პირველადი საგადამხდელო დოკუმენტის ფუნქცია რომ შეიძინოს, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის უგულებელყოფის შემთხვევაში. იმპორტირებული ტვირთის თვითღირებულება არის საბაჟო დეკლარაციაში მითითებული ღირებულება, რომლიდანაც გადაიხდება გადასახადები. საბაჟო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის მომენტიდან საბაჟო დეკლარაცია არის ფაქტების დამადასტურებელი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმესთან პარალელების გავლების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოდან შემდეგი საჯარო ინფორმაცია გამოვიტხოვეთ: 2004-2006 წლების განმავლობაში დამდგარა თუ არა გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი მსგავსი შემთხვევისთვის.¹³³ სასამართლოდან მოსული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ამ პერიოდში მსგავსი შემთხვევის გამო გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოწოდებული განაჩენებიდან (რომლებიც, ძირითადად, ეხება საბაჟო წესების დარღვევას) ყველგან მოხსენიებულია საბაჟო დეკლარაცია, როგორც იმპორტირებული საქონლის რაოდენობის, ღირებულების, სახეობის განმსაზღვრელი დოკუმენტი და არა ინვოისი. აღნიშნული გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია იმპორტირებული საქონლის შესახებ, არის საბაჟო დეკლარაცია და არა ინვოისი.

4. დასკვნა

კოტე კაპანაძის სისხლის სამართლის საქმეში ბრალდება დაეყრდნო მხოლოდ გამოძიების მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნას, რაც საეჭვოა, ვინაიდან არსებობს ალტერნატიული დასკვნა, რომელიც სანინალმდეგოზე მეტყველებს. ეჭვი და ვარაუდი კი სასამართლოს არ გაუქარწყლებია. ყოველივე აღნიშნული კი, ალბათობის მაღალი ხარისხით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ საქმეში მართლმსაჯულება არაკანონიერად წარიმართა. სასამართლომ ხელი არ შეუწყო მტკიცებულებების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევას.

2.2.4. მელორ ვაჩნაძის საქმე

1. მელორ ვაჩნაძის პოლიტიკური საქმიანობა

მელორ ვაჩნაძე იყო მოძრაობა „7 ნოემბრის“ აქტივისტი. მოგვიანებით დააფუძნა მოძრაობა „შემოგვიერთდი“. 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ოპოზიციურ საპროტესტო აქციებში. დაკავებამდე რამდენჯერმე გახდა ფიზი-

¹³³ გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია როგორც იმავე მუხლით მსჯავრდების თაობაზე, რომლითაც კაპანაძე იყო გასამართლებული, ასევე, სხვა მსგავსი მუხლით მსჯავრდების თაობაზე (სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლი, საბაჟო წესის დარღვევა).

კური ძალადობის მსხვერპლი. კერძოდ, იგი არაერთხელ სცემეს ნიღბიანმა პირებმა. მ.ვარნაძის განმარტებით, თავდამსხმელები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები იყვნენ.

მის მიმართ განხორციელებული ზენოლისა და მუქარის ფაქტებს მ.ვარნაძე შემდეგნაირად აღწერს:

2009 წლის 15 მარტს მელორ ვარნაძე და „7 ნოემბრის“ რამდენიმე წევრი პოლიციელებმა დააკავეს და ნარკოლოგიურ შემონმებაზე წაიყვანეს, თუმცა, ვინაიდან მათ ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერების კვალი არ აღმოჩნდა, რამდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

2009 წლის 31 მარტს, როდესაც მელორ ვარნაძე სხვა პირებთან ერთად მშვიდობიან აქციას მართავდა, ისინი ნიღბიანმა პირებმა და პოლიციის თანამშრომლებმა დაარბიეს. მელორ ვარნაძე სასტიკად იქნა ნაცემი.

2009 წლის 23 აპრილს, ღამით, საკუთარ სახლთან უცნობმა პირებმა ავტომობილში ძალის გამოყენებით ჩასვეს და გაიტაცეს. მელორ ვარნაძემ გაქცევა შეძლო.¹³⁴

2009 წლის 4 მაისს მას ტელეფონზე დაუკავშირდა მისთვის უცნობი პირი და დაკავებით დაემუქრა. იმავე წლის 5 მაისს მას კამათი მოუვიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტთან ნიკა ავალიანთან. კამათის და დაპირისპირების გამო, მელორ ვარნაძე და მისი ორი მეგობარი 6 მაისს დააკავეს და ბრალად წაუყენეს ხულიგნობის ჩადენა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის 11 ნაწილი). 7 მაისს პატრიარქის თხოვნით იგი გაათავისუფლეს გირაოს სანაცვლოდ. აღნიშნული საქმე გადაგზავნილია სასამართლოში, თუმცა, განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

2009 წლის მაისში მელორ ვარნაძეს ღამით დაედევნა რამდენიმე უცნობი პირი, რომლებთან ერთად იყვნენ პოლიციის თანამშრომლებიც. დევნის პროცესში მდევრებმა არაერთი გასროლა მოახდინეს. მელორმა მოახერხა და აქციის მონაწილეებთან მისვლა შეძლო, რის შემდეგაც უცნობმა პირებმა დევნა შეწყვიტეს.

2007 წლიდან 2009 წლამდე (დაკავებამდე) პერიოდულად იღებდა სატელეფონო მუქარის ზარებს. უცნობი პირები მელორ ვარნაძისგან ითხოვდნენ, აღარ ეაქტიურა და აღარ მიეღო მონაწილეობა პოლიტიკურ აქციებში (აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება).

2. მელორ ვარნაძის სისხლის სამართლის საქმე

2008 წლის 26 მაისს დაიწყო წინასწარი გამოძიება თაღლითობის მუხლით. გამოძიების დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ მელორ ვარნაძე პასუხისგებაში მიეცა და სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (თაღლითობა, ე.ი. სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), ხოლო სასჯელის სახედ განესაზ-

¹³⁴ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს ძიება.

ღვრა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, განაჩენი დარჩა უცვლელი. აღნიშნული გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, თუმცა, საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მართლმსაჯულება დაემყარა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მელორ ვაჩნაძე-სა და მის მეგობარს, გ. გზირიშვილს შორის შედგა ზეპირი გარიგება, რომ მელორ ვაჩნაძე მას თავისი მეუღლის კუთვნილ ავტომანქანას მიჰყიდდა. გზირიშვილმა ამაზე თანხმობა განაცხადა და თანხა ნაწილ-ნაწილ გადაუხადა. თანხის გადახდის შემდეგ, ვაჩნაძემ ავტომანქანა სხვა პირზე, ხ.მილაძეზე გაასხვისა, შესაბამისად, ის გზირიშვილისთვის არ გადაუცია. თავად ვაჩნაძის მტკიცებით, გზირიშვილმა მას ბე-ს სახით მისცა 500 აშშ დოლარი, ხოლო, ვინაიდან შეთანხმებული თანხა ბოლომდე აღარ გადაუხდია, მან თავისი მეუღლის ავტომანქანა სხვაზე გაასხვისა.

3. დარღვევები მელორ ვაჩნაძის სისხლის სამართლის საქმეში

• სისხლისსამართლებრივი დევნის მიუკერძოებლობა

წინასწარი გამოძიება მოცემულ საქმეზე დაიწყო 2008 წლის 26 მაისს.¹³⁵ თუმცა, თავდაპირველად თითქმის არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა და თავად დაზარალებულიც კი არ დაკითხულა. წარმოება განახლდა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ. კერძოდ, დაზარალებულის და მოწმეთა დაკითხვის პროცესი 2009 წლის მაისში დაიწყო (ეს პროცესი ემთხვევა აპრილის საპროტესტო აქციებში მელორ ვაჩნაძის აქტივობას). მ. ვაჩნაძეს ბრალი წაეყენა 2009 წლის 27 ივლისს. გაუგებარია, რატომ იყო საქმე 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უმოძრაოდ და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ვაჩნაძე აქტიურად ჩაება პოლიტიკურ პროცესებში.

• განაჩენის კანონიერება

მელორ ვაჩნაძის სისხლის სამართლის საქმეში (გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობითი ნაწილის მიხედვით) მსჯავრდებულმა დაზარალებულს ქონება მიჰყიდა და ამის სანაცვლოდ შესაბამისი საზღაურიც გამოართვა. მიუხედავად ამისა, მელორ ვაჩნაძემ დაზარალებულს არ გადასცა ნასყიდობის საგანი და იგი სხვა პირზე გაასხვისა. სასამართლოს მიერ ეს ქმედება ჩაითალა თაღლითობად. მიგვაჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ მელორ ვაჩნაძის მიმართ მოსამართლის მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერება და ქმედების თაღლითობად კვალიფიკაცია.

სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის დისპოზიცია მაკვალიფიცირებელ გარემოებად უთითებს მოტყუებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოტყუების ფაქტს ადგილი უნდა ჰქონდეს **დაუფლების მომენტში**. სწორედ მოტყუება უნდა იყოს ნივთის დაუფლების ხერხი. მოტყუება შეიძლება განხორციელდეს როგორც

¹³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს „წინასწარი გამოძიების დაწყების“ ინსტიტუტს, აღნიშნული იწყება დანაშაულის შესახებ ცნობების მიღებისას *per se*. საადრიცხო დონეზე იყენებენ ფორმა №1-ს, რომლითაც აღირიცხება წინასწარი გამოძიების დაწყების ფაქტი და დრო.

პასიური, ისე აქტიური ფორმით. აქტიურია მოტყუება მაშინ, როდესაც პირის შეცდენა ხდება ცრუ მონაცემების შეტყობინებით და ის ამის საფუძველზე გადასცემს შემცდენს თავის ნივთს. პასიურია მოტყუება, როდესაც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების შეგნებული დამალვა ხდება, რაც პირის მიერ ნივთის გადაცემას განაპირობებს. ამ შემთხვევაში, ფაქტების დამალვა წინ უნდა უსწრებდეს ნივთის გადაცემას, რათა მისაკუთრების ხერხად ჩაითვალოს. **თუ პასიური მოტყუება ხდება ნივთის დაუფლების შემდეგ, თაღლითობა სახეზე არ არის. ამ შემთხვევაში, სახეზეა სამოქალაქო სამართლებრივი, კერძოდ, ვალდებულებითი ურთიერთობა.** როდესაც ვაჩნაძემ მიიღო თანხის ერთი ნაწილი ჯერ იანვარში, ხოლო მეორე – თებერვალში, მისი მხრიდან მოტყუებას ადგილი არ ჰქონია, კერძოდ, მას მანქანა ჯერ გაყიდული არ ჰყავდა, რომ ეს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი გზირიშვილისთვის დაემალა. ეს ნიშნავს იმას, რომ მას გზირიშვილი შეცდომაში არ შეუყვანია და თანხას დაეუფლა პატიოსნად, შეთანხმებით, სადაც ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის არასწორ მონაცემს და არამართლობიერ ხერხს. მას რომ თანხის გადაცემის მომენტში შეგნებულად დაემალა მესამე პირისთვის მანქანის მიყიდვის ფაქტი, სახეზე იქნებოდა თაღლითობა. მისი არარსებობა კი, სასამართლო გამოძიებით დადგინდა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი საკითხი: ჰქონდა თუ არა ვაჩნაძეს წინასწარ დაგეგმილი, რომ შემდეგში სხვაზე გაყიდდა ავტომანქანას, ანუ – მოტყუების წინასწარი განზრახვა. საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულება არ მიუთითებს ამ განზრახვის არსებობაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მოსამართლე განაჩენში არ მსჯელობს ხსენებულ გარემოებებზე, ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ შეთანხმების რეალურად არსებობის და ვალდებულების დარღვევის ფაქტზე, სადაც თავადვე მიაჩნია დადგენილად, რომ მანქანის გაყიდვა სხვა პირზე მოხდა მხოლოდ თანხის აღების შემდეგ. მოსამართლე არ მსჯელობს იმაზე, დადგინდა თუ არა, რომ ვაჩნაძემ გზირიშვილის მოტყუებით მიიღო თანხა. შეთანხმებით აღებული ვალდებულების დარღვევის, როგორც ფაქტის, არსებობა არ არის ქმედების თაღლითობად დაკვალიფიცირების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ თაღლითობის ჩადენას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ეს ფაქტი წარმოადგენდა სამოქალაქო დავის საგანს.

- არაერთგვაროვანი პრაქტიკა

სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს დანაშაულებრივ ქმედებათა ჩამონათვალს. პროცედურული სამართლით დადგენილი წესის შესაბამისად, ხდება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. დანაშაულად მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც ლახავს¹³⁶ ან შემხებლობა¹³⁷ აქვს საზოგადოებრივ ინტერესებთან. ქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა განასხვავებს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას სამოქალაქოსგან.

¹³⁶ როდესაც დანაშაულის ობიექტი არის უშუალოდ საზოგადოებრივი სიკეთე (მაგალითად, სახელმწიფო სუვერენიტეტი).

¹³⁷ აქ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ხელყოფის უშუალო ობიექტია ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე (მაგალითად, ჯანმრთელობა), მაგრამ დელიქტის მომეტებული საფრთხიდან, სოციალური მნიშვნელობიდან და მართლწესრიგის თავისებურებიდან გამომდინარე, ქმედება მიიჩნევა დანაშაულად.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ერთიან კრიტერიუმს, რომლის საფუძველზეც, მოხდებოდა სამოქალაქო დელიქტის გამიჯვნა დანაშაულისგან. ამის გამო პრობლემური სიტუაციები იქმნება განსაკუთრებით ეკონომიკურ დანაშაულთან მიმართებით. მაგალითად, როდესაც მოვალე კრედიტორს ვალს არ უბრუნებს, წარმოადგენს თუ არა მისი ქმედება თაღლითობას (თუკი მოვალემ წინასწარვე იცოდა, რომ ვალს ვერ დააბრუნებდა). ერთი შეხედვით, ეს ქმედება აკმაყოფილებს თაღლითობის საკანონმდებლო მოთხოვნებს, მაგრამ ასევე წარმოადგენს წმინდა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან სახეზეა სესხის ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევა. აუცილებელია ამ მიმართებით ერთიანი სტანდარტის შემუშავება, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა შესაძლო პასუხისმგებლობის ორი ფორმის გამიჯვნა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ამ მიმართულებით არ არსებობს.¹³⁸

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრში სისხლისსამართლებრივ სფეროში კონსულტაციის უმრავლესობა ეხება წინასწარი გამოძიების არდანყებაზე საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესების განმარტებას. ყველაზე ხშირად წინასწარი გამოძიების არდანყების საფუძველია ის გარემოება, რომ სადავო საკითხი სამოქალაქო ურთიერთობის საგანია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატებს არაერთხელ მიუმაართავთ საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის და მოუთხოვიათ წინასწარი გამოძიების დაწყება დაზარალებულის სახელით, როდესაც ხდება პირთა უფლებების შელახვა სხვა პირის მოქმედების შედეგად. მაგალითად, საქართველოს მოქალაქე ე.მ.-ს შემთხვევა, როდესაც მის ბინას ყალბი დოკუმენტების საფუძველზე დაეპატრონა სხვა პირი, საქართველოს პროკურატურის მიერ მიჩნეულ იქნა სამოქალაქო დავად და წინასწარი გამოძიება არ დაიწყო მაშინ, როდესაც ბინის დაუფლების საშუალებად ფიგურირებს ყალბი დოკუმენტები, ანუ **მოტყუება**, როგორც **ხერხი**. ვაჩნაძის საქმესთან მიმართებით პოზიტიურ მაგალითს წარმოადგენს ტ.გ.-სთან დაკავშირებული საქმე, სადაც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები დაიდო კანონით დადგენილი წესების დაცვით, მაგრამ მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულება ვერ შესრულდა. პროკურატურის მიერ შეწყდა წინასწარი გამოძიება სწორედ იმ მოტივით, რომ საქმეში არ დგინდებოდა თაღლითობის მაკვალიფიცირებელი გარემოება – **მოტყუებით ნივთის დაუფლება**. ამ საქმეში მოქალაქე ტ.გ.-მ რამდენიმე პირთან გააფორმა ხელშეკრულება ეტაპობრივად გადახდაზე, თუმცა საბოლოოდ თანხა არც ერთს არ დაუბრუნა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ტ.გ.-ს წინასწარვე ჰქონდა შეგნებული, რომ იგი ვერ შეძლებდა ვალის გადახდას. თუმცა, რა თქმა უნდა, მტკიცება იმისა, ჰქონდა თუ არა მას ასეთი განზრახვა, შეუძლებელია. ამის მიუხედავად, თუ მ. ვაჩნაძისა და ტ.გ.-ს საქმეს შევადარებთ, დავინახავთ, რომ სტანდარტები და კრიტერიუმები, რომელსაც პროკურატურა იყენებს თაღლითობის საქმის შემთხვევაში, არ არის ნათელი.

ვფიქრობთ, აღნიშნულ საკითხზე აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკითხის უნიფიცირებული დარეგულირება.

¹³⁸ *inter alia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 3 ოქტომბრის №992-აპ-09 განჩინება.

- მტკიცებულებათა უტყუარობა

მიუხედავად იმისა, რომ ცალსახა არ არის, ვაჩნაძისთვის ბრალად შერაცხული ქმედება წარმოადგენს დანაშაულს თუ სამოქალაქო დავის საგანია, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საკითხი: თავად მტკიცებულებების უტყუარობა, რომელსაც მსჯავრდებისას სასამართლო დაეყრდნო.

კონსტიტუციით და მისგან გამომდინარე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს,¹³⁹ ხოლო ის, თუ რამდენად უტყუარია თავად მტკიცებულება, არის მტკიცების საკითხი, რომლის ერთ-ერთ ბოლო საფეხურსაც წარმოადგენს მოპოვებული მტკიცებულებების შეფასება სასამართლოს მიერ.

მელორ ვაჩნაძის საქმეში სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა წარდგენილი მტკიცებულებები. მოწმის სახით დაკითხულთაგან აბსოლუტურად არც ერთმა დაზარალებულ გზირიშვილის მიერ ვაჩნაძისათვის თანხის პირველ ეტაპზე გადაცემის ფაქტი არ დაადასტურა.¹⁴⁰ ეს მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებაშია მითითებული, რომელიც გამოქვეყნდა სასამართლოზე მისი გარდაცვალების გამო. სხვა მოწმეები არიან ირიბი მოწმეები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათთვის ეს ფაქტი ცნობილი გახდა გადმოცემით და უშუალოდ თანხის გადაცემა არ უნახავთ. რაც შეეხება დაზარალებულის მეუღლეს, ის აცხადებს, რომ მან დაინახა, როგორ გადასცა თანხა გზირიშვილმა ვაჩნაძეს. თუმცა, ეს ჩვენება ვერ იქნება უტყუარი იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც თავადვე აცხადებს, გზირიშვილი და ვაჩნაძე ჩასხდნენ მანქანაში, მიიხურეს კარი და გზირიშვილმა ვაჩნაძეს კონვერტიდან ამოღებული თანხა გადასცა. შესაბამისად, დაზარალებულის მეუღლე ვერ დაინახავდა თანხის ოდენობას, ვინაიდან თავად არ იმყოფებოდა მანქანაში. აქედან გამომდინარე, განაჩენი რეალურად ეყრდნობა სხდომაზე გამოქვეყნებულ ჩვენებას, რაც იკრძალება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 481-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასამართლო განხილვაზე წინასწარი გამოძიების დროს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების წაკითხვა ... დასაშვებია, თუ მოწმე გარდაიცვალა... მხოლოდ აღნიშნული ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას“. ამ მუხლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხოლოდ სასამართლომ მიერ სხდომაზე უტყუარად დადგენილ გარემოებებს უნდა დაეყრდნოს განაჩენი, შესაბამისად, გამოქვეყნებული ჩვენება სასამართლოს უტყუარ ინფორმაციას ვერ მისცემს.

გარდა ამისა, დაირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი, სადაც ერთი მხარის მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებაში მეორე მხარემაც უნდა მიიღოს მონაწილეობა.¹⁴¹ ანუ გამოქვეყნებული ჩვენების დროს დაცვის მხარე ვერ მიიღებს მონაწილეობას დაკითხვაში – მტკიცებულების გამოკვლევაში. ყოველივე ამის საფუძვლეზე, კანონმდებელმა აკრძალა მხოლოდ გამოქვეყნებულ ჩვენებაზე დაყრდნობა

¹³⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი და 503-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁴⁰ აქ საუბარია 4100 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტზე, ხოლო, რაც შეეხება დარჩენილ 1000 აშშ დოლარს, მას დაცვის მხარე სადავოდ არ ხდის.

¹⁴¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

გამამტყუნებელი განაჩენისას. ამის საწინააღმდეგოდ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სასამართლო რეალურად ამ მტკიცებულებას ეყრდნობა.¹⁴²

4. დასკვნა

მელორ ვაჩნაძის საქმეში სასამართლოს მიერ ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა დანაშაულად. წარდგენილი მტკიცებულებები არ შეფასდა სათანადოდ, ანუ დაირღვა სისხლის სამართლის როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კანონი.

2.2.5. ლევან გოგიჩაიშვილის საქმე

1. ლევან გოგიჩაიშვილის პოლიტიკური საქმიანობა

ლევან გოგიჩაიშვილი იყო პოლიტიკური მოძრაობა „ახალი მემარჯვენეების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ასევე, ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის „თანასწორობის ინსტიტუტის“ გამგეობის წევრი. 2006 წლიდან იგი არის მოძრაობა „7 ნოემბრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური მონაწილე, ასევე ამ ორგანიზაციის გამგეობის წევრი. ლევან გოგიჩაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში, რის გამოც არაერთხელ იყო დაკავებული ადმინისტრაციული წესით. იგი იყო 2007 წლის შემოდგომისა და 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე.

2. ლევან გოგიჩაიშვილის სისხლის სამართლის საქმე

2009 წლის 9 ივნისს შსს-ს ქ. თბილისის ძველი თბილისის სამმართველოს მე-4 განყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება მოქ. დავით ლეჟავას ჯანმრთელობის განძრახ მიმე დაზიანების ფაქტზე.

2009 წლის 16 ივნისს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ეჭვმიტანილის სახით დააკავეს ლევან გოგიჩაიშვილი.

ლევან გოგიჩაიშვილს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით¹⁴³ და აღკვეთის ღონისძიების სახით, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, შეეფარდა პატიმრობა.

გოგიჩაიშვილის ბრალდების საქმე განიხილა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. სასჯელის სახედ მსჯავრდებულ გოგიჩაიშვილს შეეფარდა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა, საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სააპელაციო პალატამ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, აღნიშნული გადაწყვეტილება ლევან გოგიჩაიშვილმა

¹⁴² თუმცა, ფორმალურად სხვა მტკიცებულებებზეც უთითებს მსჯელობისას.

¹⁴³ ჯანმრთელობის განზრახ მიმე დაზიანება, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძობით.

გაასაჩივრა საკასაციო წესით, რაზეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება მისი საქმის განუხილველად დატოვების შესახებ.

3. დარღვევები ლევან გოგიჩაიშვილის სისხლის სამართლის საქმეში

• მტკიცებულებათა შეფასება

გოგიჩაიშვილის საქმეზე სასამართლო გამოძიებისას გამოვლენილი წინააღმდეგობრივი მტკიცებულებების არსებობისას სასამართლოს მიერ არ იქნა დასაბუთებული ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაზიარებისა და მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაუზიარებლობის საფუძვლები.

სასამართლო გამოძიებისას მოწმის სახით დაკითხული პირები, რომლებიც შემთხვევის ადგილას იმყოფებოდნენ, არ ეთანხმებიან ლ. გოგიჩაიშვილის მიმართ წარდგენილ ბრალდებას. მოწმეები ადასტურებენ დავით ლეჟავას დაჭრის ფაქტს, თუმცა, რა ვითარებაში მოხდა ამ უკანასკნელის დაჭრა, მათთვის უცნობია.

გოგიჩაიშვილის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო საქმეზე დაზარალებულად ცნობილი დავით ლეჟავას ჩვენება და მოწმე თია წერეთლის ჩვენება.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხული თია წერეთლის განცხადებით, მან შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენები (გოგიჩაიშვილის მიერ ლეჟავას დაჭრის ფაქტი) იმ მომენტში დაინახა, როდესაც იგი თავის მეგობრებთან ერთად მსუბუქი ავტომანქანით მოძრაობდა დაბა წყნეთიდან თბილისის მიმართულებით და სრულიად შემთხვევით გახდა ფაქტის თვითმხილველი.

სასამართლო გამოძიებისას დაკითხულ მოწმეთა¹⁴⁴ ჩვენებებით, გამოირიცხა დაზარალებულ დ. ლეჟავას დაჭრის პერიოდში, შემთხვევის ადგილის სიახლოვეს, ცენტრალურ გზაზე ავტომობილების მოძრაობის ფაქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოწმე თია წერეთლის ჩვენება, როგორც მინიმუმ, ეჭვის ქვეშ დგება, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც თავად დაზარალებული უარყოფდა საკუთარ ჩვენებაში მისი დაჭრის პერიოდში ავტომობილების მოძრაობის ფაქტს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სასამართლომ, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, დაზარალებულის ჩვენება ნაწილობრივ გაიზიარა, კერძოდ: დავით ლეჟავას ჩვენება სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ჩვენების იმ ნაწილში, სადაც იგი მის დაჭრაში ლ. გოგიჩაიშვილს ადანაშაულებს, ხოლო დაზარალებულის ჩვენების ის ნაწილი, სადაც იგი ხაზგასმით ამბობს, რომ მისი დაჭრის პერიოდში ავტომობილების მოძრაობა არ შეიმჩნეოდა, სასამართლოს მხრიდან გაზიარებული არ ყოფილა.

საქმეზე ჩატარებული სასამართლო გამოძიებისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზით დგინდება, რომ მოწმეთა დიდი ნაწილის ჩვენებებით (მათ შორის, ბრალდების მოწმეების ჩვენებებით) არ დასტურდება გოგიჩაიშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ განაჩენის გამოტანისას დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი

¹⁴⁴ ვაჟა კორკოტაშვილი, კონსტანტინე ნანიტაშვილი.

გარემოებები, რაც გოგიჩაიშვილის ბრალდებას ადასტურებს (ასეთი მხოლოდ დაზარალებულის და თია წერეთლის ჩვენებაა), ხოლო იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლითაც არ დასტურდებოდა წარდგენილი ბრალდება, შეფასების გარეშე დატოვდა.

თია წერეთლის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით, მან ავტომობილიდან დაინახა ის, რაც შემთხვევის ადგილზე მყოფთაგან არც ერთ მოწმეს არ დაუნახავს (ლ. გოგიჩაიშვილის მიერ ლეჟავას დაჭრის ფაქტი). უფრო მეტიც, მისი განმარტებით, შემთხვევის დღეს ნაწვინარი იყო და როდესაც შემთხვევის ადგილთან მანქანით ჩაიარა, მაშინაც წვიმდა. მიუხედავად ამისა, მან ნაწვინარი მანქანის მინებიდან, ღამის განათების პირობებში (ფაქტი მოხდა ღამის 3 საათზე), ერთი შეხედვით იცნო ლევან გოგიჩაიშვილი. გარდა ამისა, მან დაინახა „იმ ბიჭმა როგორ დაარტყა აპრიალეზული დანის პიროვით რალაც“, თუმცა, ზუსტად არ იცის რა, რადგან მანქანიდან არ გადასულა.

გოგიჩაიშვილის ბრალდების საქმეზე ადგილი აქვს განაჩენში მოყვანილი სასამართლო დასკვნების შეუსაბამობას საქმეზე არსებულ მტკიცებულებებთან, რაც წარმოადგენს საქართველოს საპროცესო კოდექსის 539-ე მუხლის¹⁴⁵ არსებით დარღვევას.

• მტკიცებულებათა საეჭვობა

2009 წლის 16 ივნისს ლევან გოგიჩაიშვილის ბრალდების საქმეზე ქ. თბილისის №1 დროებით მოთავსების იზოლატორში მოწმის სახით დაიკითხა საქმეზე დაზარალებულად ცნობილი დავით ლეჟავას და – ირინა ნიკოლოზის ასული ლეჟავა. ეს უკანასკნელი სოღ-ის თანამშრომლებმა ნარკოტიკების მოხმარებისა და შექმნა-შენახვის ფაქტზე დააკავეს. დაკავებულ ირინა ლეჟავას 2009 წლის 15 ივნისს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნული მუხლი სასჯელის ზომად ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას.

ნარკოტიკების მოხმარებაში ბრალდებულმა ირინა ლეჟავამ, დავით ლეჟავას ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე, მოწმის სახით დაკითხვა მოითხოვა. აღნიშნულ საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა ლევან გოგიჩაიშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა, რაც ამ უკანასკნელის დაკავების საფუძველი გახდა. ლევან გოგიჩაიშვილის მხილების შემდეგ ირინა ლეჟავა დაუყოვნებლივ გათავისუფლდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ბრალი ედებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. სახელმწიფო ბრალდება დააყენა შუამდგომლობა, აღკვეთის ღონისძიების სახით მის მიმართ 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს შეფარდების თაობაზე.

დადგენილია, რომ დავით ლეჟავას ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენეს 2009 წლის 9 ივნისს, ხოლო ირინა ლეჟავამ 2009 წლის 16 ივნისამდე, ე.ი. მის დაკავებამდე, საკუთარი ძმის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე პროცესის მწარმოებელ ორგანოს ჩვენება არ მისცა. მხოლოდ მისი დაკავების შემდეგ ამხილა მან გოგიჩაიშვილი. ყოველივე ეს კი, ირინა ლეჟავას სუბიექტურობასა და ჩვენების

¹⁴⁵ 539-ე მუხლის თანახმად, ყოველივე აღნიშნული განაჩენის შეცვლის ან გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

საეჭვოობაზე მიუთითებს. საეჭვოობაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტიც, რომ ნარკოტიკების მოხმარებასა და შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებული ირინა ლეჟავას დაკითხვის შემდეგ, იმავე დღეს, ღამის საათებში მოხდა საქმეზე დაზარალებულად ცნობილი დავით ლეჟავას დაკითხვა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა ამ უკანასკნელმა ლ. გოგიჩაიშვილის წინააღმდეგ ჩვენება, რა დროსაც მან, ფაქტობრივად, დაადასტურა საკუთარი დის ჩვენება.

საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ ბათილდება სხვა მტკიცებულებით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ლ. გოგიჩაიშვილის ბრალდების საქმეზე კი ასეთი რამ არ მომხდარა.

• ქმედების კვალიფიკაცია

ლევან გოგიჩაიშვილს მსჯავრი დაედო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით.

აღნიშნული კვალიფიკაცია არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან.

გამამტყუნებელი განაჩენით, ლევან გოგიჩაიშვილს მსჯავრი დაედო მასზედ, რომ ამ უკანასკნელმა სრულიად უმიზეზოდ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დავით ლეჟავას, რომელმაც მიყენებული შეურაცხყოფის გამო ხელი გაართყვა ლევან გოგიჩაიშვილს სახის არეში. იმავდროულად, ლ. გოგიჩაიშვილმა, ხულიგნური ქვენაგრძნობით თანნაქონი დანით, დავით ლეჟავას მარცხენა საზარდულში მიაყენა ნაკვეთი ქრილობა.

განაჩენის აღწერილობით ნაწილში ასახული ფაქტობრივი გარემოებები არ გამომდინარეობს სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეული მტკიცებულებებით, ვინაიდან სასამართლო გამოძიებისას დადგინდა, რომ დავით ლეჟავამ ლევან გოგიჩაიშვილის მეგობრის გიორგი ალხაიშვილის მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები წარმოთქვა. აღნიშნულს ადასტურებს საქმეზე დაზარალებულად ცნობილი დავით ლეჟავა.

პროცესის მწარმოებელი ორგანოს წინაშე დავით ლეჟავას მიერ მიცემული ჩვენების სამართლებრივი შეფასება გამორიცხავს ხულიგნური ქვენაგრძნობის არსებობას, ვინაიდან მიზეზი, რის გამოც, როგორც დაზარალებული თავად განმარტავს, გოგიჩაიშვილმა განახორციელა მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედება, არის ის, რომ დაზარალებულმა ლევან გოგიჩაიშვილის უახლოეს მეგობარს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. უფრო მეტიც, სასამართლო გამოძიებით დასტურდება, რომ საქმეზე დაზარალებულად ცნობილმა დავით ლეჟავამ პირველმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა გოგიჩაიშვილს სახის არეში.

მართალია, საბრალდებო დასკვნასა და განაჩენებში მითითებულია, რომ ლ. გოგიჩაიშვილმა დაზარალებულს უმიზეზოდ დაართყა დანა, მაგრამ ასეთი ახსნა ხულიგნური ქვენაგრძნობის დასაბუთებისათვის არასაკმარისია, ვინაიდან ხულიგნური ქვენაგრძნობის არსებობის დროს ქმედების სუბიექტურ სფეროში ადგილი არ აქვს სიცარიელეს.¹⁴⁶ ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში, მოქმედების მო-

¹⁴⁶ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №74აპ, მეოტიშვილი.

ტივის სახით, აუცილებლად არსებობს რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო საბაზი, რომელიც წარმოადგენს პირის შინაგან მამოძრავებელს ხულიგნური ქვენაგრძნობით ქმედების დროს, რომლის დადგენაც აუცილებელია.

მოცემულ შემთხვევაში, არც საბრალდებო დასკვნით, არც პირველი და სააპელაციო, საკასაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენებით არ არის დადგენილი ლ.გოგიჩაიშვილის მიერ ჩადენილი ქმედების სუბიექტური მხარის ზემოთ ხსენებული არსებითი ელემენტი, რომელსაც ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის გამო, ლ.გოგიჩაიშვილის გამამტყუნებელ საბრალდებო დოკუმენტებში მოცემული დასკვნა იმის თაობაზე, რომ იგი ქმედების ჩადენის დროს მოქმედებდა ხულიგნური ქვენაგრძნობით, უსაფუძვლოა მისი დაუსაბუთებლობის გამო.

შესაბამისად, სასამართლომ, ლ.გოგიჩაიშვილის ბრალდების საქმეზე განაჩენის დადგენისას, არ დაიცვა საქართველოს სსსკ-ის მე-18 და მე-19 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები. ჯეროვნად არ იქნა შეფასებული არსებული მასალებით დადგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება, რამაც განაპირობა, სამართლებრივი თვალსაზრისით, ლევან გოგიჩაიშვილის ბრალდების საქმეზე ქმედების არასწორი კვალიფიკაცია.

4. დასკვნა

ლ.გოგიჩაიშვილის საქმეზე გამოტანილი განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს, ამასთან, სადავოა ლ.გოგიჩაიშვილის ქმედების ხულიგნური ქვენაგრძნობით კვალიფიკაციის საკითხიც.

თავი 3

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

აღნიშნულ თავში წარმოგიდგენთ საზოგადოებაში გახმაურებული რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შესწავლის შედეგებს.

3.1. ირაკლი კაკაბაძის საქმე

1. ირაკლი კაკაბაძის პოლიტიკური საქმიანობა

ირაკლი კაკაბაძე არის პოეტი, ამერიკის მოქალაქე. იგი არის „თანასწორობის ინსტიტუტის“ დამფუძნებელი. ირაკლი კაკაბაძე წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა პოლიტიკური აქციის ორგანიზატორი/მონაწილე. იგი არაერთხელ იქნა დაკავებული თუ დაჯარიმებული ადმინისტრაციული წესით.

2. ირაკლი კაკაბაძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე

2010 წლის 14 აგვისტოს ჯორჯ ბუშის ქუჩაზე დაკავებულ იქნა ირაკლი კაკაბაძე. იგი, მონაწილეობდა ჯორჯ ბუშისა და ლეხ კაჩინსკის ქუჩების კვეთაზე მიმდინარე მშვიდობიან აქციაში. აქციის მონაწილეები ითხოვდნენ ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩისთვის სახელის შეცვლას და მისთვის ცნობილი ამერიკელი პოეტის – ვოლტ ვიტმენის სახელის მინიჭებას. ადმინისტრაციულ ოქმში დაკავების საფუძვლად მითითებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლი (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა). კაკაბაძე და აქციის მონაწილე ორი პოეტი, რომლებიც აგრეთვე დააკავა საპატრულო პოლიციამ, იდგნენ ე.წ. „უსაფრთხოების კუნძულზე“ და კითხულობდნენ ვიტმენისა და სხვა პოეტების ლექსებს პოლიფონიურად. აქცია მიმდინარეობდა მშვიდობიანად. გარდა ამისა, ვინაიდან ისინი იდგნენ „უსაფრთხოების კუნძულზე“, საგზაო მოძრაობასაც ხელი არანაირად ეშლებოდა. რამდენიმე წუთში გამორჩნდნენ პატრულის თანამშრომლები და აქციის მონაწილეებს სთხოვეს, დაეტოვებინათ „უსაფრთხოების კუნძული“, რასაც ისინი დაემორჩილნენ და გადავიდნენ ტროტუარზე. ამის შემდგომ პოლიციელებმა უკვე ტროტუარზე მდგომი კაკაბაძე დააკავეს. დაკავებულის მხრიდან არანაირ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია.

2010 წლის 15 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა ზემოაღნიშნული საქმე და მიიღო დადგენილება კაკაბაძის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ცნობის თაობაზე. მას დაეკისრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

3. დარღვევები ირაკლი კაკაბაძის საქმეში

• ქმედების კვალიფიკაცია

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შედგენილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა საკითხზე, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი დაკავებულის მხრიდან ამ მუხლით გათვალისწინებული

ქმედების ჩადენას. 173-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები:

1. სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკის **კანონიერი განკარგულება**;
2. ზემოაღნიშნული განკარგულებისადმი **ბოროტად დაუმორჩილებლობა**.

- კანონიერი განკარგულების არსებობა

სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ზუსტად ვერ განმარტეს, რა იყო მათი კანონიერი მოთხოვნა, რომელსაც დაკავებულები არ დაემორჩილნენ. სხდომაზე გამოცხადებულმა სამივე თანამშრომელმა სხვადასხვაგვარად განმარტა აღნიშნული მოთხოვნა. კერძოდ, ერთი თანამშრომლის განმარტებით, კანონიერ მოთხოვნას წარმოადგენდა: აქციის მონაწილეებს დაეტოვებინათ ე.წ. „უსაფრთხოების კუნძული“ და გადასულიყვნენ ტროტუარზე; მეორის განმარტებით, მათ მოთხოვნას წარმოადგენდა ის, რომ დაკავებულებს დაეტოვებინათ „უსაფრთხოების კუნძული“ და შეენყვიტათ ლექსების კითხვა; ხოლო მესამემ განაცხადა, რომ მოთხოვნას წარმოადგენდა შეწყვეტილიყო ბილბორდზე წარწერების გაკეთება და აქციის მონაწილეებს დაეტოვებინათ გზის სავალი ნაწილი. სასამართლოს, განმარტებათა ასეთმა რადიკალურმა განსხვავებებმა, არავითარი ეჭვი არ აღუძრა.

ცხადია, რომ მოთხოვნა ლექსის კითხვის შეწყვეტის თაობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად. კერძოდ, აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლება კონსტიტუციური უფლებაა და მისი განხორციელება ქვეყნის უზენაესი კანონით არის გარანტირებული.

მოთხოვნა „უსაფრთხოების კუნძულის“ დატოვებასთან დაკავშირებით ასევე ვერ ჩაითვლება კანონიერ მოთხოვნად, რადგან არ არსებობს არც ერთი აქტი, რომლითაც იკრძალება ასეთ კუნძულზე დგომა. ვინაიდან „კუნძული“ გამოყოფილია გზის სავალი ნაწილისგან და იქ დგომით ხელი არ ეშლის საგზაო მოძრაობას.

რაც შეეხება ბილბორდის შეღებვის შეწყვეტას, ასეთ მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია, რადგან ბილბორდის შეღებვის განხორციელების დროს, დარღვევის ადგილზე არ ყოფილან პატრულ-ინსპექტორები. აღნიშნულის შესახებ განაცხადეს დაკავებულებმა, რაც დაადასტურეს სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მონაწილემაც. გარდა ამისა, ეს ნათლად ჩანს ვიდეორჩანაწერზეც, რომლის ნახვაზე სასამართლომ უარი განაცხადა. შესაბამისად, შეუძლებელი იყო პოლიციელების მხრიდან ასეთი მოთხოვნის დაყენება. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მონაწილემაც, ასევე დაკავებულმა პირებმა განაცხადეს, რომ ბილბორდის შეღებვის დროს იქ არ ყოფილა პოლიცია და მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონია (ცხადია, ვერც ექნებოდა) რაიმე მოთხოვნას. როდესაც პატრულ-ინსპექტორები მივიდნენ ბუშის მოედანზე, ბილბორდი უკვე შეღებილი იყო, რაც გამორიცხავს მოთხოვნის არსებობას ქმედების შეწყვეტაზე. პატრულის მოსვლის დროისთვის ქმედება უკვე დამთავრებული იყო.

- მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა

კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევს კანონიერი განკარგულებისადმი არა ყოველგვარ, არამედ მხოლოდ **ბოროტ** დაუმორჩილე-

ბლობას. განსახილველ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია არა თუ ბოროტ, არამედ უბრალო დაუმორჩილებლობასაც კი. კერძოდ, პატრულის მონადეობა ტროტუარზე გადასვლის შესახებ, ნებაყოფლობით, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შესრულდა.

ზემოაღნიშნულიდან ცალსახად ირკვევა, რომ არ არსებობდა პატრულ-ინსპექტორთა კანონიერი მოთხოვნა. ამის მიუხედავად, აქციის მონაწილეები მაინც დაემორჩილნენ მათ მოთხოვნას და გადავიდნენ ტროტუარზე, რაც ასევე გამორიცხავს „ბოროტი დაუმორჩილებლობის“ არსებობას. აღნიშნული დაადასტურეს თავად პატრულ-ინსპექტორებმა.

- **საქმის გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევა**

სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ განაცხადა უარი დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, იმაზე, რომ ენახა და შეეფასებინა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ვიდეომასალები და დაერთო იგი საქმისთვის. ასკ-ის 130-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლო ვალდებული იყო, მოეხდინა საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა და შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება. სასამართლო სხდომაზე აშკარად გამოიკვეთა მონშეების, დაკავებულებისა და პატრულ-ინსპექტორების ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები. თავად ინსპექტორთა ჩვენებებს შორისაც იყო აშკარა წინააღმდეგობები. ისინი ერთსა და იმავე კითხვაზე იძლეოდნენ განსხვავებულ პასუხებს, განსხვავებულად აღწერდნენ საქმის გარემოებებს. ამ შემთხვევაში, თავად სასამართლო უნდა დაინტერესებულიყო საქმის გარემოებების დეტალურებით, რათა დაედგინა, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი კაკაბაძის მხრიდან ასკ-ს 173-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენას და მიეღო სამართლიანი გადაწყვეტილება. სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ აქციის მიმდინარეობას იღებდა არაერთი ოპერატორი. მას თავად უნდა მოეძიებინა მასალები აღნიშნული წყაროებიდან, რათა არ მომხდარიყო კაკაბაძისთვის ადმინისტრაციული სახდელის უსაფუძვლოდ დადება. ნაცვლად ამისა, სასამართლომ „არ ჩათვალა საჭიროდ“, დაინტერესებულიყო ვიდეო მასალით, რომელზეც თავიდან ბოლომდე დაფიქსირებული იყო აქციის მიმდინარეობა. აღნიშნული მტკიცებულებით სასამართლოს მიეცემოდა შესაძლებლობა, გარკვეულიყო საქმის ფაქტობრივ გარემოებებში. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარით, სასამართლომ დაარღვია ასკ-ს 236-ე მუხლიც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, **„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას“**.

- **მტკიცებულების ცალმხრივი შეფასება**

237-ე მუხლის თანახმად კი, **„ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში“**. ანუ, სასამართ-

ლოს, მინიმუმ, უნდა ენახა მაინც წარდგენილი ვიდეოფირი, რაც უკეთ გავარკვევდა მას საქმის გარემოებების გამოკვლევაში. ამის შემდეგ უკვე სასამართლოს გადასაწყვეტი იქნებოდა, დაეყრდნობოდა თუ არა მას გადანყვეტილების მიღებისას.

სასამართლო გადანყვეტილება დაემყარა მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებსა და მათ მიერვე შედგენილ სამართალდარღვევის ოქმებს, თუმცა, მეორე მხარის მტკიცებულებებზე (ახსნა-განმარტება, მონმეების ჩვენება, ვიდეომასალა) მას არ უმსჯელია. საქმის განხილვისას გამოიკვეთა, რომ დაცვისა და მონინალმდეგე მხარის მიერ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები არსებითად ენინალმდეგებოდა ერთმანეთს, შესაბამისად, გადანყვეტილება არ უნდა დაეფუძნებინა მხოლოდ ერთი მხარის მიერ წარდგენილ გარემოებებზე.

ამას ადასტურებს კიდევ ერთი ფაქტი: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კაკაბაძე პატრულის თანამშრომლებს მიმართავდა ფრაზით „ძალეობ“, რაც პოლიციისთვის შეურაცხმყოფელია. სასამართლო აღნიშნული გარემოების დადგენისას ასევე მხოლოდ ინსპექტორთა განმარტებებს დაეყრდნო, კაკაბაძის განმარტება კი იმასთან დაკავშირებით, რომ ის კითხულობდა ლექსს, მხედველობაში არ მიიღო. მოსამართლეს ვიდეომასალა რომ ენახა, თავად დარწმუნდებოდა, რომ კაკაბაძის მხრიდან ადგილი არ ჰქონია პატრულის თანამშრომლების შეურაცხყოფას.

- **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის კანონიერება**

თავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა უსაფუძვლოდ, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კაკაბაძის ქმედებაში არ ყოფილა ასკ-ს 173-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნები. მისი ქმედება შეიცავდა ასკ-ს 150-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნებს (ქალაქის იერსახის დამახინჯება), შესაბამისად, ოქმის შედგენა შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ამ საფუძვლით. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის კანონმდებელი სახდელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას 50 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის დროს პატრულ-ინსპექტორები არ არიან უფლებამოსილი, მოახდინონ პირის ადმინისტრაციული დაკავება. ი.კაკაბაძე კი მთელი ღამე ჰყავდათ დაკავებული და მოთავსებული წინასწარი დაკავების იზოლატორში.¹⁴⁷

- **ცემის ფაქტის გამოძიება**

ირაკლი კაკაბაძის დაკავების დროს შედგა დაკავების ოქმი, სადაც მითითებულია, რომ დაკავებულს სხეულზე ვიზუალურად დაზიანებები არ აღენიშნება. ირაკლი კაკაბაძის განმარტებით, დაკავების შემდეგ იგი გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, სადაც მას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც მან მიიღო დაზიანებები. დაზიანებების არსებობის ფაქტი დასტურდება ქ. თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორის (დიღმის მასივში, შსს-ს მთავარი სამმართველოს შენობაში), დაკავებულის გარე-

¹⁴⁷ ირაკლი კაკაბაძე დაკავებულ იქნა 14 აგვისტოს 19 საათსა და 25 წუთზე და 15 აგვისტოს დღის პირველ ნახევარში სასამართლო პროცესის შემდეგ გათავისუფლდა.

განი დათვალა იერების ოქმით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2010 წლის 17 აგვისტოს გააგზავნა განცხადება საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე, რითაც მოითხოვა მომხდარ ფაქტზე რეაგირება. ამის შემდეგ 2010 წლის 06 სექტემბერს ირაკლი კაკაბაძის ადვოკატმაც მიმართა მთავარ პროკურორს განცხადებით და მოითხოვა ინფორმაცია, დაიწყო თუ არა სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ განცხადებაში მითითებულ ფაქტზე წინასწარი გამოძიება. აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით პასუხი ადვოკატს ჯერ არ მიუღია, რაც იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ფაქტზე წინასწარი გამოძიება არ დაწყებულია.

- **სამოქალაქო სარჩელი ირაკლი კაკაბაძის წინააღმდეგ**

აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც ამდენი კანონდარღვევა განხორციელდა ირაკლი კაკაბაძის მიმართ და არც ერთზე არავითარი რეაგირება არ მომხდარა, 2010 წლის 17 სექტემბერს ქ. თბილისის მერიამ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და კაკაბაძისთვის, ზიანის ანაზღაურების სახით, 1926,23 ლარის გადახდის ვალდებულების დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, მას აღნიშნული თანხა დაეხარჯა დაზიანებული ბანერების დემონტაჟის, ახლის დამზადებისა და მონტაჟისთვის.

4. დასკვნა

კაკაბაძის საქმეში ადგილი ჰქონდა კანონის უხეშ დარღვევას როგორც საპატრულო პოლიციის თანამშრომლების, ისე სასამართლოს მხრიდან. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა არა იმ მუხლით, რომელიც დარღვევის ნიშნებსაც შეიცავდა კაკაბაძის ქმედება, არამედ მუხლით, რომელიც ითვალისწინებდა გაცილებით უფრო მძიმე სახდელს და რომელიც კაკაბაძეს არ ჩაუდენია. სასამართლო სხდომაზე გამოიკვეთა კაკაბაძის ქმედებაში 173-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არარსებობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სასამართლომ ცალმხრივად შეაფასა მტკიცებულებები და გადაწყვეტილების მიღებისას, პრაქტიკულად, დაეყრდნო მხოლოდ პატრულ-ინსპექტორთა განმარტებებს, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს იძლეოდნენ. გარდა ამისა, სასამართლოს მხრიდან სრულიად უსაფუძვლოდ ეთქვა დაცვის მხარეს უარი მტკიცებულების საქმეზე დართვაზე, რომელიც უშუალოდ ეხებოდა საქმეს და არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო სასამართლო გადაწყვეტილებაზე. უფრო მეტიც, სასამართლომ უარი განაცხადა არა მხოლოდ ამ მტკიცებულების საქმისთვის დართვაზე, არამედ მის ნახვაზეც კი, ის საერთოდ არ დაინტერესებულა აღნიშნული მასალით. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ კაკაბაძის საქმეზე მართლმსაჯულება არაკანონიერად წარიმართა.

3.2. 2009 წლის 15 ივნისის ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საქმეები

2009 წლის 15 ივნისის სხვადასხვა ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლები, დაახლოებით 100-მდე პირი, მართავდნენ საპროტესტო აქციას საქართ-

ველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ, რითაც აპროტესტებდნენ იმავე წლის 12 ივნისს მათი რამდენიმე თანამოაზრის ადმინისტრაციული წესით დაკავების ფაქტს. 12 ივნისს ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ მოეწყო ე. წ. „სირცხვილის კორიდორი“ საქართველოს პარლამენტის შენობასთან. აქციის მიმდინარეობის დროს მოხდა დაპირისპირება აქციის მონაწილეებსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის წევრებს შორის. იმავე საღამოს რამდენიმე აქციის მონაწილე დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით. სწორედ აღნიშნულს აპროტესტებდნენ მომიტინგეები 2009 წლის 15 ივნისს. აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ხელკეტებით შეიარაღებულმა პოლიციელებმა აქცია დაშალეს, ხოლო აქციის 38 მონაწილე დააკავეს. აქედან 33 დაკავებულს შეეფარდა ჯარიმა, ხოლო 5 დაკავებულს ადმინისტრაციული პატიმრობა.

წარმოგიდგინთ ხსენებული ხუთი დაკავებული პირის საქმის ანალიზს:¹⁴⁸

1. დაკავებულ პირთა პოლიტიკური საქმიანობა

მერაბ ჭიქაშვილი – მოძრაობა „რატომ“ წარმომადგენელი

დაჩი ცაგურია – მოძრაობა „7 ნოემბრის“ წარმომადგენელი

მიხეილ მესხი – „თანასწორობის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი

გიორგი საბანაძე – პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი

გიორგი ჩითარიშვილი – მოძრაობა „7 ნოემბრის“ წარმომადგენელი

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

ზემოაღნიშნული პირები (გარდა გიორგი ჩითარიშვილისა, რომელიც სამართალდამრღვევად (ცნობილ იქნა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით) (ცნობილ იქნენ რა სამართალდამრღვევებად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა) მუხლებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით, შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით.

სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს განმარტებით, დაკავებულ პირთა მხრიდან წვრილმანი ხულიგნობა გამოიხატა 2009 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის წინ – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას – უმისამართო ლანძღვა-გინებაში, ხოლო სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა გამოიხატა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მონოდებისადმი, გადმოსულიყვნენ გზის სავალი ნაწილიდან, დაუმორჩილებლობასა და დაკავებისას წინააღმდეგობის განწევამი.

¹⁴⁸ იქიდან გამომდინარე, რომ საქმეები სრულიად იდენტურია, მათ ანალიზს მოვახდენთ ერთიანად.

3. დარღვევები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში

• წვრილმანი ხულიგნობა

დაკავებულ პირთა სამართალდამრღვევებად ცნობა წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაში მოხდა ისე, რომ სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნულის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ სასამართლო პროცესზე. ერთადერთი, რაც სასამართლოზე იქნა წარმოდგენილი, იყო დაკავებისა და სამართალდამრღვევად პირთა ცნობის ოქმები. ეს ოქმები შედგენილ იქნა 2009 წლის 15 ივნისს იმ ინსპექტორ-გამომძიებლების მიერ, რომლებმაც აღნიშნული პირების დაკავება მოახდინეს, ანუ იმ პირთა მიერ, რომლებიც 12 ივნისს მომხდარ ფაქტს არ შესწრებიათ. ყოველ შემთხვევაში, სასამართლო მასალებით არ არის დადგენილი ის ფაქტი, რომ 12 ივნისსაც ზუსტად იმავე პოლიციელებმა დააფიქსირეს მათ მიერ 15 ივნისს დაკავებულ პირთა ხულიგნური ქმედება. სასამართლომ ისე ცნო პირები სამართალდამრღვევებად 166-ე მუხლით, რომ არ გამოუკვლევიან, კონკრეტულად რომელი მტკიცებულება ადასტურებდა დაკავებულ პირთა მიერ 12 ივნისს პარლამენტთან ლანძღვა-გინების ფაქტს. არც ის კითხვა გასჩენია სასამართლოს, თავად შეესწრო თუ არა პროცესზე გამოცხადებული პოლიციელი აღნიშნულ ფაქტს, ან ვისგან მიიღო ეს ინფორმაცია და რას დაეყრდნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას. საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ არანაირი მტკიცებულება, გარდა სამართალდარღვევის ოქმისა, რომელიც შედგა 15 ივნისს, არ წარმოდგენილა იმის დასადასტურებლად, რომ დაკავებულ პირთა მიერ ჩადენილ იქნა წვრილმანი ხულიგნობა. რაიმე სხვა მტკიცებულება, მაგალითად, ვიდეოჩანაწერი ან სხვა რამ, არ ყოფილა წარმოდგენილი პოლიციის მხრიდან. თავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი პირიც არ უთითებს, თუ რა მონაცემების საფუძველზე დაადგინა დაკავებულ პირთა მიერ წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის ფაქტი.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა

იმისათვის რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს ზემოაღნიშნული მუხლით, აუცილებელია, არსებობდეს სამართალდამცავი ორგანოების **კანონიერი მოთხოვნა**. დაკავებულ პირთა მიმართ აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია, კერძოდ, პოლიციის თანამშრომლებმა ისე დაიწყეს აქციის დარბევა, რომ მომიტინგეებისათვის დაშლისკენ არ მოუწოდებიათ.¹⁴⁹ შესაბამისად, არავითარ კანონიერ მოთხოვნას სამართალდამცავების მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომიტინგეები (მათ შორის, დაკავებული პირები) იდგნენ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მოპირდაპირე მარჯვენა მხარეს არსებულ ტროტუარზე, მათ არ ჰქონდათ გადაკეტილი გზა და ისინი არ აფერხებდნენ სამმართველოს წინ არც ფეხით მოსიარულე პირებისა და არც მანქანების მოძრაობას.¹⁵⁰ შესა-

¹⁴⁹ იხ. <http://itv.ge/?p=10551>

¹⁵⁰ აღნიშნული დასტურდება ინტერნეტ-ტელევიზიის www.itv.ge (<http://itv.ge/?p=10551>) და მოყვარულთა კამერების მიერ გადაღებული კადრებით. ტელეკომპანია „კავკასიისა“ და „მაესტროს“ უკრნალისტების აქციის მიმდინარეობისა და დარბევის ამსახველი კადრები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ განადგურდა, ხოლო სხვა ნაციონალური არხები აქციის გადაღებას არ ახდენდნენ. იხ. სახალხო დამცველის 2009 წლის 1 ნახევრის საპარლამენტო ანგარიში, სადაც დეტალურადაა მიმოხილული 2009 წლის 15 ივნისის მოვლენები.

ბამისად, მათი საპროტესტო აქცია, სრულიად ჯდება საქართველოს კანონმდებლობისა და, კონკრეტულად, შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონის მოთხოვნებში. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოწოდება რომც ყოფილიყო დაშლის ან გზის სავალი ნაწილიდან გადასვლის თაობაზე, ეს არ იქნებოდა კანონიერი მოთხოვნა, ვინაიდან მომიტინგეები ისედაც არ იმყოფებოდნენ გზის სავალ ნაწილზე.

მეორე სავალდებულო მოთხოვნა, რაც აუცილებელია აღნიშნული მუხლით პირის პასუხისგებაში მისაცემად, არის სამართალდამცავი ორგანოების კანონიერი მოთხოვნის ან განკარგულებისადმი **ბოროტი დაუმორჩილებლობა**. აქ ვაწყდებით რამდენიმე პრობლემას:

- ვინაიდან სამართალდამცავების მხრიდან კანონიერ მოთხოვნას და, საერთოდ, მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია, მაშინ სრულიად გაუგებარია რატომ უნდა ეგოთ პასუხი დაკავებულებს კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობისთვის.
- ვინაიდან აქცია ტარდებოდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ანუ მომიტინგეები არ ახდენდნენ სამართალდამცავის შენობის ბლოკირებას და არ ახდენდნენ ტრანსპორტისა და მოქალაქეების გადაადგილების შეფერხებას, რატომ უნდა ყოფილიყო მომიტინგეების მისამართით პოლიციელების მოწოდება კანონიერი, თუ ასეთს საერთოდ ჰქონდა ადგილი.
- კანონი შემთხვევით არ უსვამს ხაზს იმას, რომ სამართალდარღვევას წარმოადგენს არა, ზოგადად, დაუმორჩილებლობა, არამედ **ბოროტი დაუმორჩილებლობა**, რაც უნდა განიმარტოს სასამართლოს მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და, სიტუაციისა და გარემოებების მიხედვით, უნდა დაადგინოს, რამდენად ბოროტი იყო დაუმორჩილებლობა. თავად ბოროტი დაუმორჩილებლობა გულისხმობს აშკარა ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევას ძალადობრივი გზით, მათ შორის, გინებას და მძიმე შეურაცხყოფას. არც ერთ საქმეში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ იყო დაუმორჩილებლობა ბოროტი და კონკრეტულად რაში გამოიხატა დაკავებულ პირთა ქმედებები.

აღსანიშნავია, რომ განყენებულად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია. ამ მუხლის შეფარდებას წინ უნდა უსწრებდეს პირის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედება, რათა შემდეგ მას პოლიციის კანონიერი მოთხოვნა მოჰყვეს აღნიშნულის შეწყვეტის თაობაზე. შესაბამისად, თუ არ არსებობს უკანონო ქმედება, გაუგებარია, რომელი კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობაზეა საუბარი.

• მტკიცებულებები

შესწავლილ საქმეებში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმები და თავად დამკავებელმა პოლიციის თანამშრომლებმა მისცეს ახსნა-განმარტებები სასამართლოზე, ანუ ისინი წარმოადგენდნენ ბრალდების მხარეს. სხვა არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, არ იქნა წარმოდგენილი პოლიციის მიერ. აღსანიშნავია, რომ, ამ შემთხვევაში, როდესაც საუბარია სამართალდარღვევის ჩადენაზე და პატიმრობის შე-

ფარდების საკითხი იხილება, მტკიცების ტვირთი სწორედ პოლიციას აწევს. მათ უნდა წარმოადგინონ სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენის უტყუარი მტკიცებულებები. მხოლოდ იმ პირის ჩვენება, ვინც დაკავება განახორციელა და მისი მხრიდან საქმის პროცესზე წარმოდგენა ვერ განიხილება საკმარის მტკიცებულებად ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად პირის ცნობის შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებში *GUREPKA v. UKRAINE*¹⁵¹ და *GALSTYAN v. ARMENIA*¹⁵² განმარტა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა უტოლდება სისხლისსამართლებრივ დაკავებას. შესაბამისად, სასამართლომ კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნები გაავრცელა ასევე ადმინისტრაციულ პატიმრობაზე და აღნიშნა, რომ იგივე გარანტიები, რითაც სარგებლობენ სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირები, უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისთვისაც. ამ ფონზე უფრო აქტუალური ხდება მტკიცების ტვირთისა და უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენის საკითხი ადმინისტრაციული პატიმრობის საქმეების განხილვისას. შესაბამისად, პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც ადმინისტრაციული წესით დააკავა პირი და სასამართლოზე წარმოადგენს ბრალდებას, ვერ იქნება იმავდროულად ალქმული, როგორც ნეიტრალური მოწმე, რომელიც ადასტურებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. ამიტომ მხოლოდ მისი ჩვენება არ უნდა იყოს საკმარისი მტკიცებულება პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობისა და პატიმრობის შეფარდებისათვის.

• დაცვის უფლების შეზღუდვა

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეებში დაკავებულებს შეეზღუდათ დაცვის უფლება. მართალია, სასამართლო სხდომის ოქმებში აღნიშნულია, რომ მოსამართლის მხრიდან ამის თაობაზე იყო განმარტებული და თავად დაპატიმრებულმა პირებმა განაცხაადეს უარი, თუმცა, დაკავებულ პირთა განმარტებით, მათ არ მიეცათ ადვოკატის მოწვევის საშუალება. კერძოდ, დაჩი ცაგურიამ კატეგორიულად მოითხოვა ადვოკატის უფლებით სარგებლობა, ამის გამო პროცესი კი შეფერხდა, თუმცა, მას არ მიეცა ზარის განხორციელების შესაძლებლობა. მიხეილ მესხს განესაზღვრა მხოლოდ 10 წუთი ადვოკატის მოსაყვანად, შესაბამისად, მიიჩნია რა, რომ ამ მოკლე დროში ადვოკატის მოძიებას ვერ მოახერხებდა, ამ უფლებაზე უარი განაცხადა. გიორგი საბანაძის განმარტებით, მას საერთოდ არ განემარტა აღნიშნული უფლების შესახებ. გიორგი ჩითარიშვილი კი აღნიშნავს, რომ, როდესაც მან ადვოკატის მონაწილეობა მოითხოვა, მოსამართლის მხრიდან ირონიული პასუხი მიიღო. ერთადერთი, ვინც ადვოკატის მონაწილეობაზე უარი განაცხადა, იყო მერაბ ჭიქაშვილი, რაც ახსნა იმით, რომ ვინაიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო,¹⁵³ სურდა, მალე დამთავრებულიყო პროცესი და მიეღო შესაბამისი სამედიცინო დახმარება. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ, ფიზიკური ტკივილის გამო, კარგად ვერ აცნობიერებდა საქმის ვითარებას.

დაცვის უფლების შეზღუდვა დასტურდება ასევე ორი ფაქტით. მას შემდეგ, რაც საინფორმაციო საშუალებებით გადაიწა ინფორმაცია აქციის დაშლისა და მომიტინგეთა დაკავების შესახებ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (შემდგომ-

¹⁵¹ Judgment of the European Court of Human Right - Gurepka v. Ukraine, no. 61406/00, 6/12/2005, para 55.

¹⁵² Judgment of the European Court of Human Right - Galstyan v. Armenia, no. 26986/03, 15/02/2008, para 60.

¹⁵³ დაკავების დროს მის მიმართ განხორციელებული ცემის შედეგად.

ში საია) თავმჯდომარის მიერ გამონერილ იქნა ორდერები დაკავებულ პირთა დასაცავად და შესაბამისი ადვოკატები გაგზავნილ იქნენ ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოში, თუმცა, ისინი დაკავებულებთან არ შეუშვეს. აღნიშნულის მიზეზად განმარტებულ იქნა, რომ დაკავებული პირები იქ არ იყვნენ მოთავსებული. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ისინი სწორედ სამმართველოს შენობაში ჰყავდათ სასამართლოში გადაყვანამდე. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი არის ის, რომ საიას ადვოკატები სასამართლო პროცესზეც არ შეუშვეს დაკავებულთა დასაცავად. კერძოდ, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა, ფიზიკური დაბრკოლებების შექმნით, არ მისცეს საიას ადვოკატებს დაკავებული დაჩივანი და მიხეილ მესხის დაცვის განხორციელების უფლება იმ მოტივით, რომ ყველა სასამართლო პროცესი უკვე დამთავრებული იყო. თუმცა, მანამდე კანცელარიის თანამშრომლები ცდილობდნენ ადვოკატების შეგნებულად შეცდომაში შეყვანას იმის მტკიცებით, რომ სასამართლო პროცესი ჯერ დაწყებული არ იყო, ვინაიდან გაურკვეველი იყო განმხილველი მოსამართლის ვინაობა. გამომდინარე აქედან, საიას ადვოკატებმა ვერ განახორციელეს დაჩივანი და მიხეილ მესხის ინტერესების დაცვა ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2009 წლის 16 ივნისს წერილით მიემართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და მოვთხოვეთ რეაგირება სასამართლო პროცესებზე ადვოკატების არშეშვების გამო. სასამართლოსგან მივიღეთ პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ, საიას მიერ მითითებულ ფაქტებზე რეაგირების სახით, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის უფროსს გამოეცხადა გაფრთხილება სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო. ნიშანდობლივია, რომ ამით სასამართლომ თავად აღიარა მათი მხრიდან დაცვის უფლების შეზღუდვის ფაქტი.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დაცვის უფლება გარანტირებულია“, რაც, სხვა პროცესუალურ გარანტიებთან ერთად, გულისხმობს დაკავებულისთვის დამცველის ხელმისაწვდომობას დაკავების მომენტისთანავე, ასევე, დამცველის უფლებას, დაუბრკოლებლად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დაკავებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ დაკავებულ პირებს შეეზღუდათ დაცვის უფლება.

- **2009 წლის 15 ივნისს დაკავებულ პირთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტის გამოძიება**

აქციის დარბევის დროს პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მომიტინგეებს. ვიდეოკადრებითა და გადაღებული ფოტომასალით დასტურდება, რომ პოლიციელები სასტიკად გაუსწორდნენ აქციის მონაწილეებს. დაკავებულ პირთა ცემა გაგრძელდა ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს შენობაშიც. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სახალხო დამცველის რწმუნებულიც, რომელიც აქციის მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებდა. იგი თავადაც იქნა დაკავებული და ნაცემი აქციის დროს.¹⁵⁴ ფიზიკური ძალადობის შედეგად,

¹⁵⁴ იხ. სახალხო დამცველის 2009 წლის I ნახევრის ანგარიში, გვ. 133.

აქციის მონაწილეებმა მიიღეს მრავლობითი სხეულის დაზიანებები, რაც დასტურდება შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმებით და ასევე ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ გაცემული პაციენტის სამედიცინო ბარათებით.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ადვოკატების მიერ დაინერა განცხადება საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე და მოთხოვნილ იქნა წინასწარი გამოძიების დაწყება 2009 წლის 15 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, ვინაიდან პოლიციელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, ასევე არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ამასთან, იმავე განცხადებით მოთხოვნილ იქნა დაზარალებულთათვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის მიზნით. აღნიშნულ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია. კერძოდ, ცემის შედეგად დაზარალებულთათვის შესაბამისი ექსპერტიზა არ ჩატარებიათ, ისინი არ დაუეითხავთ და არც კანონის დამრღვევი პოლიციელები გამოუვლენიათ. ერთადერთი პასუხი, რაც აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურიდან მოვიდა, იყო ის, რომ წინასწარი გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა), სადაც ზემოაღნიშნული პირები, როგორც მხარე, არ არიან ჩართულნი. შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ გამოევლინათ პოლიციელები, რომლებმაც კანონი დაარღვიეს, წინასწარი გამოძიება დაიწყეს იმ მუხლით, რომლის დარღვევის გამოც, პოტენციურად, შეიძლებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა კვლავ ნაცემი მოტივების მიმართ წარემართათ.

• პატიმრობის პირობები

პატიმრობის პირობები და საპატიმროში დისკრიმინაციული მოპყრობა არის ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ ხდება კონკრეტული პირისთვის პოლიტიკური პატიმრობის სტატუსის მინიჭება.¹⁵⁵ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება ამ საქმეებთან მიმართებით პატიმრობის პირობების საკითხის განხილვაც, რომელზეც თავად დაკავებულ პირები და მათი იურისტები მიუთითებენ.

დაკავებული პირები პატიმრობის შეფარდების შემდეგ მოთავსებულ იქნენ შსს-ს მთავარი სამმართველოს წინასწარი მოთავსების იზოლატორში, სადაც 30 დღის განმავლობაში გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდნენ, კერძოდ: საკანში, რომელშიც იმყოფებოდა 5-6 პატიმარი, იყო ძალიან სუსტი ვენტილაცია, დახურული ფანჯრები და, შესაბამისად, მუდმივად ჟანგბადის ნაკლებობა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეს ხდებოდა ზაფხულის ცხელ დღეებში (ივნისი, ივლისი). დაკავებულებს არ ეძინათ საწოლზე. არამედ ეძინათ ხისგან დამზადებულ შემალლებულ ადგილას ლეიბის, ბალიშისა და თეთრეულის გარეშე. საკანში საპირფარეშო სათანადოდ არ იყო გამოყოფილი საკნის სხვა ნაწილისგან, შესაბამისად, დაპატიმრებულ პირებს უნევდათ ერთმანეთის თანდასწრებით ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მთელი პატიმრობის განმავლობაში დაკავებულები არ გაუყვანიათ სასეირნოდ, ხოლო შხაპის მიღება შესთავაზეს მხო-

¹⁵⁵ იხ. Objective criteria of political prisoner, elaborated by the experts of Council of Europe (3 May 2001).

ოლოდ დაკავებიდან 26-ე დღეს. აღსანიშნავია, რომ ორი დაკავებული – მიხეილ მესხი და დაჩი ცაგურია – დაკავებიდან რამდენიმე დღეში განამარტოვეს თავი-ანთ საკნებში, მაშინ, როცა დანარჩენი დაკავებულები მოათავსეს დაახლოებით 16 კვ.მ. ზომის საკნებში, სადაც 5-6 პატიმარი იყო. მარტო ყოფნა განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა მიხეილ მესხისთვის, შესაბამისად, იზოლაციის ადმინისტრაციის წინაშე დაყენებულ იქნა საკითხი მასთან სხვა ადმინისტრაციული წესით დაკავებული პატიმრის შეყვანის თაობაზე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა საკნებში პატიმრები ხალხმრავლობას უჩიოდნენ, მიხეილ მესხი და დაჩი ცაგურია პატიმრობის ბოლო ვადამდე განმარტოებით საკნებში იმყოფებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ დაკავებული პირებისა და მათი ადვოკატების მიერ არაერთხელ მოხდა საკითხის დაყენება დაკავებულთათვის გასეირნებისა და შხაპის მიღების შესაძლებლობის მიცემის შესახებ, ასევე, დღეში რამდენიმე საათით მაინც საკანში ფანჯრის გაღების და სხვა საკითხების მოგვარების თაობაზე, თუმცა, ამას ადმინისტრაციის მხრიდან ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის, როგორც სასჯელის მოხდის წესი და პირობები საკანონმდებლო დონეზე არ იყო დარეგულირებული. ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მხოლოდ 2010 წლის 1 თებერვალს მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა №108 ბრძანება,¹⁵⁶ რომელმაც გარკვეულწილად დაარეგულირა ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის წესი, თუმცა, ამ სფეროში პრობლემები ჯერაც არ აღმოფხვრილა. საჭიროა დამატებითი გარანტიების გათვალისწინება. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეიმუშავა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ სისხლის სამართლის რეფორმების ჯგუფს.

დროებითი მოთავსების იზოლაციურებში არსებული პრობლემური მდგომარეობა დაფიქსირებული იქნა ასევე ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2007 წლის შემონმების ანგარიშში. კომისია პირდაპირ აღნიშნავს, რომ ყველა დაკავებულისთვის, ვინც დროებითი მოთავსების იზოლაციურში 24 საათზე მეტი ხნით იმყოფება, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გასეირნებისა და შხაპის მიღების შესაძლებლობა; მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, იქონიონ აუცილებელი ჰიგიენური ნივთები, ასევე, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ პატიმრობაზეფარდებული პირებისთვის, რომლებსაც იზოლაციურში მოთავსება შეიძლება 30 დღემდე მოუწიოთ.¹⁵⁷ ეს პრობლემა დღეს უფრო მეტ აქტუალობას იძენს, ვინაიდან ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გაიზარდა 90 დღემდე. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2010 წლის შემონმების ანგარიშში კვლავ მოხსენიებულია ის პრობლემები, რომლებიც 2007 წლის ანგარიშში დროებითი მოთავსების იზოლაციურების პირობებთან დაკავშირებით დაფიქსირდა, ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან არ მომხდარა წინა ანგარიშში მითითებული რიგი საკითხების მოგვარება.¹⁵⁸

¹⁵⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციურების ტიპური დებულების, იზოლაციურების შინაგანაწესის და იზოლაციურების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

¹⁵⁷ Georgia: Visit 2007 (report) CPT. <http://www.cpt.coe.int/en/hudoc-cpt.htm>.

¹⁵⁸ Georgia: Visit 2010 (report) CPT.

4. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დაკავებული ხუთივე პირის მიმართ დაირღვა კანონმდებლობა. სამართალდამრღვევებად მათი ცნობა მოხდა არასაკმარისი მტკიცებულების საფუძველზე, დაერღვათ დაცვის უფლება, მათ მიმართ განხორციელებულ ცემის ფაქტზე არ მომხდარა რეაგირება და, ასევე, საპატიმროში მოთავსებულ იქნენ გაუსაძლის პირობებში.

დასკვნა

კვლევაში განხილული საქმეების სამართლებრივმა ანალიზმა გამოავლინა სისტემური ხარვეზები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას იმ პირთა მიმართ, რომლებიც, საკუთარი ან უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური საქმიანობის ან საზოგადოებრივი აქტივობის გამო, ხელისუფლების შესაძლო ოპონენტებად შეიძლება ჩაითვალოს. კვლევამ გამოავლინა როგორც საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე საპროცესო კანონმდებლობის არასწორი განმარტება და დადგენილი მავნე პრაქტიკა. განხილულ საქმეებში ნებისმიერი ეჭვი, გამოწვეული საკანონმდებლო ხარვეზით ან საკმარის მტკიცებულებათა არარსებობით, როგორც წესი, განმარტებულია დაკავებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის წინააღმდეგ. საგამოძიებო ორგანოების თვითნებობას სათანადო კონტროლს ვერ უწევს და ბრალდების პოზიციას ყოველგვარი განსჯის გარეშე იზიარებს სასამართლო ხელისუფლება, რომლის როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უკიდურესად შემცირებულია.

ანგარიშის მიზნებისთვის შესწავლილ იქნა რამდენიმე საქმე, რომელთა მიმართ არსებობდა ეჭვები ბრალდების პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით. სასამართლო პროცესებზე გამოკვეთილი ნაკლოვანებები და სამართლებრივი ხარვეზები იძლევა უნდობლობის საფუძველს ამ საქმეებში მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით. მოცემული კვლევის მიზნებისთვის, ზემოაღნიშნული საქმეები არ შეგვიდარებია სხვა მსგავსი საქმეებისთვის, რომლებშიც სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივი არ არსებობდა, თუმცა, დაკვირვების შედეგად აღმოჩენილი სერიოზული ხარვეზებიდან გამომდინარე, შესაძლოა, დავასკვნათ შემდეგი:

1) ჩვენ მიერ განხილული საქმეები არის პოლიტიკურ ბრალდებათა სანიმუშო მაგალითი.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საქმეები პოლიტიკური მოტივაციის მქონე არ არის და წარმოადგენს „ჩვეულებრივ“ საქმეებს, მაშინ:

2) სამართალწარმოება დანაშაულებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოში სერიოზულ ხარვეზებს მოიცავს ყველა სხვა საქმის მიმართაც.

ეს უკანასკნელი დასკვნაც პირველზე არანაკლებ უარყოფითი იქნებოდა.